# ლიტერატურული გაზეთი

№72 13 - 26 აპრილი 2012 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

მამუკა წიკლაური

## გაუფილტრავი ფიქრები

### სოფლის ცხოვრება

რამდენიმე წელია, რაც საპატრიარქოს ტელევიზიის ეთერით ერთი მშვენიერი გადაცემა გადის, რომელსაც, პირობითად, „სოფლის ცხოვრება“ შეიძლება ვუწოდოთ. გადაცემის სტრუქტურა ასეთია: დადის რამდენიმე პატრიოტი კაცი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთისა და ბარის სოფლებში; დადიან ეს ჟურნალისტები თავისი თეთრი ნივით – ხვდებიან მესაქონლეებს, მებაღეებს, მევენახეებს, მეფუტკრეებს, მასწავლებლებს, მოწაფეებს, ექიმებს... ებმებიან მათთან გულითად საუბრებში და ასე, სოფელ-სოფელ და ოჯახ-ოჯახ სიარულით წარმოაჩენენ იმ მიზეზთა ხლართს, რომელთა გამოც ასე გამრავლდა მკვდარი და ნახევრადმკვდარი სოფლები...

შთაბეჭდილება მართლაც რომ შემზარავია – ცოტაც და წავლენ ეს „ჯიუტი“ მოხუცებიც და ჩაქრება ცეცხლი ბუხრებში, ღამით სინათლე აღარ გამოკრთება ფანჯრებიდან, აბალახდება გზები, ჩაიქცევა მდინარეებზე გადებული ხიდები.

თუმცა... ამ სევდიანი ფიქრებისა და სახლების გვერდით, ზოგჯერ იმედიც ამოთავთავდება ხოლმე. იმედი ზოგჯერ ბურუსიან დღესაც ანათებს. აგერ, ერთ მოვლილ სახლსა და კარ-მიდამოს მიადგა ამ სატელევიზიო გადაცემის წამყვანის „ნივა“. ეზოში ქათმები, იხვები, გოჭები ირევიან... საღამოა და ჭიშკართან ჯიშიანი ძროხები მიმდგარან... სტუმარს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი ბავშვები გამოეგებნენ – ლამაზები, კარგად ჩაცმულ-დახურულები. ამ ოჯახს თავისი პატარა ისტორია აქვს – მათ ადრე ქალაქში უცხოვრიათ ჩვეულებრივი ქალაქური ცხოვრებით. ამ ხუთიოდე წლის წინათ კი, ზაფხულში, დასასვენებლად ამოსულან თავისი მამა-პაპის ნაფუძარზე, დაუსუფთავებიათ, შეუღობიათ კარ-მიდამო... შემოდგომაზე კი დანანებიათ აქაურობის მიტოვება და დარჩენილან. აქ გაუტარებიათ ზამთარი, გაზაფხულზე გადაბერებული ხეხილის ნაცვლად ახალი ნერგები ჩაურგავთ, მიწა მოუხნავთ და დაუთესიათ, გაუჩენიათ საქონელი...

მათ გვერდით, უბანში, რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს – ისინიც მაგრად არიან და ერთმანეთს ამაგრებენ... არადა, სულ რამდენიმე კილომეტრზე ავაზაკურად შემოჭრილი რუსების სამხედრო ფორმირება დგას.

— რუსებმა რომ რაღაც მოიგუნებონ და შემოცვივდნენ, რას იზამთ? – ეკითხება გადაცემის წამყვანი ქალაქიდან გადმოსახლებული ოჯახის უფროსს.

— რა უნდა ვქნათ? მოვიქცევით ისე, როგორც კაცები უნდა მოიქცნენ...

II-III

ბავშვთა გასართობების კუთხე
მაღაზია „ბაბილონში“
*(ახალი წლის მოლოდინი)*

ემზარ კვიტაიშვილი

აქ მახსოვს, ყმაწვილს, ტომრების გორა,
კიდეში წვირე იდგა საზარი;
ყიდდნენ დაჯორგილ ხორცეულს,
ხორაგს,
აქ ზრიალებდა ვერის ბაზარი.

თხელი ტალახი. წნილების შმორი.
ტენიდნენ ჩანთებს, პარკებს, ქაღალდის...
რაც მთავარია, იმ დახლებს შორის,
გალაკტიონს და გოგლას ნახავდი.

სულო და გულო, გადაგდის თავზე,
ქვეყანა სახეს იცვლის, ასეა,
უცხო, ნაირგვარ საქონლით სავსე,
კრიალა, გიღებს კარს მაღაზია.

მიაგენ ადგილს, სამოთხის სადარს,
არაფერია საძებნ-საშოვნი...
გული იქეთკენ მიგიწევს, სადაც
ბავშვთა აწყვია სათამაშონი.

ციმციმი გააქვს ვეება ეკრანს,
მივიწყებული ჟინით ინთები;
გრძელ მწკრივად ვისმა სურვილმა შეკრა –
კოშკები ქვისა და რაინდები...

მაკაკა, მარდი, გადადის ყირას,
სპილომ ხორთუმი მაღლა აბრიქა;
აუღერია კისერი ჟირაფს,
თაროებზეა მთელი აფრიკა.

მზერა არწივის,
ალმასისებრი,
რქებალესილი საიგაკები...
იელვა ზურგმა წაქცეულ ზებრის,
ლომის ნახტომიც ვნახე, ნაქები.

იქაურობას სხვა ახლავს მადლი
(ჭერს – მაღალს, მყუდროს ნატრობ ნიადაგ),
ერთად დამსხდარან,
ვეღარც კი დათვლი –
ლაშქარს კურდღელთა, დათუნიათა.

მღვიმესთან შვიდი ისვენებს ჯუჯა,
ნაძვისხე მალე შეიფაკლება –
ბურთულებს, ვერცხლის, მუცლები უჩანთ,
მათზეც იქნება ფასთა დაკლება.

დახედე, თვალში თუ არ გაქვს დირე,
ეს ავგაროზი ყელზე შეიბი...
შუშის კედელთან – სახლები, მცირე,
იქვე: ბალიში, საბან-ლეიბი.

ერთს უტრიალებ —
მოლისფერს, ლამაზს,
რა დაშავდება, რომ შეიკეტო?!
მთელი ცხოვრება ეძებდი ამას –
საიმედოს გავს და სასიკეთოს.

იქ თვით იღბალი შემლალავს, შემსვამს,
გვერდები გამილესეს ავდრებმა...
ვერვინ შეამჩნევს გაქრობას ჩემსას,
ამ ქოხში მინდა გამოზამთრება.

IV-V

### ბრმა გრიგალები

გრიგალი ბრმაა. მან არ იცის, ვისი ნებით და ბრძანებით ამსხვრევს ყოველივეს, რაც გზაზე ხვდება. გრიგალი ბრმაა, ის ვერ ხედავს გამოვლილ გზაზე დაცემულ ხეებს და ფრინველების დაშლილ ბუდეებს... ჩვენც ბევრჯერ დაგვცა ბრმა სიყვარულმა, ბრმა სიძულვილმა, ბრმა ვნებათქროლვამ...

### ცეცხლი და რკინა

...ხანძარმა მთელი ძალით იფეთქა და უცებ დაიწვა მთელი სახლი. სახლზე თივის ზვინი იყო მიდგმული, ზვინი აბრიალდა და სწორედ მან გამოიწვია სახლის უეცარი ჩანავლება. ვერაფრის გადარჩენა ვერ მოახერხეს, მხოლოდ აბრიალებული სახლის პატრონები გამოცვივდნენ გარეთ.

...ყველაფერი ერთიანად ჩაიწვა – სპილენძისა და ალუმინის პინებიც კი დადუღებულიყო ერთმანეთში... მხოლოდ კერაზე დაკიდებული რკინის საკიდელი გადარჩა. ეს რომ ვნახე, უცნაურმა სიხარულმა დამიარა და გავიფიქრე: – რაღაც მაინც გადარჩა, რაღაცას მაინც ვერ ერევა ცეცხლის საზარელი სტიქია, რკინამ მაინც გაძლო!

...ისტორიკოსებს გამოუთვლიათ და ამბობენ – შვიდჯერ არის თბილისი მტრისგან გადამწვარიო – წვავდნენ და მაინც რაღაც რჩებოდა დაუწვავი. იმ დაუწვავზე და გადარჩენილზე კი ისევ შენდებოდა ქალაქი.

### სიტყვები, სიტყვები...

„წერა არც ისე ძნელი საქმეა, თუ ორმა რამემ არ შეგიშალა ხელი: სიტყვები არ უნდა შემოგაკლდეს და არც ჭარბად უნდა იხმარო ისინი“ – უთქვამს ერთ მწერალს. ჩემი აზრით კი, მთავარი აქ მაინც ისაა, რომ ჭარბსიტყვაობა არ მოგვეძალოს. ბევრი ნიჭიერი მწერალი დაღუპეს სიტყვებმა.

### რუსულ-სკვითური ლოგიკით

ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში გვიამბობს ერთ სასაცილო ამბავს, რომელიც კარგად წარმოაჩენს საქართველოში „მოღვაწე“ რუს ხელისუფალთა დამოკიდებულებას ქართველი ხალხისადმი. აი, ეს ამბავიც: თბილისში მეფისნაცვლად იჯდა თავისი ხეპრეობითა და უხეშობით განთქმული გოლიცინი, ხოლო მის დროს თბილისის მაზრის უფროსის სკამი ეჭირა ჭკვიანსა და პატიოსან კაცს, ლევან ჯანდიერს.

ერთ მომენტში, ბორჩალოს მაზრაში ავაზაკები და ყაჩაღები გააქტიურებულან. გოლიცინსაც, რატომღაც ჯანდიერი დაუბარებია და გაუთათხავს: – შენ არ ხარ შენს ადგილზე, შენ ვერ შეძელი აღგეკვეთა ესა და ეს დანაშაულობანიო და ჩამოუთვლია ყველა ის ყაჩაღობა, რაც... ბორჩალოს მაზრაში მოხდა.

უსმინა, უსმინა ჯანდიერმა გოლიცინს და ბოლოს უთხრა: – თქვენო აღმატებულებავ, რასაც თქვენ ამბობთ, ყოველივე ეს ბორჩალოს მაზრაში ხდება და მე რა შუაში ვარ, მე ხომ თბილისის მაზრის უფროსი ვარო?!

ამაზე ცოტა კი შემცბარა ეს ხეპრე, მაგრამ სისულელისთვის ისევ სისულელე დაუმატებია: – რა განსხვავებაა თბილისსა და ბორჩალოს შორის?! თქვენ ყველანი ერთნაირები ხართო...

### გაუმარჯოს სიყვარულს!

მესტიაში ყოფნისას, პოეტმა ვაჟა ხვისტანმა გვიამბო:

— ერთხელ, ნადირობიდან რომ ვბრუნდებოდი, მკვდარი არწივი ვნახე, რომელსაც გვერდზე მეორე არწივი ეჯდა და „დასტიროდა“. მე რომ მივუახლოვდი, არწივი აფრინდა, ხოლო, როცა იმ ადგილს გავცდი, „ჭირისუფალი“ ისევ ჩაეშვა ხეობისკენ, სადაც მკვდარი არწივი იყო ბალახში ჩამხობილი.

ეს თქვა ვაჟამ და თან ჭიქა ასწია – მოდი იმ არწივების სიყვარულს გაუმარჯოსო. ეს ექსპრომტი კი იქვე, მესტიაში, დავწერე:

*ელვას მოუკლავს არწივი,*
*ჩამოუგდია ჭალაზე,*
*თავის სწორფერი იტირებს,*
*ცრემლებით გაალამაზებს.*
*გუშინ უშბისთავს დაჰქროდნენ,*
*გადადიოდნენ შხარაზე,*
*ფრთებს აგრეხავდნენ ერთმანეთს*
*თეთნულდის ქარის ჯარაზე.*
*ახლა კი ცადასავალი*
*რკინის ღრუბლებმა ჩარაზეს;*
*ჩვენ რას გავუგებთ სიყვარულს –*
*იმის გზებსა და შარაგზებს?! —*
*ხან მზეა, ხან – შავი ღამე,*
*ხან ისეა და ხან – ასე...*

იმის შემდეგ აღარც ვაჟას უცოცხლია დიდხანს. ჟამი აიწეწა და აირია. მის გასვენებას ვერ დავესწარი. მითხრეს – ვაჟა მეუღლემ ძალიან მწარედ დაიტირაო...

ეჰ, არწივების სიყვარულს გაუმარჯოს, ჩემო ვაჟა...

### აღუსრულებელი?!.

ბევრი ჩანაფიქრი მაქვს აღუსრულებელი. ზოგიერთი ესეს სათაურიც ჩამინიშნავს:

„პაოლო იაშვილი – ცხოვრება, თამაში, სიკვდილი“

„მე და ჩემი ლექსები“ (წინასიტყვაობა რჩეულისთვის)

„მგელი, არწივი, კაი ყმა“ (მგლის, არწივის, კაი ყმის სახეები ჩვენს პოეზიაში)

„შოთა ჩანტლაძე – სიკვდილამდე და სიკვდილის შემდეგ“

— უწერია ამ გეგმას ასრულება?!

— ვინ იცის...

### ამკრძალეს...

80-იან წლებში, რევაზ ინანიშვილის შემოქმედებაზე ერთი მცირე მოცულობის ესსე დავწერე და გამოვაქვეყნე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

მე მაშინ გამომცემლობა „მერანში“ ვმუშაობდი და მახსოვს, ბატონი რეზო იმ ესსეს გამოქვეყნების დღესვე მეწვია სამსახურში და მადლობა გადამიხადა: – კარგი წერილია, მთავარი კი ისაა, რომ შიგ ჩემი ქება კი არა, უფრო საერთო საფიქრალზეა ფიქრი და მსჯელობაო... ბოლოს მიმიპატიჟა: – დრო დავთქვათ და ჩემ სოფელში განთქმული ხაშმური ღვინო გავსინჯოთო...

ვერ გავსინჯეთ, დრო ყოველთვის ჩვენი სურვილების მხარეზე როდია!.. დრო აირია და ბატონი რეზო „თბილისის ომად“ წოდებული უბედურების დროს გარდაიცვალა.

ამ ხუთიოდე წლის წინ კი (ეს შენიშვნა 2011 წელს იწერება) გამოვიდა წიგნი, რომელშიც რეზო ინანიშვილის შემოქმედებაზე დაწერილი წერილები, მოგონებები და მსგავსი მასალებია თავმოყრილი... იმ ჩემი მცირე მოცულობის ესსეს გარდა...

ცოტა გამიკვირდა – რატომ გამორჩათ-მეთქი, თუმცა საკვირველი რა იყო?! — წიგნის სატიტულო თავფურცელზე შემდგენლად მითითებულია ერთი მთლად ყელმოღეღილი „ანტიზვიადისტი“. გასაგებია. ჩემი ესსე განგებ უგულვებელყვეს – თავისი ფიქრით, ამკრძალეს... თუმცა რა მიკვირს, ეგეთები მომხდარა?! კიდევ კარგი, რომ ჩასაქოლად არ წამოვიდნენ...

### გაუცხოებული ქალაქი

მეოცე საუკუნის დასაწყისში თითქმის ყველა ჯურის ყველა ნაძირალა შეიკრიბა და ერთიანი გაავებით დაესხა თავს ილია ჭავჭავაძეს. აი, მაშინ იყო, რომ მწარე ამოკვნესით ამოიკვნესა მან ერთ პირად წერილში:

„ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგებოდა – თითქოს ჩვენები აბარგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო; გული გულს აღარ ეკარება და სურვილი – სურვილსა...“

როგორ ვთქვა ახლა შეუდრეკელ და გაუტეხელ ეროვნულ წინამძღოლზე – საწყალი და საცოდავი ილია-მეთქი?! არადა ხანშიშესულ მწერალსა და ეროვნულ მოღვაწეს მართლაც რომ შავი დროება წამოეწია. პოლიტიკურად ამღვრეული და ატალახებული რუსეთიდან მოვიდნენ „განსწავლული“ ქართველი „ახლებურად მოაზროვნენი“, რომელთაც თავმომწონედ გამოაცხადეს: რის სამშობლო და რა ილიას პატრიოტიზმი! მთავარი რუსეთის მეფის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაო; მთავარი ეროვნული იდეების ჩაკვლა და მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობაში ჩართვაო...

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სისულელე და სიბრიყვე იყო, მაგრამ სწორედ ეს სისულელე და სიბრიყვე იქცა მთავარ ჭირად. მთელ საქართველოს მოედო ამ ჭირის მეტასტაზები. გაუცხოვდა ილიას ქალაქი და გულმოკლული მწერალი საწყალობლად შესჩივის მეგობარს: „თითქოს ჩვენები აბარგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო...“

მერე კი ის მოხდა, რაც მოხდა...

### „ესროლა ბერმა პაპამა...“

პლუტარქე ამბობს, რომ ტიგრან დიდთან ბრძოლაში ლუკულუსი ყველაზე დიდ იმედს სამოცი წლის მეომრებზე ამყარებდა. გაგეცინებათ, მაგრამ ეს ლიტერატურული ფაქტი მეც მეხმარება სიბერესთან სასტიკ ბრძოლაში.

### გავექცე? სად უნდა წავიდე?

გამაკვირვა და შემაძრწუნა ნობელიანტი მწერლის ელფრიდე იელინეკის ნათქვამმა: „სიბერის წინაშე პანიკური შიში მაქვს იმ დროიდან, რაც დედაჩემის დაუძლურების პროცესი გადავიტანე. ასე რომ, სანამ ეს პროცესი გამიღრმავდება, ვიმედოვნებ, თავის მოკვლას შევძლებ...“

იელინეკი დიდი მწერალია და, ჩემი აზრით, მსგავსი „წვრილმანები“ არ უნდა გაეპაროს. თვითმკვლელობა იგივე ადამიანის მკვლელობაა და არავის აქვს იმის ეგოისტური უფლება, რომ თავისი ან სხვისი სიცოცხლის უფლება ხელყოს. გასაგებია იელინეკის შიში, მაგრამ იმ აზრსაც ვერ შევეგუები, რომ ადამიანმა სიკვდილზე და თვითმკვლელობაზე ფიქრი ასე ახლოს მოუშვას... სიკვდილს ხომ ჩვენი მოპატიჟება არ სჭირდება – ის მაინც მოვა და ამას ძალიან კარგად გადმოსცემს ერთი ძველი ქართული ხალხური ლექსი სიკვდილზე:

*„...გავექცე? სად უნდა წავიდე, ცხენიც*
*რომ მყავდეს მალიო!*
*შავება? არ დააშინებს ჩემი ფრანგული*
*ხმალიო!*
*ვიტირო? არ შემიცოდებს, არ იცის*
*ცოდვა-ბრალიო!*
*ვეხვეწო? არ გაიგონებს, უნდა იხმაროს*
*ძალიო!*
*ისევ სჯობს, გულით ვილხინო, ვიდრე*
*ცოცხალი ვარიო, –*
*ვისა აქვს მეტი სიცოცხლე უფლისგან*
*ნაჩუქარიო?!“*

დიახ, ის მაინც მოვა, არ სჭირდება მოპატიჟება. თუ ტანჯვა მოგველის, იმ ტანჯვაზეც მაღლა უნდა დავდგეთ...

### მტრების სიაში...

ამ ბოლო წლებში ბევრი უბედურება დაგვატყდა თავს. ბევრი მტერი წამოვიდა ჩვენსკენ ჯიქურ, ბევრი კი იქიდან ამოძვრა, საიდანაც არ ველოდით. რატომ არ ველოდით? რატომ ვერ დავინახეთ? რატომ არ გავფრთხილდით? აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბრძნული ნათქვამი: „პირადი მტრების სია არ იქნება სრული, თუ იმ სიაში შენი თავიც არ შეიტანე...“

### ულვაში

...უკვე გვიანი ღამე იყო. სადაცაა ცას პირი გაეხსნებოდა. დაღლილიყო საქორწილო სუფრა სოფელში. სულ რამდენიმე ჭაბუკიღა შემორჩენოდა ერთმანეთს. სიმთვრალეს გაეშალა ფრთები. სიმთვრალე შეჭრილიყო სიმღერაში, ცეკვაში, სიტყვა-პასუხში.

სუფრასთან ახლოს, ერთ დიდ ტახტზე ქალის მაყარს ბეჟიას ეძინა ყოვლის მომრევი ძილით. გულაღმა იწვა და მთელი სიგრძე-სიგანით უღვიოდა შავი ულვაშები. ულვაშებს დაეპყრო მთელი სახე და კაცი კი არა, ულვაში ჩანდა...

ცუდად ჰკიდა თვალი მაყრის სახეზე შავად ამოღაღანებულ ულვაშს მთვრალ მეინახეებში ჩამჯდარმა უკლო გივამ. „უკლოს“ ეძახდნენ და, ალბათ, ეს სიტყვა „უგზო-უკვლოდან“ მოდის. უკლომ გაიღიმა და ეშმაკური რამ თქვა:

— რა არის ამხელა ულვაში, ცოტა ხომ არ დავუპატარაოთო?! — თქვა და ხმამაღლა გაიცინა. გაიცინეს სხვებმაც. ეს იმას ნიშნავდა, რომ ეშმაკი დაფრინავდა მთვრალთა გონებაში და მიჰყვნენ ეშმაკს.

სუფრასთან ჩამოვლილ ოჯახის დიასახლისს უკლო გივამ სთხოვა: – თითზე ფრჩხილი ამძვრა, მაკრატელი მომიტანე, უნდა მოვიჭრაო. ქალმაც მოუტანა მაკრატელი და გავიდა. ეშმაკსაყოლილი გივა კი სიცილ-სიცილით მივიდა მძინარე ქალის მაყართან და ჯერ ერთ მხარეს წააჭრა განზე გასული ულვაში, მერე – მეორე მხარეზე და წამის წინ გამხვევნებულ-გაბოდოხებული ულვაში ე.წ. „ჰიტლერის ულვაშად“ იქცა. ახარხარდნენ მთვრალი ღამის მტეხავნი... მხოლოდ ხატის დასტური თევდორე შეჩქვიფდა:

— ეს რა ჰქენ, შე მართლა უკლოვ, ეგ ხომ კაცის სიკვდილს უდრისო?!. თუმცა, რა, თევდორეს სიტყვა მთვრალი მექორწილეების ხარხარში ჩაიკარგა.

...გათენდა. წამოიშალნენ ჩაძინებულნი და ბეჟიას ვიღაცამ ჰკითხა: – ეგ რა მოგსვლია, რა იქნა შენი ულვაშიო?! შემოეხვივნენ სხვებიც - ჯერ გაიკვირვეს, მერე სიცილი აუტყდათ...

ვიღაცამ სარკეში ჩაახედა ბეჟია და თქვა კი არა, აი, ეს ამოიყვირა: – ვინ ქნა ესო. სახეზე რკინის ფერი ედო ულვაშებწაჭრილ კაცს.

დაიწყო კითხვა-გამოკითხვა და ოჯახის დიასახლისმა თქვა – ამან და ამან გამომართვა წუხელ მაკრატელიო...

უკლო გივაც გატყდა და მოუბოდიშასავით:

— ეშმაკმა შემაცდინაო, – ეს უთხრა რკინისფერდადებულ ბეჟიას.

— ეშმაკმა კი არა, შენმა უჯიშობამ შეგაცდინაო, – ამოიყვირა ბეჟიამ და ამის შემდეგ ყოველივე ელვისსისწრაფით მოხდა: — ბეჟიას ხანჯლის ქარქაშიდან ფოლადმა ამოიელვა და უკლო გივას თავზე დაეცა. იმ წამსვე გააკავეს ბეჟია, მაგრამ უკვე გვიან იყო – მძიმედ დაჭრილი გივას ამოთეთრებული მზერა ცას შეეყინა.

— ...ულვაშის გამო კინაღამ მოკლა კაცმა კაციო, – თქვა ვიღაცამ დანანებით.

— მაშ შენ როგორ მოიქცეოდიო?! ჰკითხა იმ ვიღაცას ხატის დასტურმა თევდორემ...

— მეც ეგრე მოვიქცეოდი, მაგრამ უკლო გივა მაინც მეცოდება, ეშმაკს აჰყვა და კინაღამ თავი დაიღუპაო...

### პოეტი

ასდევს და ჩასდევს ამ დღე-ღამეებს – ლექსებს ელის, ლექსებს დაეძებს; მებადურის საქმეც ხომ ეგრეა – სულ მდინარეს უნდა ასდევ-ჩასდევდეს, სულ ფხიზლად უნდა იყოს!.. არც ის უნდა გაუკვირდეს ოქროს თევზი რომ დაიჭიროს და არც ის, მთლად ხელცარიელი რომ დაბრუნდეს მთელი დღის ხეტიალიდან...

### არსენიშვილის მისნური ნათქვამი

ყარამან კიკვიძის სიკვდილმა პირდაპირ მეხი დაგვცა მაშინდელ ახალგაზრდა მწერლებს. სიკვდილი საშინელი მოულოდნელობით შემოიჭრა ჩვენს უკიდეგანო მიზნებსა და ოცნებებში. თანაც, სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ ორჯერ და ათასჯერ სიკვდილია, როდესაც იგი თვითმკვლელობის დაწყევლილი ბილიკით მოდის...

ცოტა რამ მახსოვს ყარამანის სიკვდილის დღიდან – გაბრუებული და დარეტიანებული ვიყავი, თითქოს სიცოცხლიდან მეც გამოვითიშე – ვეღარ ვუყურებდი ყარამანის უბედურ ცოლ-შვილს, დედამამას, დებს... „გასამხნევებლად“ რაღაც სისულელეებს ვამბობდი...

იმ საღამოს, ის რომ გარდაიცვალა, მე და მწერალი კარლო არსენიშვილი გვიან წამოვედით კიკვიძეებიდან – გარიჟრაჟი ახლოვდებოდა. კარლო ნიჭიერი მწერალი იყო, მაშინ უკვე დაწერილი ჰქონდა მშვენიერი მოთხრობა „კოშკი“. ერთი ეგ იყო, მას რაღაც ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა და ზოგჯერ ისეთ უცნაურ აზრს „დაახეთქებდა“ ხოლმე, გაოცებას და გაცინებას ვერ ვფარავდით. იგი 30-იან წლებში რეპრესირებული და დაკარგული მამის შვილი იყო და ფსიქიატრები ხანგრძლივი შიშის სინდრომით ხსნიდნენ მის ასეთ „ამოვარდნებს“.

იმ ღამეს კი კარლომ ასეთი რამ თქვა: ცუდი წინათგრძნობა მაქვს, მაგ ოჯახში კიდევ რაღაც საშინელება მოხდებაო. არ მივაქციე ყურადღება ამ სიტყვებს, გაფიქრებით კი, ალბათ, ეს გავიფიქრე – მეტი რაღა უბედურება უნდა მოხდეს-მეთქი?!

...დილით კი ახალჩაძინებული გამაღვიძეს: – ადექი, კიკვიძეებიდან დარეკეს, ბაბულის, ყარამანის დედასაც თავი მოუკლავსო.

...ღამით, ყველა რომ მიჩუმდა, აუღია სამზარეულოს ბლაგვი დანა და ძლივს-ძლივობით გადაუჭრია ვენები.

ასრულდა კარლოს უცნაურად „დახეთქებული“ სიტყვა – შიშის ცივმა ჟრუანტელმა დამიარა მთელ სხეულში.

### ფრაგმენტი ძველი აღთქმიდან

„შენივე ბაგე გდებს ბრალს; მე კი არა, შენი პირი იმოწმება შენს წინააღმდეგ (იობი, 15.9)“.

ეს სიტყვები ზუსტად მიესადაგება კომუნისტური წითელი ინტელიგენციის მემკვიდრე დღევანდელ „ელიტურ ინტელიგენციას“, რომელიც ვითომ დემოკრატიის იდეალებისთვის იბრძვის, სინამდვილეში კი კრემლისკენ აპარებს თვალსა და ფეხს...

### ჩანაწერები შემოდგომის რვეულში

*

შენ მეუბნები, რომ ისევ ის
მთვარე დაგვნათის,
მთვარე მთვარეა, მისი შეცვლა
არ შეიძლება...
მე არა მჯერა –
იმ მთვარეზე ხომ ჩიტი იჯდა,
ამ მთვარეზე კი თოვლი დაჯდა,
ჩიტი გაფრინდა...

*

აი, დავარდა ბლის წითელი
ფოთოლი სკამზე –
ზამთარი მოდის ბაღის სკამზე
დასაბრძანებლად.
ჩვენც ძირს დავიგოთ გაყვითლებულ
მიწის ლეიბი,
ხოლო ზემოდან ცის საბანი
გადავიფაროთ
და ჩავწვეთ ჩვენი დახოცილი
ფოთლების შვავში,
ჩვენი სკამი კი ახალმოსულ სტუმარს
დავუთმოთ...

*

რა მოწყენილი იერი აქვთ
ამ ყვავილებს –
შემოდგომის ცას, ჩამავალ მზეს
რომ გაჰყურებენ
და დაცლილ ბაღში ფრინველებს
რომ ისაკლისებენ.
რა მოწყენილი იერი აქვთ ამ
ყვავილებს —
თითქოსდა გზები აერიათ –
იქ არ მივიდნენ, სადაც ელოდნენ...

### ჟამი დამარხვისა და ჟამი ამოთხრისა

ჩანს, ზოგჯერ დგება დამარხულთა ამოთხრისა და ძველ საფლავებში ახალ მიცვალებულთა დამარხვის ჟამიც... დადგა თავგზააბნეული „ბოლშევიკების“ ძვლების ამოყრისა და გადმოყრის ჟამიც. „განთავისუფლებულ მიწაში“ კი ნამდვილი მწერლები და ნამდვილი გმირები დამარხეს. ასე იყო წინათ, ასეა დღეს, ასე იქნება ხვალ – თანამედროვეთა მოკლე თვალსაწიერს, დროის გრძელი თვალსაწიერი შეცვლის...

### თავისუფლების ცქერით...

ნიკო ლორთქიფანიძე ამგვარი პოეტური ფრაზით გვაოცებს: „სამიოდე წლის წინათ ბათუმში ერთ მომღერალ ქალს შევხვდი... თვალები ზღვის ცქერას უნდა გაეფართოვებინოს“... დიახ, აი, ამ ფრაზით სრულად წარმოიდგენ ქალის მართლაც რომ იშვიათ ზებუნებრივ მშვენიერებას.

ჩვენს თაობას კი თვალები თავისუფლების ცქერამ გაუფართოვა – თავისუფლების მზეც თავისუფლების ზღვიდან ამოდიოდა და ჩადიოდა... იყო თავგანწირვის დიდი სილამაზე და იყო გულისდაწყვეტის სევდიანი საღამოები; იყო დამარცხებათა შტორმი და იყო ზღვის ფსკერიდან ამოვარდნილი სიმღერა...

### „პოეტური კლასიკა“

სოფელსაც ჰქონდა თავისი „პოეტური კლასიკა“... გაზაფხულობით რამდენჯერმე მოდიოდა „უდღეური თოვლი“ – პატარა თოვლი. მოვიდოდა, წამიერად გაანათებდა შემოგარენს. ორიოდე დღეში კი ისევ გაზაფხული ძალობდა – ადნობდა და აქარწყლებდა უდღეურ თოვლს. ამ „თოვლებს თავ-თავისი ღამაზი სახელებიც ჰქონდა – „მერცხლის თოვლი“, „გუგულის თოვლი“, „წეროს თოვლი“...

### ალექსი ჭინჭარაული

ამ ბოლო ხანებში მიცვალებული მსახიობების ტაშით გაცილება შემოიღეს. გადაჭრით ვერ იტყვი, კარგია თუ ცუდი ეს ჩვეულება, რამდენად ეგუებიან სიკვდილი და ტაშის გრიალი ერთმანეთს. ის კი უნდა ვთქვა, რომ ცოცხლები ამ ტაშით სიკვდილზე გამარჯვებულ ადამიანს აჯილდოვებენ.

მე ვერ დავესწარი ალექსი ჭინჭარაულის დაკრძალვას, თორემ გულში მაინც დავუკრავდი ტაშს იმისთვის, რაც მან გააკეთა ქართული კულტურის ასპარეზზე; იმისთვის, კაი ყმა რომ იყო; იმისთვის, რომ მთელ საქართველოს დასწყვიტა გული თავისი სიკვდილით...

...ტაში პიროვნული სილამაზისთვის.

...ტაში პურადობა-გულადობისთვის.

...ტაში ბრწყინვალე გამოკვლევისთვის – „ხევსურული დიალექტოლოგია“.

...ტაში საშვილიშვილო ნაშრომისთვის „ვაჟა ფშაველას ლექსიკონი“.

...ტაში ხელიხელსაგოგმანები წიგნისთვის „მთას ვიყავ“...

ფეხზე ადექით, ალექსი ჭინჭარაული მიდის!

ჩვენ კი მხოლოდ მოგონებებით გავიტანთ თავს, გავიხსენებთ თავის თავზე დაწერილ კაფიებს:

*როცა ჭიქა და კალამი*
*ორივ ერთად აქვს წიქასა –*
*პატრონის ნაცად მარჯვენას*
*კალამი უთმობს ჭიქასა.*

გავიხსენებთ უამრავ იუმორისტულ ლექსს, სადაც ალექსის დიდი და მრავალმხრივი ტალანტი ბრწყინავს.

მე კი ჩემზე დაწერილი ლექსი მრჩება სახსოვრად:

*ცხრამეტ აგვისტოს,*
*ფერისცვალის დღეს*
*ბედისმწერელი ზარებს არისხებს,*
*წიკლაურები დაახარისხეს, –*
*შვილი ჩარიცხეს, მამა გარიცხეს.*

ეს ლექსი 1985 წლის 19 აგვისტოს, იმ დღეს დაიწერა, როცა მე კოლაუ ნადირაძის ერთი „უიდეო“ ლექსის „25 თებერვლის“ გამოქვეყნებისთვის გამომცემლობა „მერანის“ მთავარი რედაქტორობიდან გამათავისუფლეს, ხოლო ჩემი შვილი უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

მშვიდობით, ალექსი. ილევა ჩვენი თაობის მთვარე...

### როდის მოკვდება მზე...

ასტრონომების ვარაუდით მზე ოთხ-ნახევარი მილიარდი წლისაა და მას კიდევ ოთხ-ნახევარი მილიარდი წლის სიცოცხლე დარჩა. ასე რომ, იგი ადამიანი რომ იყოს, მის ასაკს შუაკაცობა დაერქმეოდა... ასტრონომები იმასაც ვარაუდობენ, რომ საშიშროება არ გვემუქრება – „ჩამქრალი“ მზის ნაცვლად თურმე ახლა ცაზე სხვა მზე ამოვა...

საწყალი ადამიანი – ამ უსუსური ფიქრებითა და ჰიპოთეზებით!..

### მიხას არითმეტიკა

კომუნისტური პარტიის ჩინოსანმა, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელმა, მიხა ცხაკაიამ, 30-იანი წლების ერთ-ერთ საზეიმო სხდომაზე სიამაყით განაცხადა: ამხანაგებო, სოციალიზმი უკვე დამყარდა დედამიწის ერთ მეექვსედზე. მსოფლიო რევოლუციას ისეთი პირი უჩანს, რომ მალე სოციალიზმი დამყარდება დედამიწის ერთ მეათედზე, შემდეგ ერთ მეასედზე და შორს არ არის ის დრო, წითელი დროშა ერთ მემილიონედზეც აფრიალდებაო. ორატორის „ოპტიმისტურ“ სიტყვებს ტაშის გრიალით შეხვდა პროლეტარული აუდიტორია. არც ორატორმა იცოდა და არც აუდიტორიამ, რომ ერთი მეშვიდედი ერთ მეექვსედზე ნაკლები იყო. თუმცა უკუღმართ დროებას არ უჭირდა, რომ გაუნათლებელ გონებას ებატონა განათლებაზე, გარდაცვლილი მიხა მთაწმინდის პანთეონში დაემარხათ, ხოლო სენაკისთვის მიხა ცხაკაია დაერქმიათ...

ისე, თუ გულწრფელად ვიტყვით, მიხას წინასწარმეტყველება „ახდა“, მალე სოციალიზმი მგონი, დედამიწის ერთ მემილიონედზედაც აღარ იქნება...

### ღლონტის ღორივით...

არსებობს ასეთი მხატვრული გამოთქმები: „დაადო თავი და შევიდა ღლონტის ღორივით“, „სულ სხვის კარ-მიდამოში იყურება ღლონტის ღორივით“.

ღლონტის ღორის მეტაფორა კიდევ ერთხელ გაგვახსენა 2008 წლის აგვისტოში „რუსული ღლონტის ღორის“ შემოჭრამ საქართველოში და გაგვახსენა რუსთა ღლონტის ღორისებური შეჭრაც ურალსიქითა აღმოსავლეთში, კავკასიაში, ფინეთში, პოლონეთში, ბალტიისპირეთში... არც კანონი, არც მორალი... ღლონტის ღორივით! ღლონტის ღორივით!..

### რუსთაველი და ფიროსმანი

შოთა რუსთაველისა და ნიკო ფიროსმანის სახით ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას მსოფლიო დონის ორი გენიოსი ჰყავს. ესაა სახელები, რომლებსაც საიმედოდ ეყრდნობა და მომავალშიც დაეყრდნობა ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და სიამაყე.

...და უცნაურად მეჩვენება, რომ დღემდე არა გვაქვს ამ ორი უდიდესი ხელოვანის სახელის შესაფერისი სათანადო ცენტრები, სადაც გაშლილი უნდა იყოს დიდი სამეცნიერო და კულტურული მუშაობა, სისტემატურად ტარდებოდეს ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. რუსთაველის მუზეუმმა თავი უნდა მოუყაროს რუსთველოლოგიურ ლიტერატურას, კავშირი დაამყაროს უცხოელ მკვლევარებთან და მთარგმნელებთან.

შესაბამისი სამეცნიერო მოღვაწეობა უნდა გაშალოს ფიროსმანის მუზეუმმაც.

რაც მთავარია, კულტურის ამ ცენტრებმა უნდა წარმოაჩინონ ის ეპოქები, რომლებშიც მოღვაწეობდნენ რუსთაველი და ფიროსმანი: ეპოქა რუსთაველისა – თავისი სიგრძე-სიგანით, თავისი მზემაღალი სახელმწიფოებრიობით და კულტურით; თავისი ძლევამოსილი ომებითა და მხარგაშლილობით; თავისი, მართლაც, სწორუპოვარი ტაძრებითა და ციხე-კოშკებით;

...და მეორეს მხრივ ეპოქა ფიროსმანისა – ლოთი რუსი ჩინოვნიკებისა და სომეხი ვაჭრების სანავარდოდ ქცეული ქვეყანა, რომელსაც მხოლოდ ერთი ღირსშესანიშნაობა – გოგირდის აბანოებიღა შემორჩენოდა...

...მაგრამ ნავლწაყრილ ბრწყინვალე წარსულში, თურმე, კვლავ ცოცხლობდა ფიროსმანის დამბადებელი გენი.

რუსთაველის მუზეუმი, ჩემი აზრით, ქუთაისში, ძველი დიდი საქართველოს დედაქალაქში უნდა აშენდეს. ქუთაისიდან — ბაგრატის, გელათის ტაძრებიდან უფრო „ახლოს ჩანს“ დიდი საქართველო – დავითისა და თამარის ქვეყანა. ასე მგონია, ქუთაისში უფრო დიდი მზე ამოდის, ვიდრე სხვაგან სადმე...

ფიროსმანის თბილისიდან გაყვანა კი ცოდვაა... აქ შეიქმნა მისი საოცარი ტილოები, აქაურები არიან ბეგო და მისი თანამეინახენი და აქ უნდა აშენდეს მისი მუზეუმიც – არქიტექტურულად ლამაზი შენობა, რომლის არქიტექტურის იერ-სახეზეც ფართოდ იქნება გამოყენებული დიდი მხატვრის შემოქმედებითი მოტივები.

ეს იქნება ჩვენი ეპოქიდან, თავისუფალი საქართველოდან, დიდი წარსულისკენ გადებული ხიდი.

ამ ორი მუზეუმის სახით მთელი სისრულით წარმოჩნდება ჩვენი კულტურის ორი მწვერვალი, რომელიც ყველას მიანიშნებს, რომ საქართველო არის არა მხოლოდ მაღალი მთებისა და ლურჯი ზღვის, არამედ დიდი პოეტებისა და მხატვრების ქვეყანაც.

დაე, ამ კარიბჭით შემოვიდეს სტუმარი ქართული კულტურის ბჭემაღალ სამყაროში.

დღეს საქართველოს აღორძინებისა და აღმშენებლობის ხანა დაუდგა და ბუნებრივად გაჩნდა ამ მუზეუმების აშენების იდეაც. ახალ ბათუმს და ახალ მესტიას კულტურის ეს ახალი ცენტრებიც უნდა ამოუდგეს გვერდში.

### სიკეთედ მოვლენილი

ასე მგონია, ნიავის დარად
ირწევი, მიწას ტერფს არ აკარებ,
მშვენიერებას აცოცხლებ, მარადს,
ვარძიის წყაროს გაქვს სიანკარე.

მსუბუქად ჩასდევს, ქსოვილის ტალღა
ეთამაშება ბროლის ხერხემალს...
გატყვევებს მინდვრის ყვავილთა ალყა,
სულ სხვაა შენი ტანის შერხევა.

უჭკნობელს, დაგიმახსოვრებ ასე,
ცის ღიმილს, სიტყვა როგორ მოებას?
ვერც ვამბობ, პეპლის ფრთებზედაც ნაზი
ფშვინვა იციან მაგ ნესტოებმა.

მოვა ღამე და წუხილს დამასევს,
ეგ სახე ხელმა ჩამოქნა ვისმა?
რაც კი მინახავს ამ ქვეყანაზე,
ჯობიხარ ყველა ზღაპარს და სიზმარს.

### ოვიდიუსი გადასახლებაში

იცლიდნენ ჭორთა გასაბუქარად,
პირველ კაცს, პრინცეპსს, ასე ენება;
ავ ენებს ცივი მოჰყვა მუქარა –
მეტამორფოზებს მე გაჩვენებო.

შევატყვე, ცუდად აშლოდა ძარღვნი,
წამში ამიკრა გუდა-ნაბადი,
დამაცხრა სხვებზე არც ისე გარყვნილს,
სად გადამტყორცნა, სად დანაბადი?!

აღარაფერი იყო საცილო,
ავხედე ღრუბელს, ქუფრად მოდენილს...
წელზე, რამდენზე გავანაწილო –
რისხვა უცვლელი და ესოდენი?!

ვიცოდი, ვიცი, ვინ ვისზე მეტობს,
ცრემლების ნება ჰქონდა ნიობეს,
მებრალებოდა დევნილი ლეტო,
როდის ყოფილა, ვიმსახიობე?!

გოდება ჩემი აიჭრა ცამდის,
ჟამი ზეობის და წარმატების
გაქრა, ქარ-ყინვა კოჭებში გამდის,
გარს მახვევია ჯგრო სარმატების.

### შექსპირი ერთადერთი მემკვიდრის დასაფლავებაზე

საით მიექანები,
წუთისოფლის ეტლო?!
რით გინდა იმდენი ხნის
ფერფლი გაანედლო?!

იტრიალა უკუღმა
წუთისოფლის ჩარხმა...
თერთმეტი წლის ბიჭს, გამნეტს,
თვით გენია მარხავს.

გაოგნებას, იმისიც
ვეღარ იტევს გონი,
მიაგორებს დაგრაგნილ
ტალღებს ეივონი.

ზაფხულის ცის კალთაზე
შვილი უწევს, მკვდარი...
არ არსებობს სიმწარე –
ამის შესადარი.

### ანა ახმატოვას საუფლოში

ხერსონესი. ვერც ვიხსენებ,
მე იქ მივეხეტე რას?!
რეტდასხმული, ტერასაზე,
დავეძებდი ჰეტერას.

შევყურებდი უცხო ნახატს,
ათასგან ნახეტები –
რა სითეთრე, მარმარილოს
თავწამტვრეულ სვეტების...

გვანანავებს ნავი სოფლის,
ხან ისე და ხან ასე...
ზღაპარს გავდა სანაპირო
ღვთაებრივი ანასი.

ლურჯ, მოქსეულ ტალღებს შორის
გალობდა სირინოზად...
ლექსი, მზისგან მოქსოვილი,
შუბლს გვირგვინით იმოსავს,
საქორწინოდ გადანახულს,
გააწბილებს ღვინოსაც.

შენი მაზის ნიშანი,
გაფატრულიც გნატრულობ,
ვაზის ლერწო, აზიზო,
ვაზაზე მიხატულო!..

ოქროდ გაცრილ სილაში
დაფლული ვარ ყელამდი,
ბევრჯერ მომლანდებია
სული ძველი ელადის,
ღალა არ მითავდება,
ვღელავ, როგორც ვღელავდი.

### ქართველი კაზანოვა

სხვები შენ როგორ შეგედრებიან,
მკვდარსაც სხვა შნო და ეშხი გქონია;
წუხელ მესიზმრე, ჭრელგეტრებიან
ქალთან ცეკვავდი, გედი ჭყონიავ!

იბუქნე, მოქნილ გავასთან ერთად,
შეწითლებულმა არყით, ღვინოთი...
მუსიკაც შესაფერისი ჟღერდა,
თან ხელს მიქნევდი და იცინოდი.

### გათიშულნი

არ ვიცი, რისთვის ვიხსენებ ამას...
ბროლის სასმისით, გამჭვირვალეთი,
იჯექ მარტოკა. შენ იყავ დამა,
ფსკერზე უიღბლო ჩანდა ვალეტი.

არ შეხვედრიხარ მდინარის პირად,
ცა – ძროხის, ცური – წვეთავს რიგვედა...
რაც რომ არ მოხდა, ის ხდება ხშირად –
თქვენი გზები არ გადაიკვეთა.

### პოეტის ძეგლთან

ქარვის ფოთლები მზემ კვლავ გალანდა,
ვწუხვარ, ყველაფერს გაუდის ვადა...
ორიოდ თვეც და მოვა კალანდა,
წელი თავიდან დაიწყოს რათა.

გავყვები დღეთა ჩურჩულს და ჩარჩალს,
ასკილს დავკრეფ და მოვწყვეტ მაჟალოს...
შემოდგომასაც სულ ცოტა დარჩა,
თავისი ჭრელი კარტი გაშალოს.

### ვაჭრობა მშრალ ხიდზე

(კიდევ ერთი ვარიანტი)

კარგად შეიცან, იგრძენ, შვილოსა,
თუ მართლა არ ხარ უტუ, ჩობანი,
ხის, ფაიფურის, მარმარილოსა
და სხვა მასალის ნაკეთობანი.

ჩვევებს, ჩაჭედილს, აროდეს იშლი
(გიზიდავს ნივთთა სიიაფენი),
ბებერი ჭადრის დაჰყურებ ძირში –
კვერნის და დათვის ტყავებს, გაფენილს.

შეჩერდი, არჩევანი დიდია,
შენსავე თავთან რამ დაგამტერა?!
ცივ ფილაქანზე რას არ ყიდიან –
არწივი, ლომი, ტახი, პანტერა...

საწუხარს, შენსას, მანამდეც წერდი,
ყველას გლოვობდე, ვინ დაგაკისრა?!
ახორხლილია, ხანჯლების გვერდით,
რქები არხარის, საიგაკისა...

მუხის ფოტროში სხედან ბუები,
იმათი ყიდვის ჟინი მოგიარს;
ჩქარობ, არაფერს არ ეპუები,
თავი არც ადრე დაგიზოგია.

### ავი ზმანება

სად სააკაძის მოედანია,
სადაც დაღმართი იწყება ხიდის,
მანქანებისგან აგრიალებულ
გადასასვლელის შუაში ვიდექ.
ვერც წინ, ვერც უკან – ვეღარ ვიძროდი.
მლაშე, ცრემლივით დაცურდა ცერზე
ოფლი, შუბლიდან მონაწურავი...
ნიშანი, შუქის, გამორთულიყო,
აბორგებული საბარგოები
ზურგში მაყრიდნენ შავ საბურავებს.
წამშლოდა ყოვლის მადა, სურვილი,
არაფრით ვგავდი სულიერს, ცოცხალს.
ძლივს დავაღწიე თავი, მეორედ
არ ვარ გამძლები მე იმ სიზმრისა,
თვით გამოსცადოს, ვინც გამამტყუნოს.
არვინ მეგულვის გამხარებელი,
მოწამლულს, რა შემიცვლის გუნებას?

### დამხუთველ ხვატში

რაღას მოვმართავ ჩანგსა თუ ებანს,
ტრიალებს ალი მიწიდან ცამდე;
კუდცეცხლიანი ივლისი დნება,
ბარემ აგვისტოს ტაფაზეც დამდე.

დაწნეხილს, რამდენ საწუხარს მასევ,
დავდივარ გულღვიძლგამოხრუკული,
მე რო მიყვარდა, ზარიან ხმაზე,
სად, რომელ ტყეში რეკავს გუგული?!

### ტანში შემსუბუქდებოდი

მჩვრად იქეც, რამდენ სურვილს აწბილებ,
უგუნებობა გჯაბნის, ჯაბანო!..
ცხრა მთის მიღმაა ის სიყმაწვილე,
დილით გავარდნა, ჭრელი აბანო...

მზე შინდისფერი... არ ღირს, დაშინდე,
გესმის წკაპუნი ციურ მანანის...
რა დაგიბრუნებს ხალისს, მაშინდელს,
რამდენი რამე გაქვს დასანანი!..

### მოუსვენრობა

გალურსულ ღამის ცაში
ვარსკვლავთა მიყვარს თესვა...
ვერვის მოძებნით, თავზე,
ხელი ჩემსავით ესვას.

ბრონეულივით მწიფეს,
საკუთარს ვწურავ ქალას;
თითონ ვერ ხვდება ზოგჯერ,
რა სასწაულებს მალავს.

იის აცოცხლებს წვენი
სიტყვებს, დაცვენილს ცვრებად...
გულის თუ გესმით რეკვა,
ნემსის ყუნწში რომ ძვრება?!

ვიწვი, ბრალია წვისა,
ნიკაპს ეყრება ნავლი,
ჩემსავით ცოტამ იცის –
შუბლზე მოვლება მტკავლის.

წუნწუხა ბნელის გამჭრელს,
თვალთა გაელვებ ისრებს...
გაუჭირდება მრავალს,
მე რომ საფეთქლებს ვისრეს.

მთვარეს ფერი აქვს ცერცვის,
ჟამი, მქროლავი, მცარცვავს...
შვიდ-შვიდი მიყვარს წელი,
შვიდსაც დავენდე მარცვალს.

მდინარის პირას ჩავალ,
არც ბეჩაობას ვჩივი...
ოქროსას მიწნავს გვირგვინს.
შვიდი მთიების სხივი.

### უფლის ნაწყალობევი
(სიზმრის საუფლო)

ცა, გახსნილ-განაღები...
არ შეგაკრთობს განაღა –
მე რომ ყორე მოვავლე,
ის მინდორი განახა?!

ურჩხულს დავათმობინე,
ჩხრიალას, ხმლით დაკეპილს;
მინდვრის თავში კოშკია,
თეთრი ქვისგან ნაგები.

ჭაჭანებაც არსად ჩანს
შამბისა და ღოლოსი...
მუხა, ტოტებგაშლილი,
ჩრდილს ფენს სოფლის ბოლოში.

კამკამაა ბროლზედაც,
მას რომ ღელე ჩაუდის;
ბალახს ბურავს სიმწვანე
გაუხუნარ მაუდის.

ნაცრისფერ გალავანთან
თეთრი ცხენი აბია...
ღელის პირას, ცახცახა,
დაქრის ნემსიყლაპია.

ზაფხულია, მარადი,
მზის გადასწვრივ, ჩრდილია,
დილა პირს არ მარიდებს,
სხვა რაა იდილია?!

ვყვედრი თავს: სანახავზე
თვალებდანაცეცებო,
ამ სამოთხის პატრონი,
უკეთესს რას ეძებო?!

### „ივერიასთან“ ჩავიარე
აღარ ჩქარობს ზამთარი,
ჯერ ირჯება მკაცრად,
ცივმა ქარმა, აუზთან,
ლოყა გამიკაწრა –

დახშულ, მთავარ ფოსტამდე
მიხვიდოდე სანამ,
სადაც ერთხელ მყინვარი
დამანახა ანამ.

მწარე ჩხვლეტა ვიგრძენი,
იქ, ყინულის ეკლის,
საცა დავით მეფისა
იდგა, ერთ დროს, ძეგლი.

### მამაჩემის მეგობრის სახლი
შემოდგომა. ლხინის სუფრა.
მახსოვს ქუჩა რატევანის.
ბრიალებდა ბროწეული,
ვაზს ეკიდა რა მტევანი!

შხეფებს ყრიდა, რა თავკვერით
ივსებოდა ჭიქა, თასი...
ზღაპარს გავდა თამადობა
დიდი საშა პაპავასი.

ხელისგულზე დამისვეს და
მადღეგრძელეს, წამოვდექი...
მასპინძელიც სანაქებო
გვყავდა – გოგიტიძე, მექი.

### გალეული ცხოვრება
დავიბადე, შემოდგომის
მივუსწარი კუდს...
არ მეგონა, ჩვილი ამდენს
თუ ვნახავდი ცუდს.

ათას მახეს დავუძვერი,
არას ვიტყვი ძვირს...
მზის შეხედვა და გახელა
თვალთა, მაინც ღირს.

ზურგს, ღამისას, ვეფერები,
ფერზე ვადებ ფერს...
ნეტა, ნახელავი, ჩემი,
ჟღარუნობს თუ ჟღერს?!

რაც მინდოდა და ვერ შევძელ,
ჯობია სხვამ თქვას...
გულს ვიფხანდი, როდის იყო,
რომ ვიჩენდი ფხას?!

დამჭმუჭნავი ნაოჭები
შემოეჭდო ყელს;
თითონაც ფრთებდასაკეცი,
ზაფხულს ვხურავ, ცხელს.

### ვენახის ღვთაება
ცას, გადახსნილს, ცხეს ნათელი
უცხო მურიცხებმა...
ჭურის თავზე დიონისეს
დასაჭურისება.

არ ბაქიობს, არც ჩვევია
დაყენება ბუქის –
კვლავ დაუვლის კუნთებს ღმერთის,
ცეცხლი სიჭაბუკის.

ისევ წამოიმართება,
მზის, ცხრათვალას, კართან...
უმღერებენ: სამყოფელი
დააგდეო მკვდართა.

ძარღვებში რომ იგრიალოს
და დაგათროს მაგრა,
ახალ ღვინოს, ხამს, სიგრილემ,
ნოემბრისამ, დაკრას.

### მოლეული რთველი
(პატარძეულის გახსენება)

გვიან შემოდგომაზე,
მწვადის იწვის წალამი...
ვეღარც ვითვლი, იმდენი
რამე შემეშალა მე.

ივრის პირას დავყევი
ვენახს, ახალგაკრეფილს...
რამხელა დრო გასულა,
იმ კვამლივით გაქრები.

დაბერტყილი, ქარვისფრად,
ბრიალებდა კაკალი...
მახსოვს, შავი ციკანი
ეკლის ხესთან დაკალი.

გვმასპინძლობდი ჩასულებს,
არ-რა დაგიზოგია...
მინდა, ცოცხალს გხედავდე,
მახვაშვილო გოგია!

### ამ თვეს ვეფერები
რვალის ძალა ჩამბერე,
ჩამბურველო, ჩემფერო!
ოდნავ შესდექ, ტანზე რო
მადნები, ნოემბერო!..

მუხის ტყეში ტახები
გამოშლილან კოლტებად,
ვნახავ ფერდებს, დაღებილს,
სიკვდილი იოლდება.

ტოტებგაბარჯღულია,
უკანაზე, წინა ხე...
ერთი ტყვია, ჩუბინო,
ჩემთვის შემოინახე!..

არ დამზოგო, ვიბარებ -
უბირი, უბინაო...
ბევრის მკერდზე ბალახმა,
უთქვამთ, იბიბინაო.

ვერსად გამაქანებენ –
ლაფშა, ლურჯა, საღარი...
ვწუხვარ, ამ ქვეყანაზე –
ცოტაა გასახარი.

### შემოდგომა იწურება
ერთად ამდენი ფოთოლი
ჩამოეყაროს ქარს,
არ მაგონდება, მივლიან –
გუნდად და გუნდად, გარს.

ეს ნოემბერი, წანწალა,
დახვეულს იქნევს კუდს,
მიუსაფრობის მაცნეა,
საქმეს დამმართებს ცუდს.

ქუჩის ბოლოში ჩაიტანს
ვისაც გამოსდებს ღვედს...
ჭადრის სამოსელს, დაჟანგულს,
თითონ წყვეტს, თითონ ხვეტს...
ვიხეტიალებ, ამ ყოფას
რას გამოვრჩები მეტს?!

აშვებულ ფოთლებს ცა იკრავს –
არა ერთსა და ორს,
მიფარფატებენ ყვავებზე
ბევრად მაღლა და... შორს.

### ზამთრის მოლოდინი
ხამუშ-ხამუშ ვისვენებ,
წითელ ღვინოს ვსვამ,
გადაიკრა სილურჯე
შემოდგომის ცამ.

სახე მოიკრიალა,
დაიწია მზემ;
დავდინჯდი, უბატონოდ
ხმას არავის ვცემ.

ჟამი ვერ შეედრება
ფოთოლცვენას, ჩუმს...
დაღმართს ჩაყოლებული,
ხეივანი დუმს.

### სავედრებელი
(აკაკის კვალზე)

„უფსკრულის წყალს“ მიველტვი,
ზღვისა – მწარე, მლაშეა...
მეძალება ცრემლები,
მუჭაში ვცრი ხვაშიადს,
ძნელი საცოდნელია –
ცოდვილ სულებს რა შიათ.

მწვანედ გადაბურულო
უშფოთველო ადგილო,
ეგებ მითხრა, სიკვდილი
როგორ გავიადვილო.

ვიცი, ვინაც მიგზავნის
ნიავს, ციდან მოდენილს,
ვლამობ, არ მივიკარო –
ბიწი, სიბოროტენი.

რა მოიგო, ფუჭ სახელს
ვინც რო ნაეპოტინა?
მადლი არ დარჩენიათ –
ქინძისთავისოდენა.

განსაცდელი, ურიცხვი,
ვინც გადამატანინა,
შეურცხვენელს, ის ბოლო,
მანვე მითხრას „ნანინა.“

### მდარე შედარება
რა ავისრულე? რამდენს ვსრიალებ,
გასაპობ-გასაბასრი!..
ნიგვზის ლებანში შემძვრალი მატლის
მეახლობლება აზრი.

მისებრ უძღომელს, კენტს და მოკუნტულს,
წვენი მიწისა მზრდიდა,
სიგრძე-განს თუ არ ჩავთვლი, იმისგან,
არც განვსხვავდები დიდად.

ღრუა ქვეყანა, ღამე – უღრანი,
ერთურთს მისდევენ წუთნი...
გამოსახრავი აღარა დამრჩა
და გულს, საკუთარს, ვღრუტნი.

ამ ხმას მივეჩვიე. წლების განმავლობაში, ყოველ დილით მესმოდა ვიღაც ქალის მჟღერი ხმა, რომელიც ბავშვებს სკოლის ეზოში დაჰკიოდა: მამულაშვილი, ებანოიძე, სხირტლაძე. მხოლოდ გვარებს იძახდა, მაგრამ პირველსავე გაგონებაზე მივხვდი, რომ ფიზკულტურის მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, აბა ზამთარ-ზაფხულ ეზოში რა უნდოდა?

თავიდან მაღიზიანებდა, ნერვები მეწეწებოდა იმის გამო, რომ გამოღვიძების პროცესში პირველი რასაც ვიგებდი – ამ ქალის ხმა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვბრაზდებოდი, ნელ-ნელა მივეჩვიე და შევეგუე. კარგად მესმოდა, რომ ვიღაცის ხმის გამო ცხოვრება არ უნდა ამერია, მაგრამ მთელი დღე მაინც ჩხუბისკენ მიწევდა გული. სრულიად უმნიშვნელო საბაბზეც კი ვჩხუბობდი: სამსახურში უფროსთან, ტრანსპორტსა და ქუჩაში ხომ ნებისმიერ უზრდელობასა და ჩაგვრაზე ვერ ვიკავებდი თავს.

გადიოდა თვეები. მე ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა, მისი ხმა რომ მესმოდა, სანამ ერთ მშვენიერ დილით სხვისი ხმა არ გავიგონე. ტვინი წამში გამოფხიზლდა, იუცხოვა, არ მოეწონა და მერე გაბრაზდა. გულიც აჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ვერ დავინახავდი, ფანჯარას მივვარდი. წინა ხმის პატრონიც არასოდეს მენახა, ჩემი ფანჯრიდან სკოლის ეზო არ ჩანდა, თანაც, არც არასოდეს მიცდია მისი დანახვა, უბრალოდ ხმაც მყოფნიდა. ამ უცხო ქალის დანახვა კი რატომღაც მომინდა. ამაზე მოგვიანებით ავტეხე ფიქრი, თორემ იმ მომენტში ეს მოქმედება რაღაცნაირად ავტომატური და რეფლექსური იყო. ეს ხმა ვერ დავინახე და ჩემს ჩვეულებრივ დღეს ჩვეულზე გაღიზიანებული შევუდექი.

გადიოდა დღეები და ახალი ხმა მონოტონურად და სადისტურად მიწეწავდა და მტკენდა ნერვებს. მეც მაზოხისტივით ვუთვალთვალებდი თავს, ამ ყველაფრის მოთმენას სადამდე შევძლებდი. არადა, შემეძლო მის დასახშობად რაიმე გზა გამომენახა. მაგალითად, მუსიკა ან ყურებში ბამბა. არაა! თითქოს თავისგან დამოუკიდებლად ველოდი საკუთარი ნებისყოფის პიკს და ერთ მშვენიერ თუ ღრუბლიან დღეს, ეს წამიც დადგა. სასწრაფოდ სპორტულები ამოვიცვი და სკოლის ეზოში გრიგალივით გავქროლდი. კი სასწრაფოდ გავქანდი, მაგრამ მაინც არ დამავიწყდა ჩემი საამაყო FENDI-ის მზის სათვალე გამეკეთებინა. ეს ფაქტი დღემდე მაფიქრებს, იქნებ პიკის წამსაც ყალბად ველოდი და ჩემი ეზოში გავარდნაც წინასწარგანზრახული იყო?! მოკლედ, სკოლის ეზოში შევვარდი და 26 ბავშვის თვალწინ ვიჩხუბე. რას ვყვიროდი საინტერესო რომ იყოს, დავწერდი, თან არც მახსოვს. დაცლილი გამოვბრუნდი და მთელი დღე გადასარევად ვგრძნობდი თავს. ეს ქალი დირექტორთან შესულა. ეგონა, რომ ძილში ხელს მიშლიდა და უთხოვია, ზამთარში მაინც მიეცათ ნება, რომ ფიზკულტურის გაკვეთილი ერთ-ერთ საკლასო ოთახში ჩაეტარებინა. თურმე, სკოლას დარბაზი არ გააჩნია! ეს რაღა სკოლაა! ძალიან გავბრაზდი ბავშვი ამ სკოლაში რომ დამყავდა. ეს ყველაფერი შვილმა მომიყვა. ვერავინ მიმხვდარა, რომ ჩემი შვილის დედა ვარ, უბრალოდ ერთ-ერთი ძილგამწარებული მეზობელი ვეგონე. როგორ მიცნობდნენ, სკოლაში სულ ორჯერ თუ ვარ ნამყოფი. მჟღერ ხმაზე კი ბავშვმა მითხრა, რომ დირექტორზე გაბრაზებული სკოლიდან წავიდაო.

ახალი ხმა ამოწყდა ჩემს ცხოვრებაში და მეც ყოველ დილით შედარებით კმაყოფილი ვუერთდებოდი დღეების ნაკადს. ახლა უკვე იმას შევეგუე, რომ არავითარი ხმა არ მაღვიძებდა.

გადიოდა დრო. გაღიზიანებული აღარ ვიღვიძებდი, მაგრამ ჩხუბის სურვილი მაინც მწიწკნიდა. ვერ ვისვენებდი, როგორც კი ამბოხის თუნდაც ჭუჭრუტანას დავინახავდი, მისგან ორმოს ვთხრიდი და ვაი იმას, ვინც შიგ ჩავარდებოდა. ოჯახის წევრებსაც დავერიე — შვილს, დედას, დას, ჩემს უფროსს ხომ სიცოცხლე გავუმწარე. უმიზეზოდ არ ვჩხუბობდი, უბრალოდ მოსათმენს არ ვითმენდი, ვაბუქებდი და ცუნამს ვაგორებდი. ცხოვრება მენგრეოდა, ირგვლივ სიტუაციები იძაბებოდა.

მერეღა მივხვდი, რომ მჟღერი ხმა ნებისყოფას მიმუშავებდა. როცა ვჩხუბობდი, მერე ყველაფერს ხმას ვაბრალებდი ხოლმე. ჩხუბისკენ მიდრეკილება ბავშვობიდან მაწუხებს, მჟღერი ხმა კი ამის ბალანსში მეხმარებოდა. თავის დაძლევა მაშინ ჩემი რეჟიმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ახლა კი გადარეულივით ვაწყდებოდი საკუთარ თავს და მინდოდა, ამის მიზეზი ისევ ხმა ყოფილიყო. ჩხუბის სურვილს მას ვეღარ ვაწერდი, რეალური მიზეზები კი სარკის პრინციპით იყურებოდნენ ჩემში და იმდენად სერიოზულად ვთვლიდი, რომ ბალანსი და ნებისყოფა გამორიცხული იყო.

აბა, როგორ არ გავცოფდებოდი კაცზე, რომელიც პენსიონერს გამოუდგა და ოცთეთრიანი ავტობუსის ბილეთის უქონლობის გამო 100 ლარიან ჯარიმას უწერდა. ქალს რომ 20 თეთრი მგზავრობისთვის დაენანება, ესე იგი, არა აქვს და უჭირს. ავტობუსიდან ჩამოვხტი, ამ ქალს ჩემი ორმოცდაათთეთრიანი ბილეთი მივაჩეჩე და კაცს სულ მათხოვარი ვეძახე. მერე სამსახურში კმაყოფილი წავედი და უფროსთან აღარ ვიჩხუბე.

ერთხელ კიდევ, ბავშვს მუსიკალურ სკოლასთან ველოდებოდი, სკამზე ვიჯექი და სენდვიჩს შევექცეოდი, რომ სამი მაწანწალა კატა თავს დამადგა და კნავილი ატეხეს. ხან ხელებში მიყურებდნენ, ხან თვალებში. მაინც არ მომწონდა სენდვიჩი და პურის ნატეხები სათითაოდ გადავუყარე. ორმა სიამოვნებით შეჭამა, მესამემ დაყნოსა, ენა გაუსვა, დამიწუნა და გვერდზე მიდგა. მიყურებდა და ელოდა, იქნებ რაიმე სხვა მომცესო. იმ ორმა შეჭამა და ისევ დაიკნავლა. მოვწიწკნე და სამივეს ისევ მიწაზე დავუყარე. იმათ მიირთვეს, ამ მესამე კატამ კი ისევ დაყნოსა და წავიდა. დარჩენილი კატები კნაოდნენ და მემათხოვრებოდნენ, ფეხებთან კი მესამე კატისთვის გადაგდებული პურის ნატეხები ეყარა. ამ ფაქტმა ცოტა გამაოცა. ახლა ორი ნატეხი გადავაგდე, შეჭამეს და ისევ მთხოვეს. რამდენიმე წუთი დავიცადე, იქნებ მესამე კატისთვის გადაგდებულ პურის ნატეხებს ვერ ხედავენ და ამიტომ არ ჭამენ-მეთქი? ასე ვფიქრობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ასე არ იყო. ავდექი, მინდან იმ კატის კუთვნილი პურის ნატეხები ავკრიფე, ისევ დავჯექი და კატებს დავუყარე. შეჭამეს! ღმერთო ჩემო! ახლა შეჭამეს! ისე გავბრაზდი ადამიანებზე, რომ კატები სულ ფეხების ბაკუნით გავყარე. ბავშვი სახლში მივიყვანე. აჯაგრული და იმედგაცრუებული ვიყავი, ზიზღის გრძნობაც მეპარებოდა. სამსახურში მივედი, უფროსმა მისაყვედურა, გასაღები რატომ დაგრჩაო. ისეთი დღე ვაყარე, ამ წუთასაც მრცხვენია. რაღაცებს მპასუხობდა, მაგრამ არ მახსოვს. მზად ვიყავი მეთქვა, მე აქ აღარ მოვალ-მეთქი, მაგრამ ჩემდა უნებურად არ ვამბობდი. უფროსიც მზად იყო ეთქვა, აქ მოსული აღარ დაგინახოო, მაგრამ თავისდა უნებურად, არც ის ამბობდა. ორი თვე არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი, ის თავისას. ამაზეც ვბრაზდებოდი, რამე რომ ყოფილიყო, გაბუტულ ადამიანთან როგორ მეჩხუბა?!

ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ფიქრი დავიწყე, რა იყო დღესდღეობით ჩემი ჩხუბისკენ მიდრეკილების მიზეზი.

**უფულობა!**

ჩემი კი არა — სხვისი უფულობა!

სხვას რომ ფული არა აქვს, ამაზე კი არ ვბრაზდები, უფულობის გამო როგორებიც გახდნენ, ის მაცოფებდა.

**ფული!**

სხვას რომ ფული ქონდა, ეს არ მაგიჟებდა. მაცოფებდა ის, რომ ფულიანები ბუნებრივები და უბოროტოები არიან უფულოებისგან განსხვავებით.

ე.ი. ფული ადამიანს ამჟღავნებს, უფულობა — აფუჭებს.

**თავისუფლება!**

ვინ უფრო თავისუფალია, უფულო გაბოროტებული და სინდისისგან თავისუფალი, თუ ფულიანი — თავისუფლად გულწრფელი და გულგრილი?

იყო დრო, როცა რაიმე საძრახის საქციელს შევესწრებოდი ან გავიგებდი, მიკვირდა — ეს როგორ ქნა-მეთქი, ახლა კი ვბრაზდები, რომ ასეთი რამ აღარ მიკვირს და მხოლოდ ის მაოცებს ხოლმე, ცუდად რატომ არ მოიქცა-მეთქი. კარგი მიკვირს და ამ ყველაფერთან ყოველდღიური შეხება მაცოფებს. ლამისაა ისიც შემრცხვეს, რომ ქალი ვარ, რადგან ქალებს დღეს ანგარება ახასიათებთ, კაცებს კი მათი სიყვარული აღარ შეუძლიათ. განა ვინმე ანგარებიანი ადამიანის სიყვარულს შეძლებს? თუ პირიქითაა? კაცებს სიყვარული აღარ უყვართ და ქალები ანგარებიანი ამიტომ გახდნენ? ფაქტია, რომ ადამიანი გაფუჭდა, რა მნიშვნელობა აქვს მიზეზს?

აი, ამ ყველაფრის გამო ვჩხუბობდი, ხმა მჭირდებოდა, მჟღერი, თავისუფალი ხმა, რომელიც ნებისყოფას გამიკონტროლებდა. ერთადერთი ხმა, რომელიც განუწყვეტლივ მესმოდა — შინაგანი ხმა იყო, რომელიც მაქეზებდა და მაგიჟებდა. ჩემს ჩხუბს საკუთარ ხმას ხომ არ დავაბრალებდი? მინდოდა, ისევ მჟღერი ხმისთვის დამებრალებინა და ყოველი ჩხუბის მერე თავი ისევ უდანაშაულოდ მეგრძნო, მაგრამ ასე არ იყო.

და დავრჩი უხმოდ, უფრო სწორად საკუთარ ხმასთან ერთად, განრისხებული და მარტო.

## ტკივილი

ისევ დამეწყო.

თითქოს ისევ ჩამასხეს მჟავა მუცელში, ისიც ორგანოებს მიადგა და ღრღნიდა, ჭმუჭნიდა, წვავდა, ბუყბუყებდა... უკვე ვეღარ ვითმენდი და მეზობელმა ისევ გამიკეთა ვენაში ტორადოლი... კვნესით ველოდებოდი, როდის გადამივლიდა. ამჯერად ტორადოლმა შეყვარებულივით მიღალატა. ფეთიანივით დავდიოდი და თავში ვირტყამდი. ამანაც რომ არ მიშველა, მოთქმით ტირილი დავიწყე, რაც ბოლო ერთი კვირა ძალიან მინდოდა და თავს ვიკავებდი. ტირილმაც რომ ვერაფერი მოახერხა, ოჯახის წევრებმა სასწრაფოში დარეკეს. ექიმებმა კი ღუდუშაურის საავადმყოფოში გამაქანეს.

როგორც კი იქ ფეხი შევდგი, სპაზმებმა და კრუნჩხვებმა წინასწარ მოლაპარაკებულებივით გადამიარა. ექოსკოპისტი აქეთ-იქით დაიზლაზნებოდა. ექთნები შედი-გადიოდნენ. თითქოს ჩემი ყოფნა გადაავიწყდათ. გარედან დამირეკეს. დედაჩემის ძმები მოსულან. ვწევარ-მეთქი, ვუთხარი და წოლა გავაგრძელე. მაინც რაღაცნაირად მარტო ვიყავი, მიტოვებული და საცოდავი. ლუღლუღით ვიკითხე, უკაცრავად, მაინტერესებს, ამ ადგილას რა ხდება-მეთქი და მუცელზე ხელი დავიდე. ზედაც არავინ დამხედა. საკუთარი თავის გამიკვირდა, როდის იყო, ასეთი საწყალი და მორიდებული ვიყავი? გამახსენდა ფილმები, რომლებშიც პაციენტები ექიმებს პრეტენზიულად ელაპარაკებოდნენ და ეჩხუბებოდნენ. გადავწყვიტე, მეც ასე მოვქცეულიყავი.

„მტკივაა! ბოლოს და ბოლოს, რას ჰგავს ეს?! ასე ხომ სახლშიც ვიწექი?! იქნებ, ვინმემ ყურადღება მომაქციოს? მოიყვანეთ ექოსკოპისტი და მითხარით, რა ჯანდაბა მჭირს ამ ადგილას, მუცელში!“ ეს ყველაფერი მხოლოდ გავიფიქრე და ხელი კონკრეტულ ადგილას მივიდე. ისევ უაზროდ ვიწექი და ახლა ტკივილს კი არა, დროს ვითმენდი.

„რა ჯანდაბაა ეს? რადგან არ ვიკლაკნები და თმას არ ვიწიწკნი, როგორც სახლში, ამათ ჰგონიათ, რომ არაფერი მჭირს და აქ შიშმა მომიყვანა?!“ გადავწყვიტე, ძალით მეკვნესა. დავიწყე კიდეც. „მმმ, მმმმ. ნწ, მმმმ, მმმ.“ მაინც ზედ არავინ მიყურებდა. „რისთვის მოვიდნენ ჩემი ბიძები? სირცხვილი არაა, ამ შუაღამეს ვაკიდან დიღომში ტყუილად რომ გამოვიყვანე? რა ჯანდაბად არ მტკივა? ახლა, როცა ყველაზე მეტად მჭირდება, რომ მტკიოდეს, უდარდელი იერით ვწევარ ამ ჭუჭყიან საწოლზე!” – ვფიქრობდი და ვბრაზობდი საკუთარ მუცელზე.

ამასობაში დრო იწელებოდა. გადავწყვიტე, ჩემებთან გავსულიყავი და ტუალეტი მოვიმიზეზე. უი, უი, არაფრით არ გახვიდეთ საჭირო ოთახში, სავსე შარდის ბუშტი გვჭირდებაო, მომაძახა პომადიანმა მსუქანმა ექთანმა. „ვერ ვიკავებ!“ — რაც შეიძლება მკაცრად ვუთხარი და ცოტა ხანში მაინც გავიპარე გარეთ. ჩემებმა კითხვები დამაყარეს. მეც უსირცხვილოდ დავიწყე ჩემს ორგანოზე იმის ლაპარაკი, რაც ამათ აქამდეც იცოდნენ. რა მექნა? მრცხვენოდა, რომ აღარაფერი მტკიოდა და ტყუილად მოვიყვანე ეს ხალხი ასე შორს და ასე გვიან. სიმართლეს ვლაპარაკობდი და მაინც ვატყუებდი, რადგან ეს სიმართლე ღუდუშაურის ექიმებს ჯერ არ ჰქონდათ ნათქვამი. უკან რომ შევიდოდი, გამსინჯავდნენ და აუცილებლად მეტყოდნენ. ამიტომ ვტყუოდი სიმართლეს.

მერე ჩემებს სწრაფოდ გავეცალე და უკან შევბრუნდი. როგორც იქნა გამსინჯეს. ამ წუთას მწვავე მუცელი არ გაქვს, მაგრამ საოპერაციო ხარო, ესა და ეს პრობლემა გაქვსო, მითხრეს (რაც აქამდეც ვიცოდი) და გამომიშვეს.

ვიჯექი ბიძაჩემის მანქანაში და გარეთ ბარდნიდა, ყველაფერი თეთრი იყო.

არაფერი მაბედნიერებს ისე მომენტალურად, როგორც თოვლი და ყველაზე უბედური მაშინ ვარ ხოლმე, როცა მიყვარს. სხვა იტყოდა, გატაცებული ვყოფილვარო. მე ვამბობ, რომ ყოველთვის მიყვარდა.

მე ვუყურებდი ფანტელებში პეპლებივით მოფარფატე სიყვარულისგან მოქარგულ ფიქრებს: „გული გამითბა. იმედი საათივით აწიკწიკდა ჩემში და უარი ვეღარ

**დასასრული მე-16 გვერდზე**



**დასასრული**

**დასაწყისი №69,71**

...ლექსი ყველგან იწერება. ხშირად „ბუღალტრის მაგიდაზე“ ციფრებთან თამაშს ისევ სიტყვებთან თამაში ურჩევნია. თანაც საშა მგალობლიშვილიც იქ არის, მგონი 50 წელი შეუსრულდა და ცოტა წაუქეიფებიათ სამსახურში. სიტუაცია ექსპრომტს ითხოვს და ნიკოც მზად არის:

***სანდრო დირბელს***

*ცხოვრების ნახევარი განვვლეთ,*
*დირბელო,*
*მომეცი ნება, ლექსი გიძღვნა,*
*და რო მნახო, არ წამოგცდეს,*
*რას მიჰქარავ, ხიდისთაველო?!*
*მეც მაგონდება დირბის ზღვა-ზვრები,*
*მათთან მობიბინე ლურჯი ყანები,*
*მოვდივართ ქვეყნად ანგელოზები,*
*მივდივართ უკან კუდიანები.*
*ერთი შეხედე ბედის ამ ყისმათს,*
*თითქო ცხოვრება ვატარეთ ღრეჭით,*
*ბედის ორძელზე ვჭიმავდით ყირას,*
*სიცოცხლეს ღვინის სარდაფში*
*ვლევდით.*
*ო, რამდენ ღამეს ვუთიეთ ერთად,*
*ძმაო კეთილო, სანდრო დირბელო,*
*თითქოს ერთმანეთს გულებს*
*ვართმევდით,*
*ისე გვიყვარდა ეს საქართველო.*
*გახსოვს, ტიალი დუქნის მაგიდა,*
*როგორ წაბილწე მთვრალმა გინებით?!*
*მე რომ ფხიზელი არ დაგდგომოდი,*
*აბა სახლის კარს რას მივაგნებდით.*
*რაც იყო, იყო, კარგად ვატარეთ,*
*ესღა გვარგუნა განგების ძალამ,*
*მივხედოთ, მოდი, ახლა პატარებს,*
*განვსაჯოთ ჩვენში ვინ დაიღალა.*
*დღე დაითენთა ფიქრების ბინდით,*
*აბა რად ვგავართ ნახევრად გიჟებს,*
*ალბათ, ნუნუას ბევრს რომ ვხუხავდით,*
*და რომ დავდევდით კურკასებრ*
*ბიჭებს.*
*იცოცხლე დიდხანს კარგი სახელით,*
*სახე შენ მაინც ქორფა ბალღს გიგავს,*
*გიძღვნი ამ ნაგლეჯს, გქონდეს*
*სახსოვრად,*
*როგორც ჩემს ძმას და*
*გულშემატკივარს.*

ამ ლექსს რომ წერდა, ალბათ, ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა წლები და მისი ქალიშვილი მოგონებების წიგნს დაწერდა მამაზე, ხოლო საშა მგალობლიშვილს, მის „ძმასა და გულშემატკივარს“, ერთხელაც არ ახსენებდა!.. რომ აღარაფერი ვთქვათ ლეილაზე, რომელსაც მუდამ ანებივრებდა, მამობრივი სიყვარულით ათამამებდა და „გაამზითვა“ კიდეც.

როდესაც ლეილა დაქორწინდა (1960წ.), ნიკოს უკითხავს: მამაშენმა წესისამებრ თუ გაგამზითვა, „ვეფხისტყაოსანი“ თუ გაგატანაო? უარი რომ მიიღო, მაშინ საკუთარი წიგნი აჩუქა და ზედ წააწერა: „ჩემს ლეილას მზითევში ვატან. ძია ნიკო“. ეს საჩუქარი უფრო მეტად იმით იყო ძვირფასი, რომ ეს იყო ნიკოს ნაქონი წიგნი, რომელსაც კითხულობდა, ჩაჰკირკიტებდა, ხოლო წიგნის ბოლოში იმ სტატიებს აკრავდა, რაც იმდროინდელ პრესაში „ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთაველის შესახებ იბეჭდებოდა, თან ზედ თავის მოკლე კომენტარებსაც ურთავდა. ეს წიგნი დღესაც ინახება ამ ესსეს ავტორის ოჯახში.

ლეილა მგალობლიშვილი

უხარია ლეილას საჩუქარი, მაგრამ ცოტა გაკვირვებულია, თან გულიც წყდება, ეგონა, ნიკო თავისი ლექსების ხელნაწერ რვეულს აჩუქებდა, რადგან იცის:

*„ის ჩუმად სწერდა თავის რვეულებს,*
*ერთგულ მეგობრებს ატანდა მზითვად,*
*ისედაც ლექსით გადარეულებს,*
*ეს აწვებოდა სულ ზედმეტ ტვირთად.“*
(ნ.სამადაშვილი „მწუხრი“ ).

ლეილა თავს ნიკოს მეგობრად თვლის, მიუხედავად ასაკისა, მათ შორის ხომ საოცარი სულიერი კავშირია, ისე ანდობენ ერთმანეთს გულისნადებს, როგორც მეგობარი — მეგობარს, როგორც პოეტი — პოეტს...

გული წყდება ლეილას, მაგრამ რას იტყვის?! ნიკო უსიტყვოდაც ხვდება, ეღიმება: ჩემი ლექსები რაღად გინდა, ისედაც ყველა ზეპირად იციო.

ეს მერე იქნება...

ჯერ კი 1951 წელია, ლეილა ნიკოს თავისი ლექსების რვეულს აძლევს შესაფასებლად. ნიკო ორ ლექსს გამოარჩევს: ერთერთი მათგანია:

**თამარ იაშვილი**

# თამაში წესების გარეშე

***დედას***

*მე ალბათ შენზე ბალადებს დავწერ,*
*როცა ცხოვრება გადავა ბინდად,*
*ვიტყვი: კვლავ შენი ნანინა მარწევს,*
*და ისევ შენი ალერსი მინდა.*
*მომაგონდება, გიყვარდი როგორ,*
*როცა მესროდნენ ქვებს და ტალახებს,*
*მომაგონდება, პატარა გოგო*
*ცრემლთა ალერსში როგორ*
*გამალხვე.*
*მომენატრება მაგ მკერდის სითბო,*
*შიგ რომ მალავდი ჩემზე ნალოცებს,*
*შენ ოცნებიდან ამოხვალ თითქოს*
*და გათეთრებულ თმებზე მაკოცებ.*
*მე ალბათ შენზე ბალადებს დავწერ,*
*როცა ცხოვრება გადავა ბინდად,*
*ვიტყვი: კვლავ შენი ნანინა მარწევს*
*და ისევ შენი ალერსი მინდა.*

**ლეილა მგალობლიშვილი**
1949წლის სექტემბერი.



კითხულობს ნიკო და ეღიმება — ერთი ამას უყურეთ, ამასაც დედაზე დაუწერია ბალადაო. მერე კალამს იღებს და ლექსს მინაწერს უკეთებს: „მშვენიერებაა. ნ. სამადაშვილი. 14.02.51.“ თავადაც ხომ მშვენიერი ლექსი მიუძღვნა დედას — ოღღა კობერიძეს და „დედის ბალადა“ დაარქვა... სწორედ დედა-შვილის დაშორებამ განაპირობა ნიკოს ესოდენ ტკივილიანი ბავშვობა და სიყმაწვილე. ამის გამო „ღვთისმშობელიც კი გაბუტულია მათ სიცოცხლეზე“ (სქოლიო. ლექსი გამოქვეყნებულია უსათაუროდ. ხელნაწერი ინახებოდა საშა მგალობლიშვილის ოჯახში). ნიკომ საბოლოოდ მოახერხა დედის ჩამოყვანა ბაქოდან (1932 წ.), მაგრამ ამან ვერ გაანელა ბავშვობის ტკივილი.

„დედის ბალადასაც“ მუდამ თვალზე ცრემლმომდგარი კითხულობს. ეს თითქოს პირობაა დედისადმი მიცემული:

*„მეც გამოვყვები შენს გვირგვინებს*
*ბინდების ფითრი...“*
*„ლექსებს ჩაგატან... აბა,*
*მეტი რა მაქვავია...“*
*„ბარბაცით მოვალ მეც*
*ოდესმე შენს სამარესთან...“*
*„მე გაგასვენებ ჩემი მხრებით...“*

ამ ლექსს რომ წერს ანდა კითხულობს ნიკო, ვერაფრით წარმოიდგენს, თუ მიცემულ „პირობას“ ვერ შეასრულებს, რომ უმუხთლებს წუთისოფელი და დედაზე ადრე გარდაიცვლება.

თუმცა იქამდე ჯერ შორია, ჯერ ნიკო და საშა გვერდიგვერდ მიუყვებიან წუთისოფლის ოღრო-ჩოღრო გზებს და ხან დარდს ღვინოში კლავენ და ხანაც „კურკასებრ ბიჭებს“ დასდევენ.

კურკა მათი მეგობრის — დათიკო ალავიძის მეტსახელია. რაღაც ფილმში გადაუღიათ მასობრივ სცენაში. დიდად ამაყობს ამით, მსახიობი ვარო. საშას და ნიკოს კურკას მსახიობობა სასაცილოდ არ ჰყოფნით, სიცილით კვდებიან: ფილმის ჩვენებაზე დაგვპატიჟა და ჩვენ იქ კურკა არ გვინახავსო. კურკა კი იხტიბარს არ იტეხს. ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ ბანკეტს მართავს რესტორანში, ამათ არ იწვევს, შიშობს არ „აურიონ“.

ნიკო და საშა მოულოდნელად თავზე წამოადგებიან მოქეიფეებს... გამართული არის კურკას ქება-დიდება... ამათი დანახვა კურკას არ სიამოვნებს, მაგრამ რაღას იზამს, სუფრასთან იწვევს. ჯერ საშა ამბობს სადღეგრძელოს, მერე — ნიკო. კურკა შვებით ამოისუნთქავს, „გადავრჩიო“. მაგრამ ნიკო არ ჯდება, მსახიობს ექსპრომტი უნდა ვუძღვნაო:

*„შენა ხარ ჩვენი კინოს დიდება*
*და ხელოვნების გამხურებელი?*
*ისემც მ.....ნ ავლა-დიდება*
*და ყველა შენი მაყურებელი.“*

კურკა განაწყენდება და ცხოვრების ბოლომდე ხმას არ სცემს არცერთს. თუმცა მის „მსახიობურ კარიერასაც“ ესმება წერტილი. კურკას გაბრაზებას მაინც სერიოზულად არ უყურებდნენ საშა და ნიკო, მალე გაუვლისო, ფიქრობდნენ.

...საშა 50 წლის ასაკში მეორედ დაქორწინდა. მანია მეოჯახე ქალი აღმოჩნდა... იმ დროს მოდაში იყო ჩეხური ბროლის თუ სხვა ძვირფასი ჭურჭლის „ვიტრინებში“ გამოფენა, მანიაც ჩაება „ფერხულში“, ყიდულობს და ყიდულობს... საშა ბრაზობს, ვერ იტანს კარადებში გამოუყენებლად გამოფენილ ჭურჭელს. ნიკო საშას ახალ ოჯახშიც სასურველი სტუმარია.

ერთხელაც საშა და ნიკო სადილობენ, კარგ ხასიათზე არიან, ხუმრობენ, იცინიან. მანია დროს იხელთებს და ახალ ნაყიდ ჭიქებს გამოიტანს, ფიქრობს ნიკოს თანდასწრებით საშა არაფერს ეტყვის.

— ხომ კარგი ჭიქები ვიყიდე, — კითხულობს მანია დიასახლისის თავმოწონებით.

— სანამ არ გავსინჯავთ, ვერაფერს ვიტყვით, — ამბობს საშა და ნიკოს თვალს უკრავს.

მანიას უხარია, რომ საშა არ გაბრაზებულა და ჭიქებს მაგიდაზე დგამს.

ღვინით ივსება ჭიქები. საშა და ნიკო სადღეგრძელოს ამბობენ, ღვინოს შესვამენ და დაცლილ ჭიქებს ფანჯრიდან ისვრიან... მიფრინავენ ჭიქები ჰაერში, ერთი, მეორე, მესამე... ქვაფენილს ასკდებიან და ხმაურით იმსხვრევიან! — ეს რა კარგი ჭიქები გიყიდია, რა კარგი ხმა აქვთ! — აქებენ მანიას. სანამ მანია გონზე მოსვლას მოასწრებს, ყველა ჭიქა დამტვრეულია. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ხასიათზე დადგებოდა მანია, თუმცა, კარგა ხნის შემდეგ, როცა ნიკო უკვე აღარ იქნება ცოცხალი, ამ ამბავს სიცილით მოუყვება ამ ესსეს ავტორს. იქვე სხედან ამ ესსეს ავტორის პაპაც, დედაცა და დეიდაც და ისინიც სიცილით იხოცებიან.

...მოუყვება, რათა კარგად დაიმახსოვროს და თითქმის 40 წლის შემდეგ მოუთხროს ამ ესსეს მკითხველს.

...ისევ ივსება ჭიქები. ღვინოს ფერი შეცვლია, სისხლისფერი გამხდარა... მხოლოდ ამ ღვინით ითქმის გარდაცვლილთა შესანდობარი — მამის სურათი წარმოუდგა თვალწინ, არ ახსოვს მამა, ის ისეთია, როგორც სურათში... საშას მამა კი ისევე კარგად ახსოვს, როგორც „დირბის ზღვა-ზვრები“ და „მობიბინე ლურჯი ყანები“.

აკი ლექსიც დაწერა ანდრიას პიროვნებით შთაგონებულმა:

***ფრესკები ჩონგურზე***

*„ბაღებს გაზიდავს ყრუ შემოდგომა,*
*ტყე ჟინჟღლს მოიმცვრევს*
*დილაადრიან,*
*ქართულ წისქვილის კარს მოადგება,*
*წვერგაჯენჯილი დინჯი ანდრია.*
*ხვიმარებიდან დროჟამს ჩამოფქვამს,*
*გახედავს: ოჩხებს, ჯაგვნარებს, ჭიუხს,*
*წაიბუტბუტებს ათასჯერ ნათქვამს*
*და ხელის გულზე დაბერტყავს ჩიბუხს.“*
*და ა. შ.*

„ამ ლექსს პოეტი ჰქმნიდა ოდესღაც წისქვილის წყლის ჩხრიალზე, მესაფქვავეთა ზღაპრებზე, აქ ჟღარუნობდნენ სიყრმის დღეები, აქ აღმოცენდნენ მოხუც მეწისქვილის შთამაგონებელი საუბრები; ამ ლექსის მკერდიდან წვეთამდა გულის გეჯაში გამოხდილი სისხლი. ანდრიას ჭრაქის გაცრილ შუქზე ცეკვავდნენ თავგასული მანჭია ჭინკები, მოწყვეტილი ფოთლების დარად“.

(ნ. სამადაშვილი „შეხვედრები და სინანული.“ გვ.109.)

სინამდვილეში საშას მამა და ამ ესსეს ავტორის დიდი პაპა — ანდრეა მგალობლიშვილი გორის სათავადაზნაურო ბანკის მმართველი გახლდათ. გარდა ამისა, სოფლის მამასახლისიც იყო და დირბის გარდა სხვა ახლომდებარე სოფლებსაც პატრონობდა. ქართლის კათალიკოსს ანდრეას დიდი პაპა — გოგია მგალობლიშვილი, რომელიც სასულიერო პირი იყო, დირბში მოუწვევია საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ. მისთვის საკათალიკოსო აზნაურობა უბოძებია და სახნავ-სათესი მიწებითაც უხვად დაუსაჩუქრებია. მგალობლიშვილებს საგვარეულო ეკლესია და საკუთარი წისქვილიც ჰქონიათ. ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი თავის ავტობიოგრაფიაში ზუსტად აღწერს დირბელი მგალობლიშვილების წარმომავლობასა და ცხოვრებას. ისიც ხომ ამ დიდი ოჯახის წევრია. მას და ანდრეას ერთი დიდი პაპა ჰყავთ.

...სწორედ აქ, სადაც „წინაპრების აჩრდილები ყეფდნენ და წისქვილი კაცივით ოხრავდა“ —

*„შემოიტანენ ღვინოს ერთ კოკას,*
*ანდრეას სახეს შეამღვრევს ბინდი,*
*შენს სიმს ყურთმაჯში ფრთხილად*
*გამოჰკრავს,*
*და ეს იქნება ჰანგების მინდი...“*

ამ ლექსს რომ წერს, რას წარმოიდგენს, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ზოგიერთი ლიტერატორი „დინჯ ანდრეას“ წმინდა ანდრია პირველწოდებულად აღივამს, მის წისქვილს კი — ტაძრად... ანდა, სულაც წუთისოფლად. ეს რომ იცოდეს, იტყოდა — თქვე დალოცვილებო, სად წმინდანი და სად ჩიბუხი, განა, ეგეთი „წარმართი“ ვიყავი, რომ წმინდანი ჩიბუხით ხელში წარმომედგინაო? მაგრამ აკი თავად გაგვეთამაშა და ამ ლექსს „ფრესკები ჩონგურზე“ დაარქვა?! და, განა წისქვილის „როხრობი და ბორგვა“ არ წააგავს ამ შფოთიან წუთისოფელს?!

...ახლა ის ღვინის სარდაფში ზის და ჭიქას ჭიქაზე ცლის... დღეს ის უგონოდ უნდა დათვრეს, რომ აღარ ახსოვდეს, დაუბეჭდავად დარჩენილი მისი ლექსები, რომ განთავისუფლდეს ოჯახის არტახებისგან, დღეს ის სახლში არ წავა... დღეს ის იპოვის თავის „საყდრის ჩიტს“, რომელიც ლაღია და თავისუფალი, მაგრამ სევდიანია მისი გალობა...

დღეს ის „საბედისწერო გზას“ დაადგება... „და როგორ დაპატარავდება ყველა უბედურება, როცა სიკვდილის წინ გაიელვებენ ცრემლდალეული სიტყვები: ვცხოვრობდი ჩუმად და მეც ვატარებდი და განვიცდიდი ერთადერთ და ლამაზ სიყვარულს“ (ევა ჩაკალიტისადმი მიწერილი ბარათებიდან).

— ევა! ის, ვისაც პოეზიაზე უფრო უყვარდი, დღეს შეასრულებს ოდესღაც მოცემულ პირობას, — დაგიცდის „გავერანებულ სიცოცხლის ბნელ სამანებთან“, რომ მიხვიდე მასთან და ერთად იაროთ „დედამიწიდან სივრცეებამდე...“

— იჩქარე, ევა!...

თორემ ღვინო აქარვებს „მთვრალ დარდებსაც...“

* * *

— მშვიდობით, ნიკო პაპა! მეტად აღარ შეგაწუხებ.

— მაგის სათქმელად დამიძახე?

— მინდოდა მეთქვა, რომ მეც წესების გარეშე წერა მირჩევნია.

— დაგიბეჭდავენ კი?! სევდიანად გამიღიმა პაპა ნიკომ, თვალებში ჩამხედა, თავზე ხელი დამადო, თითქოს კურთხევას მაძლევსო და გაუჩინარდა.

## ელა გოჩიაშვილი

### ცხოვრებაგამტარი

ღუმელიდან გადმოვარდნილ
წითელ ნაკვერჩხალს
თითებით რომ დაეწვდებოდა, —
სწრაფად, გულგრილად,
ვითომც არაფერი! —
და უკანვე მიუგდებდა
დედამუგუზალს;
არ გეწვის, ბები? — ავცქეროდი...
გავიდა დრო და მოვიდა დრო:
მეც ვისწავლე
ცეცხლთან
უსაფრთხო ურთიერთობა.
აღარც მე, ბები!
აღარც მე მეწვის ასე იოლად;
დაჭკვიანდნენ ჩემი ხელები,
დაეშმაკდნენ,
გულუბრყვილოდ აღარ იტკენენ;
აღარც გაქცევა ესწავლებათ,
აღარც დამალვა;
თან ხომ,
კიდევაც დამიჩლუნგდნენ,
დაუხეშდნენ ტკივილებისთვის...
ის კი, შიგნით, —
რის თარგმნასაც
სხეულით ვცდილობთ,
ის რად დარჩა
მარად უგარსო,
გამუდმებით ახლადგაფცქვნილი;
სულ დაფუფქული რატომ დააქვს
უხილავი, ჩვილი თითები,
რად ვერ ისწავლა
ცეცხლთან
უსაფრთხო ურთიერთობა...

* * *

წყალნი რომ წავლენ
და წამოვლენ
და ქვიშანი რომ დარჩებიან,
განძი სად მიდის, განძეული!
განძი ფსკერზე დაიმარხება.
ან მოხდება და
ან არ მოხდება, —
ოკეანე ამოყირავდეს:
ამოყაროს,
ამოანათოს...
ან მოხდება და
ან არ მოხდება, —
გამოვიდეს ვინმე — ნათელი:
შეტოპოს,
ჩადგეს,
და ფსკერამდე უწვდინოს ხელი...

* * *

ვარდკაჭაჭა რაღაა და რომელიაო! —
იცი, რამდენს ვაძებნინე
შენი თვალები
ბოტანიკის ატლასებში
და ლოკოკინას ნიჟარებზე ამხედრებულ
მინდვრისპირებში,
ვარდკაჭაჭა დედაჩემო...

* * *

ნეტა, ზამთარში არ მოვკვდებოდე,
შვილებოო, —
რა გაათბობს მაღლა სახლსო,
პანაშვიდებზე
ხო დაგეყინათ ფეხებიო,
რაღა ვქნა,
რო დამიცივდეთო...

### კრეპჟორჟეტივით

აი, მიწა! —
მამაჩემის
ცალუღელა საფლავის გვერდით:
მყეფარი მიწა!
ავი მიწა!
მშიერი მიწა!
აი, მიწა, რომელიც მე,
ადრე თუ გვიან,
ჭიპლარზე უნდა გამომებას
და სიკვდილამდე მეტარებინოს...
აი, მიწა, — საკაბე მიწა,
გაუჭრელი,
დედაჩემის კარადაში გადანახული
კრეპჟორჟეტივით.

### მაყუჩიანი სიყვარული

...როცა სიბრმავემ აღარ გაჭრა,
ყველას ერთბაშად აღმოაჩნდა
აბსოლუტური მხედველობა;
ძაღლსა და კატას გამოაბეს
გაქუცულ კუდზე
და ღობე-ღობე ათრევინებენ...
აბა, ვის გიყვართ
ამადეო მოდილიანი! —
ჩამოგლიჯეთ კალენდრებიდან!
ჩამოფხიკეთ პოსტერებიდან!
ჩამორეცხეთ სამორინეს
და სასტუმროს ფასადებიდან!
გაზეთებიდან გააქრეთ და
ჟურნალებიდან
და უძირო საიტებიდან...
შეინახეთ,
გადამალეთ,
გააძვირეთ მოდილიანი!
...როცა სიბრმავემ აღარ გაჭრა,
საყოველთაო სიყვარული დაუმიზნეს, —
მაყუჩიანი,
მკვლელი,
ვერაგი,
როგორც ჯიბიდან ნასროლი ტყვია.



### ცხოვრებაგაუმტარი

*ნიკა მწარიაშვილს*

მლაშე წყალშიც რომ მოხარშო,
ზედმეტ მარილს
თევზი
მაინც არ მიიღებსო, —
გამიგია, თორემ, რა ვიცი,
არ მიცდია გადამოწმება.
ღირდა კი, ვითომ,
ჭეშმარიტების დასადგენად
თუნდაც ერთი
ჭეშმარიტი თევზის გაწირვა!
მჯეროდეს, როგორც გამიგია;
ეს უფრო კარგი ამბავია, —
სასარგებლო,
უფრო ჭკუისსასწავლებელი.
თევზმა — თევზისთვალებიანმა,
ამ — პირშიწყალჩაგუბებულმა,
ახლა კიდევ —
მარილწყალში მოთუხთუხემ,
სიბრძნით
როგორ უნდა მაჯობოს!
ესეც რომ თავს არ დაიმლაშებს!
... ნუ შეეცდები,
გაეპარო ცხოვრებას ჩუმად,
ფეხაკრეფით;
არ გაგატარებს, — ნაბულზეა;
ძაღლზე უფრო გულძაღლია
ეს დალოცვილი.
ჩაიცვი რამე — გაუმტარი,
და მოუშვი;
მოუშვი და
დაბამბული მკლავი მიეცი, —
სულ დაბამბულ მკლავზე დაღალე..
არ ჩაუარო!
შეეგებე,
შესცინე,
ოღონდ,
ჩაიცვი რამე — ცხოვრებაგაუმტარი.

## თენგიზ სვანიძე

### ლექსია ჩემი თავშესაფარი

ლექსია ჩემი იმედის ქოხი,
გადახურული ნისლისფერ ისლით.
და როს ავდრდება,
მეჩვენება: ზედ გულზე მაწვიმს
და ვჩქარობ, ვჩქარობ, –
გადავხურო ზამთრის მოსვლამდე.

ლექსია ჩემი თავშესაფარი!

### ქვის სიხარული

ადამიანი არაფერშია და ყველაფერში.
ადამიანი მტვერია, რომელსაც ქარები
ააცლიან ქვას...
ადამიანი ქვაა!
ქვა – იცინის – თეთრი მარმარილოს ქვა!
ქვა გლოვობს – შავი ქვა!
ქვა ტირის –
წვიმის წვეთები ჩამოსდის ღვარღვარად.
ადამიანი ქვაა!
ადამიანი არაფერშია და ყველაფერში
და არაფერი და ყველაფერი
მოძრაობენ და მოძრაობენ
სინათლის წრეხაზზე,
რომელსაც არ გააჩნია
არც თავი და არც ბოლო.
ასეთი წრეხაზები უსასრულოა
და უსასრულობაში შევდივართ მკვდრები
და... გამოვდივართ ცოცხლები.
ადამიანი არაფერშია და ყველაფერში.
ადამიანი ქვაა!
ქვა გლოვობს!..
ქვა ტირის!..
ქვა იცინის!..

თქვენ გიგრძვნიათ ქვის სიხარული?!

### შენ, მზე და მწვანე სინათლე

გიფრთხილდები, სიყვარულო, სიყვარულისთვის!
გიფრთხილდები ისე, როგორც დედა-ჩვილს:
აკვნიდან ამოყვანისას ფანჯრებს რომ ხურავს
და ფანჯრების იქით რჩება
მზე და მწვანე სინათლე.
გიფრთხილდები, სიყვარულო, სიყვარულისთვის!
ამიტომ ხშირად ვიმალები ჩემსავე თავში.
შენ კი, ალბათ, მშიშარა გგონივარ.
გიფრთხილდები, სიყვარულო, სიყვარულისთვის!
ცხოვრებას თავიც აქვს და ბოლოც.
ზოგის სიცოცხლე ბოლოდან იწყება,
ამიტომ იგი ტკბილიცაა და ხანმოკლეც!
მე სიყვარულში მკვდარი დავიბადე,
შენ კი ჯერაც ნორჩი ხარ, ნორჩი!..
გიფრთხილდები, სიყვარულო, სიყვარულისთვის!
შენში ვარდისფერი სინათლით განათებული
დღეები იწვიან, ჩემს სულში კი ჩემსავით
ბედზე გამწყრალი ქარიშხლები მძვინვარებენ
და მე მაინც შემოვდივარ შენში,
რომ გაგრძნობინო სიტკბო სიყვარულისა
და უმალვე ვუჩინარდები.
და მე სულაც არა ვარ მშიშარა!
გიფრთხილდები, სიყვარულო, სიყვარულისთვის!
და როცა სამუდამოდ დაგეკარგები,
მაშინ მიხვდები, რომ მე შენი სიახლოვის
არასდროს მშინებია.
და მე ვხურავ ჩემი ოცნების ფანჯრებს
და ფანჯრებს იქით რჩებით:
შენ, მზე და მწვანე სინათლე.

### ძეწნა

ვიხსენებ სოფელს, – დედულ-მამულს, –
მდინარის პირას განმარტოებით მდგარ ძეწნას.
იგი ჩემში ყოველთვის აღიქმებოდა,
როგორც თვალცრემლიანი, მგლოვიარე,
თმაჩამოშლილი ახალგაზრდა ქალი,
რომელიც უკანასკნელად ეთხოვება
საყვარელ ადამიანს.
...როცა ქათამი წყალს სვამს,
ცას ახედავს ხოლმე,
თითქოსდა ღმერთს მადლობას სწირავს, –
თუნდაც სიცოცხლის ერთი წამისთვის!
ძეწნა კი საცოდავად სულ წყალს ჩასჩერებია.
იქნებ განაწყენებულია ღმერთზე?..
ნეტავი იმხელა რა ცოდვა ადევს,
რომ ფრთები (ტოტები) ვერ გაუშლია
ცისკენ (ღმერთისკენ) საფრენად?!
...იქნებ ხეებს სიყვარული
ადამიანებზე მეტად შეუძლიათ
და ჩემი ბავშვობის ძეწნაც

ზაფხულის ცხელ დღეებში მელოდება კიდეც,
ანდა მიხსენებს მის ჩრდილქვეშ
მწვანე ბალახზე წამოწოლილ
მეოცნებე ყმაწვილს. ვინ იცის!..
...მოვხუცდი. მასზე ფიქრი არ მშორდება.
ალბათ ისიც ჩემსავით დაბერდა,
იქნებ სულაც ქარ-გრიგალმა ძირფესვიანად
ამოგლიჯა მიწიდან, ანდა უპოვარმა
და უსასოო ადამიანმა გაიმეტა, როს
ზამთრისაგან დანასუსხი ძვალ-რბილი გაეთბო.
ვერაფერს იტყვი, – დროსავით მკაცრია ცხოვრება!
ეჰ, რამდენმა წელმა გაირბინა ჩემს თვალწინ.
მენატრება, ძალიან მენატრება ჩემი დედულ-მამული.
...ახლა ზამთარია.
იქნებ ძეწნა კვლავაც დედოფალივით
თეთრ საქორწინო კაბაშია გამოწყობილი
და გაზაფხულთან შეხვედრას ელოდება.

უფალო, ნატვრა აუსრულე, თუნდაც – უკანასკნელი!

## ცისარტყელა მტკვარზე

მეტეხთან ხიდის მოაჯირს მივეყრდენი,
მტკვარზე თოლიები ფრენდნენ,
ზოგჯერ მოლივლივე ტალღებს
გულმკერდით ეხებოდნენ და დროდადრო
თავით წყალში ერჭობოდნენ.
ცას უნებურად ავხედე:
ცისარტყელა შვიდ ფერში ბრწყინავდა.
ხიდის მეორე მხარეს გადავინაცვლე.
ახლა ცისარტყელა მდინარის
მთელ სიგრძეზე გადაშლილიყო
და მის ტალღებზე ნებივრობდა,
როგორც ქალწული ჰამაკში.
ფიქრებმა უეცრად გამიტაცეს:
უდარდელი ბავშვობა, ტყე, ღელე,
მინდორ-ველი, კაფანდარა გოგონა
და ჩემი სოფელი გამიცოცხლა.
გზასავით – ფიქრი გავაგრძელე.
ირგვლივ ყველაფერი ლამაზობდა:
ცისარტყელა ჩემს სულს
ვარდის ფურცლებად ჩაფენოდა.

## ჩრდილი

ჩრდილი – ჩვენი დაშტამპული
სიფრიფანა სხეულია.
ჩრდილი ყველაფერს აქვს და
მისი გამოხმობა მხოლოდ მზეს შეუძლია.
იგიც ჩვენს გარშემო ბრუნავს,
როგორც დედამიწა ღერძის გარშემო.
მზე, დედამიწა და ჩემი ჩრდილი
ყოველთვის ერთად დავდივართ.
როცა მე და მზე
ერთ ვერტიკალში ვხვდებით,
იგი, თავის თხემის გავლით,
ჩემში ყურყუმელავდება.
მზის ჩასვლის ჟამს ჩრდილი გრძელდება,
ფერმკრთალდება და ბოლოს უჩინარდება.
ჩრდილს წონა არა აქვს, –
იგი ჰაეროვანია, ამიტომ სულივით
მუჭში ვერასოდეს ვერ მოიქცევ!
ჩრდილი ჩვენი სხეულის
შემადგენელი კომპონენტია.
მასაც ჩვენსავით უხარია, სტკივა,
განიცდის და წუხს კიდეც.

ფრთხილად, ადამიანო! —
ფეხი არ დავადგათ ერთმანეთის ჩრდილს!

## კიბე

კიბე – ასავალ-დასავალ საფეხურთა ჯამია.
ცხოვრება – კიბეა!
ზოგი – ადის, ზოგიც – ჩამოდის.
უხილავი კიბე – წმინდანთა საკუთრებაა,
ხილული კი – მოკვდავთა.
ადამიანი იბადება თუ არა,
უფალი მაშინვე უკანონებს
სიცოცხლის წლებს...
მიწის აღმართ-დაღმართი, ქარების
მტვრით და ტალახიანი წვიმებით
ამოგლესილი, კიბის საფეხურებია.
მაღლივი სახლის კიბე
ფრენისთვის განგაწყობს,
მაგრამ მარტო სურვილი ცოტაა!..
ვინც ქვედა სართულზე ცხოვრობს,
ყოველდღიურად იმოკლებს
მიწიერი სიცოცხლის გზას...
მიწაზე დამავალი საფეხურები სიბერისაა!
აღმავალი – სიჭაბუკისა.
კიბე – სიცოცხლისა და სიკვდილის
გასავლელ საფეხურთა ჯამია!

ფრთხილად, ადამიანო! - ეცადე მზის ნაბიჯებით
გალიო გზა სიცოცხლისა!

***
მთის კორტოხზე მიწაგამოშლილი
და მხარ-თეძოზე
წამოწოლილი ლოდი
პირველი მსხვერპლია
უფსკრულის ხახისა.

ადამიანო, გეშინოდეს სიმაღლის!

## უსიყვარულო სიყვარული

...და დავრჩი ისე, როგორც ნაცარი,
შენი თითების ცეცხლით დამწვარი, –
არ დარჩენილა
მისგან ნაცარიც,
ქარი იყო და... ალბათ იმიტომ!

## აკრთობს სიჩუმე

სიცოცხლეს კაცის, მიწიერო,
ვინ დასდო ფასი,
როგორც ერთადერთს –
სიმაღლეთა შორის სიმაღლეს!
ლაჟვარდი სული სუროსავით
მიიწევს მაღლა,
მაგრამ მოჩანან მეჩეთებიც
ცხოვრების ზღვაში:
და შენს ტკივილებს –
კიბეებზე ამოსულ ბალახს –
აკრთობს სიჩუმე
სამუდამო გადავიწყების.

## მიყვარს აპრილი

სოფლის შარაგზას მიუყვებოდი.
წამოგეწიე...
მთვარეულივით შეკრთი.
ისევ დუმილი...
უეცრად ახლობელ ეზოდან,
ბრაზით და ყეფით,
შავი ნაგაზი გამოექანა.
შიშით მკერდზე მომეკარი.
ძაღლს მუდარით
თვალებში ჩავხედე.
ძაღლი წკმუტუნით უკან გაბრუნდა.

მიყვარს აპრილი.
ის საღამოც აპრილის იყო.

## ყვითელი ფოთოლი

შემოდგომის ყვითელი ფოთოლივით
ეკიდა გული
ჩემს ნაჯაფარ დედას.
მოვარდა სიკვდილი, –
მგელივით მშიერი და მაწანწალა.

მთვარის სიზმრებში მარხია ახლა:
ყვითელი ფოთოლი, ქარი და დედა.

## ტირის სიბერე!..

სიბერე ფიქრისაა!..
მთვარიან ღამეში ჭადრის ჩრდილები
ფანჯრის მინაზე ქანაობენ.
სიბერე სიცოცხლეს ისე ეპოტინება,
როგორც წყალწაღებული ხავსიან ლოდს.
საშინელებაა სიკვდილზე ფიქრი!
(წმიდაო ანგელოზო, შეგვინდე და დაგვიფარე
ღამესა ამასა ყოვლისა განსაცდელისაგან!)
.....
მე და ჩემი მეუღლე ყოველთვის
მოგვიანებით ვწვებით.
მერე ვლაპარაკობთ გაფუჭებულ პატეფონივით.
ვლაპარაკობთ, ვიდრე ძილი მოგვიპარავდეს.
სიბერე ფიქრისაა!
მას ბავშვის გული აქვს,
მაგრამ არავინ იხედება მის გულში.
მოგონებებმა
თავი ფიქრის ფოკუსში მოიყარეს.
ვიღაც ზედა სართულიდან ცარიელ ბოთლებს ისვრის, –
სიჩუმეს გული უსკდება!!!
.....
მალე შემოდგომა ელვის ბაწარზე
თავს ჩამოიხრჩობს.
სიბერე ფიქრისაა!
საშინელებაა სიკვდილზე ფიქრი!!!
.....
ქსოვს და ქსოვს სიბერე ნაღვლიან წამებს:
წუთებად, საათებად, დღეებად, თვეებად...
საიდანღაც ქარი მოვარდა და წვიმაც მოიყოლია.
წვიმს გარეთ და სულშიც.

ტირის სიბერე!..

## პარადოქსი

სიყვარული – ცეცხლი და ქარია,
ერთმანეთს რომ აძლიერებენ.
ბედნიერია ის,
ვისაც არავინ ჰყვარებია,
უბედურია ის,
ვისაც არავინ უყვარს!

**დასაწყისი №60-71**

„და ენა ეგრეთვე ცეცხლ არს, სამკაული სიცრუისა???“. – და, ენა მთლად თავისუფალ-მიშვებულად სიტყვათ-მქმნელობის გარდაც ხომაა ხატვა, მუსიკა, ქანდაკება, არქიტექტურა და ქიმიაც კი – როგორ-უხამსი შენობები, ნაგებულება გვინახავს ენით, ენადქცეულსა ხელიდან როგორ გამომდინარი,

„ენა??? დადგრომილ არს ასოთა შინა ჩუენთა, რომელი შეაგინებს ყოველსა გუამსა და აღაგზნებს ურმის თუალსა მას შესაქმისასა და აღგზნებულ არს გეჰენიისაგან (ეს ბოლო სიტყვა, უკანასკნელი? განსაკუთრებით უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, უნდა,) — რომელშიც ყოფნას სრულიმოკვდომა ერჩია ლამექიანა, რიქშას

ასე რომ, ბგერათა-ბევრთა, რახშირ-ზედმეტთა დიდძალი ცოდნა-გამოყენება განსაკუთრებულ სიფრთხილედ გვმართებს, ადამიანებს-ჩვენ, და თავი კი არ უნდა მოვიწონოთ ამით და, ვილაქლაქოთა არამედ განსაკუთრებული მოწინებითა და წინდახედულებით მოვექცეთ უნდა-მეთქი, ენას, თვით თავად ქრისტეს რადიდ ბოძებულ გამჭრიახობას თანაც რა სათუოს, ამამაღლებელს რომელ-ენითაც... ცოტათი შემდგომ, ეს, და ხოლო ენაჭარტლობით ნუ ვიტრაბახებთ მაინც და მაინც რადგანაც ერთმაც კაცმაცა ბეთჰოვენმაცა ექვსი ენა კი-იცოდა მაგრამ, ამასთანავე, ცოტ-ცოტაოთ პატარ-პეტერე მუზიკებსაც ქეწერდა, ისი, რა, იტყვით – „არა?“

საფრთხილოარი როგორ, რარიგ, გინდ ერთადერთი ენა ვიცოდეთ ისევე როგორც ერთადერთივ გვაქვს, ძალიან დიდძალ უმეტესობას: –

„რამეთუ ყოველივე ბუნება მხეცთა და ფრინველთა და ქუეწარმავალთა (— ნოესი დასტა!) და მცურვალთა? დაიმწყსების და დამწყსილ არს ბუნებასა ქუეშე კაცთასა“.,

„ხოლო ენა კაცთა ვერვის ხელეწიფების დამწყსად, დაუპყრობელი ბოროტი, სავსე გესლითა მაკუდინებელითა“,

და აი, რატომ!:

და თუმც ის ყოვლად მთავარი, ამაღლებული, ამმაღლებელი, ასამაღლებლად თავი და თავი ის რომ

„რამეთუ მით ვაკურთხევთ ღმერთსა და მამასა“,

მაგრამ? –

„და მით ვსწყევთ (ვწყევლით, შევაჩვენებთ) კაცთა, რომელნი მსგავსად ღმრთისა შექმნილ არიან“.

„მიერვე პირით გამოვალს კურთხევა და წყევა. არა ჯერ-არს, ძმანო ჩემნო საყუარელნო (— ძმანოო, დიდი მოციქულისაგან, ვისდამი მერე — ყველასადმი... და „ჩემნო საყვარელნოო“ც, – თან!), ესე ესრეთ ყოფად“.

ხოლო ნოე კი, იმენიანებ ატლანტიდელთა შორის აკი კეთილად გამოირჩეოდა (თ ხომ არ იყო ატლანტიდელი; მხოლოდღა მასთან საუბრობდა,თ რაღაც სუსხვა ფრინველი იყო, მეფრინველე, ცის, თუნდაც გამხდარი, დალეუღი) ძალიან, იმით, რომ სხვებთან მხოლოდ მარტოკინაულ „ჰო“-სა და „არა“-ს ამბობდა ხოლმე, და, ხოლო სხვები კი, ერთიმეორის სადასაქცევოდ შეღერღილები კი არა და, უჩინარ ყალყზე შემართულები თანამოძმეთა სა-ვალალოდ – ხმამაღალ წყევად თუ ფიქრთნაღებულურ,ად,

და,

როგორ შეეფერებოდათ, და შეეფარდათც ეგებ ამიტომაც „რომელთა-ეგე არა იცით ხვალისა, რამეთუ ვითარ არს ცხორება თქუენი?“

და, პასუხიც იქვე:

„ვითარცა კუამლი ხართ, რომელი მცირედ ჟამ ჩანნ და მერმე განქარდის“,

ეს რიგრიგობით მიმართავს ადამიანებს მოციქული, ღმერთმა კი ერთად და ერთბაშად როგორ ანაზდად, ცოდვილებისათვის ისე ძალიან მოულოდნელად და დაუჯერებლად რომ როგორის რიხით დასცინოდნენ ნოეს თავისიწილი კიდობანისათვის, რომელ გრძელ, ფართო, სამსართულიან კიდობანში შეყუჟულიყვნენ ახლა ყოველი ჯურის სულიერები ნოედან დაწყებული და დამთავრებული ჭრიჭინობელათი რომელიც როომ ხმას არ იღებდა ახლა – ვერ იყო, არხეინს,

და, საკრავებისიცოდნა კი არა და (— რადგან საქმითჭარტალი ბევრნმა იციან. თუგინდაც ენით), მთლადაც ძალიან გასაკვირვალი:

რადგანაც ხოლო კაცი ვინმე რამ ყოფილა აჰ-მართლაცდა ფენომენი-რამ ისეთი ვინმე? – გადასარევი:

ადრე თუ ვინმე-ვიღაც ყარიბად მოხეტიალე (ჩვენდროინდელი ცირკაჩი; თვალთ-მაქცი) ხალხის წინ ხალხისა მიერვ მთლად რიგრიგობით ჩამოწერილ ათნიშნა რიცხვებს ერთი-მეორე-მეათეზე რაღაც წუთამდე დროში ძალიანც სწორად გადაამრავლებდა რაღა თქმა უნდა უ-გამომთვლელოუმანქანიანა და არც ჩოთქ-ბუღჰალტრულით არამედ თავისვ-კინკილა ზეპირ-გონებით, მაგრამ ტყუილა აბადა განა რას იტყვიან და იმათ შორის „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო“ და გამოჩნდა-კიდეც იმის მჯობნი – ათ-ათს კი არა, ჩვიდმეტ-ჩვიდმეტსა ციფრებიანსა ასეგრძელ რიცხვებს ერთიმეორეზე სულ ოთხსა წამში ამრავლებდა, თანაც იმ რიცხვებს ისე-უბრალოდ კიარ აჩვენებდნენ არამედ სწრაფი ძალიან-თავბრუსმხვევობით (ეს მაყურებლებისთვის და არა მაესტროსათვის-იმ) ტრიალ-ტრიალად დატრუალებულობითა დაფით და, ჯერ იმ ციფრების გარჩევა არ გინდოდა შენ და მერე იმათი ერთი-მეორე-მეჩვიდმეტეზე, გადამრავლება? და ვიმეორებთ, გადაკვირვულნი განცვიფრებით – ოთხიოდ წამში!, რის ავიცენა და(ვ)აინშტ(ვ)აი-ნი და ბარკლაი დე ტოლი თუმცა ბარკლაი რა შუაშია ანატომიას კიარ გიკითხამთ, აქა,

და,

ხომ ასეთი

ყოფილ-ყოფილა-ნამყოფარა ის ფენომენი მაგრამ, თვით იმას, იმასაც კი? – რომელს არ გვაქვენ თითონაკლა:

აი, თურმე რომ დაგედოთ დღისით-მზისით იმისსა თვალწინ, გინდ იატაკზე და თუნდ მაგიდაზე ძაან გვერდიგვერდ ჩაინიკი და ტაშტი, და რომ გეკითხათ იმა-ორშია თურომ რომელი-რომელია ჩაინიკი და რომელი – ტაშტი, თურმეღ სუვერა გამაიცნობდა, უცნაურია, წუთისოფელი რა არის აბა,

გადიოდა დრო, რაღა თქმა უნდა მთლად პირველ რიგში ნოესათვის და, რაძნელი ყოფილა ყოველი წუთი თუ არა ხუთწუთეული-მაინც, და ერთი რაღაც, შვებისადამომგვრელი თითქოს მაინცა, ჰქონდა, –

ფქვილი და წყალი იყო, ეს.

ჯერ ჩვეულებრივად იკვებებოდა ნოე, ცოტამჭამელი იყო მაგრამ მერე რომ შიმშილით უფრო გაეწელაც და შეემოკლებინაც კი, დრო რადგან შიმშილით მისავათებულს არ აწუხებდა ძნელი ფიქრები ხოლოკი თუნდაც ასე „უბრალო“ საზრდოს მიღება ნაშიმშილარზე ლხენით ავსებდა ის მერე რა რომ მაინცდამაინც ვერ-საამაყო იყო ეს მაგრამ რომელი სიამაყის კაცი იყო ის, ის-იგი ნოე, მაგრამ როგორღაც, კუჭო-ცოდვილო და გრძნობდა შვებას-რამს და ხორცისმიერ სიხარულსა და დაკმაყოფილებას, კი – როგორ გრძნობდა, და პატარა ხანს იატაკზე კვლავ მოკუნტული რომ იჯდა ნოე წამოწოლაც კი ახსენდებოდა ხოლო ფიცრები ურთხელისა მჭახეც იყო და იყოც, ლბილი თუკი ძალიან გეძინებოდა და ისე კი, თვლემდა და არ იცოდა სიზმრად ხედავდა თუ ზმანებებში ეჩვენებოდა რაღაც იმედით აღმავსებლობა ოღონდ წყვეტილად:

„აღვსება ყოველთა კეთილთა შენ ხარ“... –

„ნეტავი ვინშენ“... – თვლემის ბურანში ვერცკი ახსოვდა თუ ვინ იყო „შენ“ მაგრამ ნაცნობი სიხარული ვიდრე ძღომისა დიდედოთი-ვით ეწვეთებოდა, აღუვსებდა, გულს, და, მაგრამ კვლავაც დამწუხრებულზე წუთებითა და საათებით, დღე-ღამეებით, თვეთა სიმძიმით რა შვებად, იქვე, როგორ ძალიან მწყალობლურად:

„აღავსე სიხარულითა და მხიარულებით გული ჩემი“... –

და მხიარულება ისე ვერა მაგრამ – სიხარული კი, ეუფლებოდა,

და, მხიარულდებოდაც, კი, უმძრახისა ერთის შეხედვით, ნოე,

და, ისევ მწუხრზე, თავის თავს მაინც მიმართავდა სულო ცოტათი ხანდისხანობით მაინც ცოდვილო –

ნეტავი რა ეხარებოდა ემ-ნოეს, ბეჩავს, კიდობანური იატაკისას... მაგრამ ურთხელის,

რადგან ის მერე რა რომ ყოვლადროგორ ძალიან შორი:

„და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული“...

და ძალიან აჰჰ, – ხორცისი ჭამა ატლანტიდაში ვითომ როგორ ძალიან მკაცრად არ შეიძლებოდა მითომდაცმყარი კანონებით თორემ ისეე... მაგრამ რად ესმა რაღაც შვებად, ეს,

კიდობანი კი, მიცურავდა, რას გაიგებდი ზემოთა სარკმლის წილხვედრი ცით თუ სად, საითკენ,

ყველაზე მცირედ, ადამიანებთაგან, ნოე და მისი უმცროსი ვაჟი, იაფეთი იკვებებოდნენ,

ხოლოკი ქამი პირუტყვთა არამცთუ წყნარი ამობღავლებისა არამედ ჩქამის გაგონებაზეც კი ყურებს სცქვეტდა და უბასრდებოდა მზერა და თანაც როგორმოწრიალე, –

„ჩავალ, დავხედავ... მე ჩავუტან საჭმელს“,

მაგრამ ნოე კი ამბობდა: „არა“, – თავად ჩაჰქონდა.

და როცა ერთხელ, როდესაც ნოე სულ სხვას ფიქრობდა ვიდრეღა ქამის მიყურადება იყო ცხოველებისაკენ, ნოე ფიქრობდა იმ მონასმენზე, რომ:

„და გული ეტყოდა განძღებად მისგან, რომელსა სჭამედ ღორნი“,

მაგრამ როგორღაც ძალიან გაფრთხილებულ შარიშურზე მაინც მიიხედა და ქამი დაინახა, იატაკზე ახლად დამჯდარი რომელსაც პირზე რაღაცა თეთრი თუ წითელი, ეცხო და ნოე ვერ მიხვდა რძე იყო ეს თუ, სისხლი, ხოლოკი ქამი კმაყოფილად მიწვა კუთხეში და თავის ცოლს ერთაზროვნად აცქერდებოდა ბევრმხრივ სხეულზე და მერე წამოდგა და ნოესთან მივიდა და შორიახლოს დაუდგა და, უთხრა:

„შეხედე, ძინავთ“.... – და სარკმელშიაც სარკმლისახვედრი ღამე იდგა, კი, და მიცურავდა საითკენღაც კიდობანი ეს ღვთით ჭურჭელი სულიერებით მაგრამ ქამმა თქვა

„ტყუილად ხომ არ შეგვრთე, ცოლები?“

„არა“. – თქვა ნოემ.

„უნდა შევიცნო ჩემი ცოლი. – თქვა ქამმა. – დროა“.

ნოე დუმდა. და, მერე –

„ტუჩები მაინც შეიწმინდე“.

ქამმა ტუჩებზე ენა აისვ-გაისვა და,

„აქ კი ძინავთ მაგრამ შენ აქ ხარ და ზემოთაც არ ავალ არ ჩამოინგრას იატაკი“... –

ჩამოანგრევდა რა, ღვთით ბოძებულს... და ისედაც ხომ, აუტანია რა და რა-აღარ მაღალ ხეს, ურთხელს...

„და ამიტომაც ქვევით ჩავალ“.

„სად, ცხოველებში?“

„კი. ეგენი ისედაც ძალიანაც ეე... ჰო, დუნედ შეჩვეულები არიან სხვებისას. ამას“.

პირი იბრუნა, ნოემ. ღვთის კიდობანში იყო ნოე და რაღაც უსურველ და უსიამო, და მაინც ჩამთრევ და ჩამწოვ ბლანტ-ჭაობოვან თანხმობასავით-რამს გულისხმობდა, ეს.

ხოლო როდესაც მერე, უკვე გათენებულზე ამოვიდა ქამი და ქონნადენად კმაყოფილი სახე ჰქონდა ამოვიდა ქალიც მაგრამ ვერ შეიმჩნეოდა როგორი გამომეტყველება ედო რადგანაც სახე ჩადრივით-რაღაც ნაფლეთით ჰქონდა აფარებული, მიწვა, კუთხეში,

კუნჭულში დიდი კიდობანის.

გადიოდა,

დრო.

ნოეს ხანდახან ეგონა-თუ ასე უგზო-უკვალოდ გაგრძელდებოდა ცურვა-ესი მისი თავისი კუთვნილ რით-აღარ გინდა აღვსებული კიდობანისა და სასოწარკვეთას მიცემული ხან ძალიან და ხანაც სევდით და წრიალით-ხან, მერე ისევაც იღვსებოდა გამორჩეული რწმენით-იმ რომ აბა როგორღა შეიძლებოდა მისი კიდობანის თითქოსდა უგზო-უკვლოობითი ცურვა როდესაც თვით თავად ღმერთი წარმართავდა სვლა-გეზს მისსას და მაგრამ, მაინც,

რა ძნელი იყო ღვთით ეს გამოცდა

მაგრამ ერთგული იყო მაინც ნოე მამა-ღმერთისა დიდედოთი, და თ-თ

და ნოეს მათით ენატრებოდა ქარი, და თოვლი და მაღალები როგორ უნაყოფო ხეები და ხეები როგორ დახუნძლულნი ამო-ნაყოფით და ცაც როგორი მსხმოიარე ვარსკვლავებით, კი, და მზე და მთვარე და ჰაერი თუმცა ჰქონდა მაგრამ კიდობანისა, მხოლოდ მაგრამ რომელი „მხოლოდ“-ღა იყო კიდობანი, ყოველი სულიერის გადამრჩენი და მიცურავდნენ, მიცურავდნენ, მიმართავდა იმათ სვლას თუნდაც ვერაფრის შემძლეთ მაგრამ თვით ღმერთი საითკენ, სად,

გადიოდა, დრო

და ღვთით გამოცდას უძლებდა, ნოე,

და, იცოდა უკვე თუ მთლად ვერა, გუმანით მაინც, ნაკარნახევით რატომ დაეცა, ატლანტიდა:

„და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყვანი ესე ჩემნი და არა ყვენ იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა (უგუნურსა), რომელმან აღაშენა სახლი თავისი ქვიშასა ზედა.

და გადამოხდა წვიმა, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთეს სახლსა მას, და დაეცა“.

დაეცა ისი-ატლანტიდა,

„და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფრიად“.

ხოლო გალეული და ხორცდაცვივნული ვითომც-ნალევა ისი კნინი, თ? – იცოდა, იმან:

„ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყვანი ესე ჩემნი და ყვეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა“.,

რადგან,

„და გარდამოხდა წვიმა, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუეთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა“ და თ, როგორ-ერთ-ერთი პირველთაგან-მომსმენთაგანი რომელიც ახლა ნოეში, იყო,

გადიოდა, დრო, ხანდისხანობით განსაკუთრებით როგორიძნელი მაგრამ ღვთის, ღვთივ და ღვთით წყალობით თუნდაც თვით წარღვნისას ნოე მთელ ქვეყნად ერთადერთი არსება იყო ვისაც წარღვნისას მაინც წყალი ენატრებოდა და მხნედ კი იყო ძირითადობით და მაინც, მაგრამ მოკუნტულ-იჯდა ნოე წინარე თავად ღვთისა, ღმერთის თვალწინ, მის უკიდეგანო თვალსაწიერზე როგორც ჩვენ-ყველა მაგრამ ჩვენთაგან სწორედ ის ვინაც დაიარებოდა უფალთან, ღმერთთან, და ღმერთს ისედაც როგორ ვუყვარვართ ეს-სუყველანი და განსაკუთრებით კი როგორ ალბათ მთლად თავად მასთან სწორული რიდით მავალნი, მიმავალნი, როგორც რო... გინდაც ურთხელი, ვთქვათ, მისი-ეს ნერგი რადგან რაოდენს ჩვემომავლებსაც გადაგვარჩენს მისით ეს ნერგისა ნიჭი-თანდაყოლილი, ღვთით,

და ღვთით გამოცდას უძლებდა, ნოე,

ხოლო VII თვეს, თვის XVII დღეს მზე დაადგა და ჩამოაცქერდა გინდ ვიწრო სარკმლით კიდობანის შუაგულს და მზესთან მიჩოჩდა და სახე შეუშვირა ნოემ და მისი სხივის უტყვ და სუსტ ლამუნს გრძნობდა სახეზე და დაინახა თვალმოჭუტულმა ისიც რომ რაღაცა მთებს მიადგა კიდობანი, ხოლო „ეს თვე და რიცხვი შეესაბამება აპრილის დასაწყისს“ რამდენ-გრძელი თვის როგორ ტაატით და ახლაკია უკვე რასწრაფად – რადგან ჩავლილი, დროის, –

„მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მთათა მწვერვალები“ – იმ მცირე მაგრამ როგორიშვების სარკმელიდან, კი, გამოჩნდა მთათა მორუხულო წვეროები ზოგი წვეტებად ასვეტილი და ზოგიც მოგლუვო „არარატის მთებს მიადგა კიდობანი“ რომელი სიტყვაც, „არარატი“ „სიტყვის კონა“ში ყოვლად გაუგებრად მაგრამ შემაკრთობელად შემკრთომლუ-

რად და შესაკრთომად არის ახსნილი – „მერყევისათვის წყევა, გინა შეჩუენება“ და „სხვათა ენაზე“ რომაა ეს ამის ნიშანიც უზის ახსნას-ამ და ეგებ არ იყოს მთლადაც სავსებითობით გაუგებარი ცოტათი შემდგომ, მერყევისათვის, ეს, ხოლო ახლა კი ანუ მაშინ

„ „...მეათე თვის პირველ დღეს გამოჩნდა მთათა მწვერვალები“ – რადგანაც დიდი არარატი – მთათა ჯაჭვის მხოლოდ ერთ-ერთი მწვერვალია, ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ წყლის კლებასთან ერთად სხვა მთებიც გამოჩნდა, „ორმოცი დღის შემდეგ“... ამ ორმოცი დღის ათვლა, ალბათ, იწყება მთა-არარატთან კიდობანის შეჩერების მომენტიდან, ანუ 270 დღის შემდეგ“

და,

იცდიდა, ნოე,

ნოე იცდიდა, მორჩილი-ღვთის,

და, ეგებ სრულად მარხულობდაც და მაგრამ, მერე,

მერე კი ვეღარ მოითმინა და, არ იცოდა თუ, გაეღო თუ არა კიდობანის თვით თავად ღმერთით დაგმანული კარი და იყო თუ არა რაიმ საყრდენი აიიმ მთაზე, და ზედა სარკმლიდან

„გამოუშვა ყორანი; მიფრინავდა იგი და უკანვე ბრუნდებოდა, ვიდრე დაშრებოდა წყალი დედამიწაზე“ ხოლო დაბრუნებამდე იქაურ გვამებს მოტივტივეთ კორტნიდა და

და ალბათ იმიტომ ბრუნდებოდა რომ, მასაც, კიდობან-მობეზრებულს სხვა გზა არ ჰქონდა და ბრუნდებოდა ამიტომ და „ისევ ჯდებოდა კიდობნის თავზე, რითაც არანაირ ნიშანს არ იძლეოდა ხმელეთის არსებობის შესახებ“

და ნოემ, თითქმის სასოწარკვეთილმა მაგრამ 7 დღის შემდეგ, გულმოცემულმა ღვთით კიდევ „გამოუშვა მტრედი“ ოღონდ უკვე მტრედი და არა ყორანი – „ოღონდ უკვე მტრედი, რომელიც უკეთ პასუხობდა მისაღწევი მიზნის მოთხოვნილებებს, რადგან მტრედი იკვებება მარცვლეულით და ეშინია სისველის“ მაგრამ

„ვერ იპოვა მტრედმა ბრჭყალის მოსაჭიდი... გაინოდა ხელი ნოემ, აიყვანა იგი და შეიყვანა კიდობანში“ ხოლო ეს „იმ ფაქტის გამოხატვაა, რომლის მიხედვითაც ნოე რწმუნდება, სარკმლისამიერ კიბეზე მდგარი რომ დედამიწა ჯერ კიდევ გამოუსადეგარია მასზე საცხოვრებლად არა მარტო ადამიანებისათვის, არამედ ფრინველებისათვისაც“

და

„შვიდ დღეს კიდევ იცავდა და ხელახლა გაუშვა მტრედი კიდობნიდან“...

და „ „დაბრუნდა მტრედი საღამოჟამს“... – ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ უკვე ნაწილობრივ შეშრა დედამიწა, რადგანაც გამოჩნდა მზის ჩასვლამდე მასზე არსებობის შესაძლებლობა“ და ის დრო საღამომდე რამდენ თუ თვეს არა კვირაებს მაინც გადასძლევდა ნოესათვის რომელსაც მტრედის მოგვიანებით დაბრუნებაზე რამდენად მეტად გაუხარდა კი არა და, რა გაბედნიერდ-აღტკინდა როგორ!,

რადგან იმ საღამო-ჟამს დაბრუნებულს? –

„დაუბრუნდა (და არა დაბრუნდა!) მტრედი საღამოჟამს და, აჰა, ზეთისხილის ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით“! და მიხვდა ნოე, მთლად ბედნიერი მაღალი ღვთით რომ „დამწდარიყო წყალი დედამიწაზე“ და ზეთისხილისა რტო კიდე ნისკარტით რომ როგორ ძალიან რაგახარებულს მოჰქონდა მტრედს რაც „საუკეთესო დასტურია იმისა, რომ დედამიწაზე ახალი ცხოვრება იღვიძებდა. გარდა ამისა, ზეთისხილის ხე, რომელიც წმიდა წერილში სიხარულის და მშვიდობის სიმბოლოდ მოიხსენებოდა, ნოესთვის ღვთის რისხვის დასასრულის მაუწყებელ ნიშანს წარმოადგენდა“ და განა მხოლოდ ნოესათვის,

როგორ ძალიან ახმიანდნენ ქვედა სართულის სულიერებიც, და კიდობანში გახარებისა იდგა ერთიამბავი დიდიამბავი მთლად დამზრინველი სიხარულისა და სიხარულით ღაღადება და როგორ-რამდენად რამდენნაირი მერე: ჭიხვინი, სტვენა, ყეფა, კრიახი, სისინ-გნიასი და კრჩხიალი და ძიძგინი და კიჟინა – „მრავალთ ხმა□ სილაღისა და ზრიალი და ყივილები და ერთიღ კამეჩი შეჰყვიროდა კიდობანისა როგორ მისალოც პატრონს კიბეზედ შემდგარს: „ნოეე, ნოეე“,

და ჟრიამული მოლხენისა როგორ ძალიან ეხლებოდაც და ეახლებოდაც ურთხელის კედლებს და აგუგუნებდა იმ, ამ კიდობანს, ჩვენს,

და შვიდ დღეს კიდევ, ალბათ ყველაზე ძალიანსა გრძელ, გრძელ დღეეს კიდევ ამ შვიდ დღეს იცადა ნოემ კიდევ და

„გაუშვა მტრედი“... მაგრამ... მაგრამ კი არა, როგორდა დიდად-საბედნიეროდ რა ბედ-კეთილად „ამჯერად მტრედი აღარ დაბრუნდა, რითაც დაამტკიცა, რომ ხმელეთზე ადამიანისათვისაც თავისუფლად შეიძლებოდა ცხოვრება“,

და,

იცადა ნოემ ღამეც-ერთი და,

წარღვნის იმ მთელი წელიწადისა და ათი დღის შემდეგ ისევ მხოლოდ ხმით მაგრამ როგორით გამოეცხადა ღმერთი ნოეს, გამონაცადს, ღვთით,

ამ მთლად ერთადერთ ატლანტიდელს ოღონდ ოჯახით,ც, და სულიერებითურთ, სხვათცს, და

„ასე უთხრა ღმერთმა ნოეს: გამოდით კიდობნიდან შენ და შენი ცოლი, შენი შვილები და მათი ცოლები. ყველა ცხოველი შენთან მყოფი, ყოველი ხორციელი, ფრინველი, პირუტყვი, და ყველა ქვეწარმავალი, მიწაზე მძრომი, გამოიყვანე შენთან ერთად; მოეფინონ ქვეყანას, ინაყოფიერონ და გამრავლდნენ“

და ნოე, რომელიც უკანასკნელი შევიდა კიდობანში ასევე ღვთის, მამაუფალის ბრძანებით პირველი „გამოდის იქიდან, მაგრამ ეს ხდება“ მხოლოდ „მაშინ, როდესაც იგი ღმერთისაგან ღებულობს ხილვას“ და ამიტომ იდგა, ღვთისგან მოხილვამდე ანუ მისით ჩამომსმენობამდე კიდევ შვიდ დღეს კიდობანის „განღებილ“ კართან, ზედ ზღურბლზე შედგა, შეჩერდა ნოე და გარდაისახა, გადაიწერა რაციცინათელარი ის კურთხევა წმიდად „პირჯვარი“ რომ დაერქვა და მიენიჭა როგორ მყარად მერე და შემდგომ, ნოეს, კურთხეულს რადგან „კურთხევა არის გადიდება სახელისა მ ი ს ი ს ა, გინა ლოცვისა მიღება, გინა გაცხადება, გინა მოახლება ღვთისა მიერ“ და ეს დალოცვა ღვთისმიერი ჯერ კიდევ როდის, მაგრამ მაშინ ჯერ-მხოლოდ წყვეტილ-წყვეტილად მანათობელი მწერისა გადავლ-გადმოვლით და მიერ და ახლა კი თვით სამყაროთი ებოძა, ნოეს, და მის თანმხლებთ რომ – „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა“ უკვე მეორედ და არა ერთ-გზის და გვიწყალობა, მერე როგორი რომ როგორ მართლა სი-ნამდვილურად „გვაქვს უთვალავი ფერითა“, და მის თანმხლებთაც, დასტას ნოესას, ხოლო ეს

„ინაყოფიერონ და გამრავლდით ქვეყნად“ სრულიადურსა-სულიერებისადმი? – წმიდა ოქროპირი ბრძანებს:

„შეხედე, როგორ ღებულობს ეს წმინდანი ისევ იმ კურთხევას, რომელიც ადამმა მიიღო დანაშაულის ჩადენამდე, რომელსაც მისი შექმნისთანავე ჩაესმა ღმერთის ლოცვა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა“, ამგვარადვე ესეც (ნოე, ჩვენი და ჩვენ კი, მისები...) ნაყოფიერდება და მრავლდება დედამიწაზე ისე, როგორც ადამი იყო ფესვი ყველა მათგანის, ვინც წარღვნამდე იცხოვრა. ასევე ეს წმინდანიც დვრიტასავით (— წარმატების, სიკეთის ხელშემწყობი ძალა) საწყისად და ფესვად იქცევა წარღვნის შემდგომი კაცობრიობისათვის“

ხოლოკი სულდასაქციელსწრაფი ქამისა, ცოლი, მიდგომილ-იყო, კი, უკვე,

და ნოემ ისევ რომ გადაისახა, მეორედ ისეთი მადლობით რომ ძალიან მძიმედ, პირჯვარი... – ?, –

ქართულ, ჩვენს, მართლმადიდებლურ ჟურნალში „კარიბჭე“ (9 (54) ):

„დიდია ჯვრის საიდუმლო ძალა, რომელმაც ბნელისაგან გამოიყვანა და საუკუნო ნათელს აზიარა ადამიანი“.....,

„ძველი აღთქმის თანახმად, წმინდა და მართალი ცხოვრებით მცხოვრები ლოტი, რომელიც ყველაზე გარყვნილ და ცოდვიან ქალაქში, სოდომში ცხოვრობდა, ერთხელ საშინელ ცოდვაში ჩავარდა (სოდომის თუნდაც ამოწვა-გადაბუგვის შემდეგ...). სინანულით შეპყრობილმა ლოტმა ღვთის სათნო აბრაამს, ბიძათავისს სთხოვა, მისი სული უფლისათვის შეევედრებინა. აბრაამმა სამი ხმელი ტოტი მისცა და უთხრა: დარგე ეს ტოტები გვერდიგვერდ და ყოველდღე მორწყე, თუ განელდება და აყვავდება, ესე იგი ღმერთმა შეგინდოო. ლოტი ასეც მოიქცა. ტოტების მოსარწყავად მიმავალს გზად ყოველდღე ხვდებოდა უცნობი მგზავრი, რომელიც წყალს სთხოვდა. ლოტიც აწვდიდა დოქს, რადგან წინაპართაგან იცოდა რომ მშიერი უნდა დაეპურებინა და მწყურვალისთვის წყალი მიეწოდებინა (— მათე XXV — !). უცნობი მგზავრი დოქს ცლიდა და ლოტს ცარიელი დოქიღა რჩებოდა ხელში. ბოლოს, ლოტმა ცრემლებით მორწყო ხმელი ტოტები (— ცრემლებით!), შემდეგ აბრაამთან წავიდა და ყოველივე აუწყა. ხოლო აბრაამმა ორი ტოტი აიღო, გადააჯვარედინა, დოქის პირზე დადო, ლოტს გაუწოდა და უთხრა – როდესაც გზად მიმავალს კიდევ შეგხვდება უცნობი მგზავრი, ასე მიაწოდეო. ჯვრის დანახვაზე მგზავრი ყვირილით განეშორა ლოტს. როგორც შემდეგ აბრაამმა აუხსნა, უცნობი მგზავრის სახით მას წინ დემონი ხვდებოდა, რომელიც ჯვრის გამოსახულებამ დააფრთხო – ამგვარად, ჯვრის ნიში ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პერიოდში არსებობდა. მაშინ ჯვარი ყველაზე თავზარდამცემ და საშინელ საგნად ითვლებოდა, რადგან მასზე ყველაზე სასტიკ და მძიმე დამნაშავეებს აკრავდნენ“,

და, ამის გამო, ჩაეჭიდნენ რა ამას, ვითომდაც ქრისტეს ჯვარცმით აღშფოთებული დემონისმიერები იმასაც კი ახვევდნენ და ახვევენ თავს მცირედმორწმუნეებს რომ როგორ შეიძლება ჩამოიკიდოს ადამიანმა ჯვარი და ეს ძველ აღთქმაშიცაა

„ „მაგრამ მას შემდეგ, რაც მაცხოვარმა და მსხსნელმა ჩვენმა უფალმა იესუ-ქრისტემ „დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილი ვიდრე სიკვდილამდე და სიკვდილითა მით ჯვარისათა“, ესე იგი სწორედ ჯვარზე გაკვრით, ჯვარზე სიკვდილით ინება ცოდვით დაცემული ადამის მოდგმის გამოხსნა, ქრისტეს მიმდევართათვის ანუ ქრისტიანთათვის ჯვარი უდიდესი კრძალულებისა და პატივისცემის საგნად იქცა“,

ხოლო ნოე-ეს, როგორი ჩვენი, ცოტათი შემდგომ მერედამერე ესაუბრებოდა ასაკით მასზე უმცროსს რაღა თქმა უნდა მამა აბრაამს ღვთით დაფასებულს ხოლო აბრაამმა კი არამცთუ იცოდა უკვე ჯვარი არამედ სხვებმაც, ადრინდელებმაც იცოდნენ, ი გ ი, და მაგრამ იმ ვაიდ-მაინც-ს ადამიანებში ახლაცკი ის უფრორეა როგორ უმაღლეს ქარაფშუტობამდე აჩანჩალაებული ის რომ მაცხოვარი მხოლოდღა რაცგინდა წმიდა ბეთლემში დაიბადა და ვლიდა რაძნელ ქალაქ-იერუსალიმს, მხოლოდ უკვე ახალი წელთაღრიცხვით და როგორ ნაკლებად გვახსოვს გულდაგონებასუსტებს ის, რომ, რომ თავად თვით ი გ ი „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“ იყო კი არა ჯერ ეს ერთი სუფევდა და ზე-ბრძანდებოდა და მაინც როგორ მისმწყალობლური შემწყნარებლობით შინაურულად-მაინც ამ სიტყვით – „არის“, კი, არის, არის, როგორ არის, ისე-იმდენად რომ მარადის, მარად იქნება..., ხოლო ის კითხვა, სწორ გზაზედაც კი დამდგარებისათვის – უტანჯველესი, შემაწუხებელი კი არა და მთლად მისასავათებელიც კი მთელი თავისი სირთულით როგორ მყოვარ-მოუსვენებლობასასავით ადამიანებში ის უფრორეა ჩასახული ვიდრე მინდობა თვით მ ი სადმი და თან რამდენად უფრო ღრმად-დასაფიქრებლად და უუდიადეს-გარდა..., რამდენად მეტი...,...

მაგრამ,

საჭიროა კი იმისი თქმა რომ ღმერთმა თვითონ იცის როდის და როგორ წაიყვანოს შედარებით უცოდველებიც კი, კი, თუმც როგორად ჩვენი ადამის ცოდვა რომელსაა რომ ისე (ასე) ძალიან არ გვაწევს, და, ეს ურთულესი კი არა და ყოვლად ძალიან შეუძლებლად, გადაულახავივით და ამაოცკი ფიქრით არი ეს გარდა იმისა, რომ, მორჩილებით როგორ-დიადით, გავიმხნევოთ გინდ უბედური და ამით როგორ შეცდენილი ყველა არა მაგრამ უმრავლესობა იმით, რომ – რომ, ღმერთმა, გვეპატიოს შეფასება და მაგრამ იცის, ძალიან იცის თავისი საქმე ღმერთმა და ეს მობოდიშებითი შეფასებაც კი მკრეხელობაა რადგან აბა სხვა რაიღ-დახასიათება გვმართებს ღვთისა მის ამას-ობას რომ არ გავუსვათ სიტყვითი ხაზი ლოცვებში რომაა იმის გარდა... და,

ეგებ

ერთ რამს,

აუარებათაგან,

მაინც მოვეჭიდოთ:

ქრისტეს იესუდ შობიდან სურაღაც ორიოდ ათასწლეულამდეს შემდგომ კავკასიის ერთ-ერთ მხარესა და მანამდეც ისედაც როგორ მრავალტანჯულ ქვეყანაში ისეთი უბედურები ათასგვარი კი არა და, რამდენად მეტი დატრიალდა და გაოგნებულები რომ ვკითხულობთ – „რატომ?“ს, – ეჰ, ჯერ ის (ეს) შეგუებლობითი ცოდვები რამდენი და, ამასთან ერთად, ეგებ ძალიან მოსაჭიდი სწორედაც ის რომ სწორა-ისეთი უბედურებითაც, რომელიც ალბათ კი არა როგორ ნამდვილად გვცდის თვით უფალი და, გადარჩება, უკუნისობამდე-ში მოხვედრის ღირსი ღირსეულად მაინც იმით, რომ სწორედაც ასეთი განსაცდელით, განსაცდელისას, კი, კი... გამოვიცდებით. ხოლო რაც შეეხება გადარჩენას, თვით მამა-ღმერთით თავად ქრისტეს ქვეყნად იესუდ-მოვლინებამდეც რამდენად, ასევთქვათ, – ადრე – ძველ ეგვიპტურად ერთ პაპირუსში – „მიცვალებულთა წიგნი“ – სადაც გადმოცემულია სიტყვით, ქრისტეთი რომელიღაცა ჩვენთვის უცნობი ფარაონის ათეულობით აღსარებაში რა თანმხვედრია მოსესადმი ნაკარნახევ მცნებებისა თითქმის ყველასი მჭევრად განმეორება ანუ მკაფიოდ იგულისხმება და მიითითება სიტყვით, ქრისტეთი,

და ამ გამოცდას, უდიადესს, ჩვენ რომ უბრალოდ „წარსული“ს ვეძახით ხოლმე თან როგორ ხშირად რადგან „ჩაივლის“

ჯითაც კი როგორ უხშირეს-უმეტესად მთლად-აუხსნელივით ძალიან როგორ აი ის, რომ, თუ, რომ თუ რატოა რომრო ქვეყნად აიამდენი უბედურება, ვაებები-რამ ხდება ანუ ეს როგორ დაიშვება თვით იმისაგან, ღვთისგან,... ...,მაგრამ ჯერ ეს ერთი ის, რომ, ეს ჩვენვე ვიტეხთ საკუთარ თავზე რამდენ ვაგლახს ხოლო ესა კი ღვთით კი არა არამედ ჩვენივ ვაინაჩრობით და მთლადც უგუნური ხოლო ესა კი ღვთით კი არა არამედ ჩვენივ ვაინაჩრობით და მთლადც უგუნური კმაყოფილებით, ხდება, და ერთის შეხედვით ის აქა-იქობა ანუ არსად ყოფნობა როგორიცაა შეგუება უკეთურისა და მის-ობისადმი ჩვენ-ჭკუებისა ჭკუვაებობით-ამ ვითომიგნებულ გასახარობითაც კი როგორსა აფრაკ-ტვინშია, გვძევს, კი, ხოლო უცოდველებს ჩვენი გაგებით როცა უდროოდ და ადრე წაიყვანს ღმერთი რა-სიმწარით ვგმობთ, ვიგმობაილებით და, როგორ ძალიან ვსაყვედურობთ კი არა ანუ ჩვენისა-ჭკუით წარმავალია მაგრამ – არა, წარსული მუდამაა, როგორ მყარად, ძევს, – და მაინც მაგრამ რამდენი როგორ ძაან-უვრცესი ბოროტმოქმედი უხსნია, ღმერთს, მხოლოდ რუსეთში რაღაც ახლახან Ààñüêà-òî ï î ð და Áóäåãð-ðàçáî é í è ê-ი, და მუდამ მადლად გვადგა და გვადგას და მუდამ გვედგეს დიდსულოვანება უფალისა და მაცხოვარისა ანუ ჩვენი როგორსიმაღლით, გადამრჩენის,

რომ,

როგორ ჩაესმათ ორ როგორ ჯალათთ, სავლეს და ნეანს, ქრისტესი როგორი სევდიანი საყვედური მაგრამ მის სიტყვებს ჭექა-ქუხილი, ელვები ახლდა და იმათგან კი დადგნენ, როგორ, თვით მოციქული წმიდა დიდმოწამეები პავლე და პროკოფი, რომელთაც იმ თავზარდაცემობაში ძალიან სათნოდ დაეკითხათ:

„სავლე, სავლე, – და ორასიოდ წლისა შემდგომ: – ნეან, ნეან, რატომ მდევნი მე?“

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

პოეტი

# კატო ჯავახიშვილი

*კატო ჯავახიშვილი სამი პოეტური კრებულის ავტორია: „შენიდან ჩემამდე“, „მარცხნივ“ და „ჭუპრი“. სამივე წიგნი ხანმოკლე ინტერვალებით გამოიცა. მას შემდეგ, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა, მის პოეზიას მრავლად გამოუჩნდა თაყვანისმცემელი და ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველის ყურადღებაც მიიპყრო. მისი ლექსები გაჯერებულია ხილვებით, შეგრძნებებით, დრამატიზმითა და გულწრფელობით. ასეთივე გულწრფელი და თავისუფალია ინტერვიუში მისი პასუხებიც: „უზომოდ თავისუფლებისმოყვარე ვარ, სიამოვნებით დავჯდებოდი კარვისპირას, გავაბოლებდი ყალიონს და ფეხებზე დავიკიდებდი ყველანაირ ვალდებულებას. ასეთი ცხოვრება მინდა...“ ის ძიების პროცესშია და გამორიცხული არ არის, სამომავლოდ მინიმალისტური ლექსები ან თუნდაც ზღაპრები შემოგვთავაზოს. ახალი წიგნის გამოცემაზე ჯერ არ ფიქრობს, თუმცა გამოუქვეყნებელი ლექსები მრავლად აქვს. მისი დაკვირვების არეალში ექცევიან ადამიანები, გარემო, საგნები, რომლებიც სულ სხვა იერსა და სიცოცხლეს ახალ პოეტურ კრებულში იძენენ. მასვე ეკუთვნის ინტერვიუების ციკლი „ორი ფინჯანი“, რომელსაც ახლაც უძღვება და ახლო მომავალში წიგნად გამოცემას გეგმავს.*

**— შენს წიგნებს ვკითხულობდი, ინტერნეტშიც არაერთი ლექსი ვნახე და ერთი რამ შევნიშნე: შენი პოეზია ბალადურია და მინიმალისტური ლექსები თითქმის არ გაქვს, დაფიქრებულხარ ამ თავისებურებაზე?!**

— სხვათა შორის, ადრე უფრო მოკლე ლექსებს ვწერდი. მინიმალისტური არა, მაგრამ ჩემს პირველ წიგნში შესული ტექსტების უმრავლესობა — კომპაქტურია. მერე, რატომღაც, ეს ლექსები „დაგრძელდნენ“, შეიცვალა ლექსის სტრუქტურა, სათქმელი, გადმოცემის ფორმა. უმრავლესობა სიუჟეტურია, ეს არის პატარ-პატარა ამბები – თავისი დასაწყისით, განვითარებით, კულმინაციითა და ფინალით. აი, გაიზარდა სათქმელი, დაგროვდა გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება, თითქოს შემოსაზღვრული სივრცე აღარ იყო საკმარისი, ქვეცნობიერიდან დავიწყე საზრდოობა და კალაპოტი შევიცვალე. ისე, შინაგანად მაძიებელი ადამიანი ვარ და ერთ ადგილზე გაჩერება ჩემთვის სიკვდილს ნიშნავს. ამიტომ ხვალ მინიმალისტური ტექსტების ან სულაც ზღაპრების წერა თუ დავიწყე, არ გაგიკვირდეთ...

**— სამი პოეტური კრებულის ავტორი ხარ. მესამე — „ჭუპრი“ — ახლახან გამოიცა. ამ კრებულში შესულია ამავე სახელწოდების ლექსი. ამ ლექსმა გადაგაწყვეტინა პოეტური კრებულისთვის ეს სათაური დაგერქმია?**

— ასეა. ეს განსაკუთრებული ლექსია ჩემთვის. განსაკუთრებული არა იმით, რომ „თვითტკბობაში“ ჩამაგდო ან ლიტერატურულ შედევრად მივიჩნევ. არა. ეს მწარე ლექსია, ზედმეტად ავტობიოგრაფიული და მტკივნეული, ამიტომ დეტალებზე საუბარი გამიჭირდება. „თვითმკვლელთა შვილები“ ჩემთვის დაუბადებელი ჭუპრებივით არიან, სხვის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დილემად რომ გადაექცათ და მთელი ცხოვრება ამ ტვირთის ზურგით თრევა უწევთ. თუმცა, მხოლოდ ეს მიზეზი არ არის, რის გამოც წიგნს „ჭუპრი“ დავარქვი. ზოგადად, რა არის „ჭუპრი“? ჩანასახი, რომელიც პეპლად უნდა იქცეს, მაგრამ მეორეს მხრივ, პეპელა რაღაა? სამდღიანი არსებობისთვის განწირული არსება, რომელმაც ამ სამ დღეში სიცოცხლე უნდა მოასწროს. სიცოცხლე კი, ვფიქრობ, მართლაც მოსასწრებია, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მაინც საწყისს უბრუნდება და ერთ დღესაც ისევ „ჭუპრად“ უნდა ვიქცეთ.

**— შენი პოეტური კრებულებიდან რომელს გამოარჩევ, რომელი უფრო გიყვარს — ალბათ, ახალი, არა?**

— კანონზომიერია. ეს ყოველთვის ასეა. ბოლო წიგნი, ბოლო ლექსი, ბოლო ჩანიშნული სტრიქონი, რატომღაც მეტად გეახლობლება. ალბათ, განცდები უფრო მძაფრია, მეტად ახლოს ხარ განცდილთან

და იმიტომ. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი ჩემთვის ხელახალი დაბადებასავით იყო — არ მიყვარს. ამისთვის კი ორი მიზეზი მაქვს. პირველი იმიტომ, რომ ის, რის საზღაურადაც საკუთარი თავი გავიღე — ვერ მეყვარება, ისედაც ჩემშია და მინდა თუ არა, მისი თრევა მიწევს. და მეორე — ეს ჩემი ძალიან სახიფათო თამაში იყო, მან მე საკმაოდ დამაზიანა და გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ამ ეტაპისთვის ყველაფერი ეს დამთავრდა.

**„შინაგანად მაძიებელი ადამიანი ვარ“**

**— ყოველი ახალი წიგნის გამოცემა უნაპირო სიხარულთან არის დაკავშირებული. დროთა განმავლობაში, როცა აღმაფრენა გაივლის, ახალი ლექსები იწერება და ისევ ახალ გამოცემაზე იწყებს ფიქრს პოეტი. კარგა ხანია, წიგნი მხოლოდ ქაღალდზე არ იბეჭდება და ელექტრონულადაც გამოიცემა. ელექტრონული კრებულის გამოცემა გინდა?**

— წიგნის გამოცემა თავისთავად დიდი ბედნიერებაა, მაგრამ რაღაცნაირი სინანულიც ახლავს თან. ეს არის განვლილი ეტაპი, დასმული წერტილი, დასასრული – რის შემდეგაც ახალი გზა გაქვს საძებნელი. ხშირად მგონია, რომ კიდევ რაღაც მაქვს დასაწერი, წიგნს რაღაც კიდევ აკლია, კიდევ დამრჩა სათქმელი... იქნებ, სწორედ ამ ბოლო წერტილის დასმა მიჭირს და საკუთარი ცხოვრება თაროზე შემოსადებად მენანება?.. წიგნის ადგილი მაინც ხომ თაროზეა.

ახალ გამოცემაზე ჯერ არ ვფიქრობ, უბრალოდ, ვმუშაობ და როცა მივიჩნევ, რომ კიდევ ერთი ეტაპი გავიარე – მაშინ დაიბადება წიგნი. აი, ელექტრონულ კრებულს კი უახლოეს მომავალში შევთავაზებ მკითხველს. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ადამიანები წიგნს დააშორა და ეს ამბავი სულაც არ მომწონს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კომფორტულობას და იმასაც, რომ მთავარია იკითხონ და დიდი მნიშვნელობა არ აქვს, სად და როგორ, შესაბამისად, საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს. ინტერნეტს ბევრ ცუდთან ერთად დადებითი მხარეებიც ხომ აქვს. ყველაზე მთავარი – კომუნიკაცია. აი, მაგალითად, ემიგრანტ ქართველებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს იქიდან ადევნონ თვალი და ეს, მგონი, ძალიან კარგია.

**— როდესაც პოეტი პირველ ნაბიჯებს დგამს, ხშირია დაუმსახურებელი თუ დამსახურებული კრიტიკა. ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში კრიტიკასა და შენიშვნებს ადამიანები განსაკუთრებულად მტკივნეულად აღიქვამენ. როგორ რეაგირებ ამ ყველაფერზე, ითვალისწინებ უფროსი თუ შენი თაობის ლიტერატორების რჩევებს?**

— ჩემთვის, პირველ რიგში, როგორც ადამიანისა და პოეტისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციას. ანუ — რა ფორმით მოაქვთ სათქმელი ჩემამდე. იქ, სადაც სარკაზმია, ყველაფერი ეს იაფფასიან შოუს ემსგავსება და, შესაბამისად, საპასუხოც არაფერი მაქვს. სხვა მხრივ კი უფროსი ასაკის მწერლებთან ურთიერთობა რაღაცების გადაფასებაში დამეხმარა. ყოფილა შემთხვევა – გამითვალისწინებია, მომხდარა ასეც – საკუთარ აზრზე დავრჩენილვარ.

**— ახლახან „ლიტერატურულ გაზეთში“ შენი ლექსები გამოქვეყნდა. თითოეული მათგანი გულდასმით წავიკითხე. შენი პოეზია გაჯერებულია მძაფრი სტრიქონებით, განცდებით, შეგრძნებებით, ხილვებით. ერთ-ერთი ლექსი, სათაურით „ეკატერინე“, ავტოპორტრეტად აღვიქვი — დრამატიზმით, სევდითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე. ვფიქრობ, ეს ლექსი ავტორის გულრწფელი აღსარებაა. როგორია რეალურად კატო ჯავახიშვილი?**

— ამ ლექსს ველოდი. ეს ზუსტად ის ბოლო წერტილი იყო, რომელიც ძალიან მჭირდებოდა. ავტობიოგრაფიული ლექსია, ზედმეტად გულახდილიც, კი... ზოგადად, აი, ამ ხილვა-წინათგრძნობებზე, დრამატიზმზე, ტკივილზე რომ საუბრობენ ხოლმე, ბევრი რამ პედალირებული მეჩვენება. ცხოვრებამ ძლიერად ყოფნა მასწავლა. ჩემი ტკივილი ქვასავით არის, არ იღვენთება, არ იცრემლება, არც დახმარებას ითხოვს. მასთან ერთად თანაცხოვრება ვისწავლე, აღარც ტვირთია, მსუბუქად დამაქვს. საერთოდ, ძალიან იშვიათად, თითქმის არ ვტირი. როგორია კატო, იცი? უზომოდ თავისუფლებისმოყვარე, აი, სიამოვნებით დავჯდებოდი კარვისპირას, გავაბოლებდი ყალიონს და ფეხებზე დავიკიდებდი ყველანაირ ვალდებულებას. ასეთი ცხოვრება მინდა.

**— პოეზიაც ხომ ერთგვარი „სახიფათო თამაშია“, მკითხველის განაჩენის მოლოდინით რომ საზრდოობს. რას ნიშნავს შენთვის პოეზია?**

–პოეზია ჩემთვის უფრო მეტი სიმართლეა, ვიდრე — ცხოვრება. შეიძლება ძალიან ბანალურად ან სულაც ეპატაჟურად ჟღერდეს, მაგრამ ასეა. სიმართლეს თუ ვიტყვი, იმ წუთში მკითხველზე არ ვფიქრობ. ეს უკვე მერე, დაწერის შემდეგ, მახსენდება მკითხველი და, რაღა თქმა უნდა, მისი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ სულ ათმა კაცმაც რომ გაიგოს ბოლომდე, რა და როგორ დავწერე, ესეც საკმარისი მგონია. სახიფათო კი ნამდვილად არის. ჩემთან ასეა.

**— „შეუძლებელია გავლენები ადამიანმა თავიდან აიცილოს, ისინი ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულ პიროვნებაშიც კი იგრძნობა“ (ანდრე ჟიდი). ვისი გავლენა აქვს კატო ჯავახიშვილს?**

— ციდან არავინ ჩამოვვარდნილვართ, ადამიანები ერთმანეთს ვაგრძელებთ. ეს კი დაუსრულებელი, უწყვეტი პროცესია, ისეთი — როგორიც სამყარო. კონკრეტულ ერთ ავტორს ვერ ვიხსენებ, თუმცა, ალბათ, გარკვეულ ეტაპზე გარკვეული ავტორის გავლენას უნებურად განვიცდიდი. მაგრამ რაღაც ეტაპის გავლის შემდეგ, საკუთარი ნიშა თუ არ შექმენი, ირღვევა ადამიანი გაუთავებელ სხვის დაწერილ ტექსტებს შორის. ცხოვრებას რამენაირად უნდა დაემჩნე, როგორმე უნდა მოვახერხოთ ეს.

**— დაუსრულებელი სწრაფვა სიახლისაკენ, უღვიძებს შემოქმედს სურვილს, დაგვანახოს სამყარო ისეთად, როგორიც მის წარმოსახვაშია. როგორია შენი თვალით დანახული სამყარო?**

— აქ არის ჩემი სამყარო. იმ ადამიანებში – რომლებსაც შიათ, სტკივათ, უხარიათ, იხდიან ან ვერ იხდიან გაზის ქვითრებს, იფერადებენ ან ვერ იფერადებენ ცხოვრებას. ეს ჩემი სინამდვილეა, მომწონს თუ არა, ეს ასეა და არსად გაქცევას არ ვაპირებ. დანარჩენი ქვეცნობიერია – ის, რასაც ვგრძნობ და ფსკერიდან ამომაქვს.

**— შენს ლექსებში ზოგჯერ ბავშვობის ხილვები ჩნდებიან. როცა წერ, ბავშვობისდროინდელი საგზალი ხშირად გჭირდება?**

— ბავშვობას მართლა საგზალივით ვიზოგავ. ადრე მეგონა, ჩემი ბავშვობის დიდი ნაწილი წავშალე – როგორც დაფიდან. ბოლო დროს ეს წაშლილი კადრები განსხეულდნენ. აი, შევდივარ ამ მოგონებებში, ხან ვპოულობ საკუთარ თავს, ხან – ვერა. შეიძლება გაქცევად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემთვის ეს მედიტაციასავითაა. საერთოდ, ემპირიის ადამიანი ვარ. ჩემი მეხსიერება, ძირითადად, სუნებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ბავშვობასაც ასე ვინახავ. მას ჩემთვის გახუხული პურის სუნი აქვს. შეიძლება იკითხოთ რატომ? აი, არ ვიცი, ასეა და მორჩა.

**— ადამიანი შედგება სურვილებისგან, ფიქრებისგან, განხორციელებული თუ განუხორციელებელი საქმეებისგან, ნატვრისგან და ა.შ. საინტერესოა, გაქვს თუ არა ისეთი ნატვრა, ბავშვობიდან რომ უცვლელი დარჩა?**

— სიმართლე გითხრათ, ნაკლებს ვოცნებობ. არის რაღაცები, რაც ძალიან მინდა და ზუსტად ვიცი, თუ მოვინდომებ – ასეც იქნება. იმის ილუზია, რომ ერთ დილითაც ელდორადოში გავიღვიძებ, არც ბავშვობაში მქონია და არც ახლა მაქვს.

**— უახლეს თაობას ორიათასიანელებს უწოდებენ. შენ რას ფიქრობ, მხოლოდ ქრონოლოგია იგულისხმება, როცა ასე ჰყოფენ თაობებს თუ რამე კონცეპტუალურსაც მოიაზრებენ?**

— ლიტერატურულ პროცესში გამოჩენის თარიღი იგულისხმება, რაღაცნაირად თაობების განვითარება რომ განსაზღვრონ. ეს ლიტერატორებისა და კრიტიკოსების საქმეა და მათვე მიხედონ. პირადად ჩემთვის არანაირი ქრონოლოგია არ არსებობს. არსებობს ორი რამ, ჩემი თანამედროვე და ის, რაც ჩემამდე იყო. და ესეც ძალიან პირობითად მეჩვენება.

**— შენი წიგნები ხანმოკლე ინტერვალებით გამოიცა. რას გეგმავ სამომავლოდ, გაქვს კიდევ გამოუქვეყნებელი ლექსები?**

—მაქვს, თუმცა ჯერ წიგნზე არ ვფიქრობ. ჯერ ვაგროვებ ემოციებს, ვეძებ ახალ გზებს, ვაკვირდები ადამიანებს, გარემოს, საგნებს – ახლებურად ვაკვირდები. ამ ყველაფრის გაანალიზების შემდეგ, ჩავყრი საგზალს და თავად გამოჩნდება ეს გზა და თუ ეს გზა განსხვავებული იქნება, თავისთავად შეიკვრება წიგნიც.

**— ინტერვიუების ციკლს — „ორი ფინჯანი“ — გააგრძელებ?!**

— ციკლი ამ ეტაპზე გრძელდება, თუმცა წლის ბოლოსთვის უკვე მინდა, წიგნად გამოვცე. ავტორი მხოლოდ ავტორი კი არა, ადამიანიც არის, ძალიან ჩვეულებრივი ადამიანი თავისი უამრავი სისუსტითა თუ სიძლიერით. ზუსტად ეს მინდა, დაინახოს მკითხველმა, ვინ ვართ ჩვენ, მწერლები, პოეტები, ისინი, ვინც ტექსტს უკან ვდგავართ, ვისაც ისევე გვიწევს ყოფასთან გამკლავება, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს.

*ესაუბრა ხათუნა ალხაზიშვილი*



კრიტიკოსი

# თამაზ ვასაძე

***თამაზ ვასაძე არაერთი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიისა და ესსეს ავტორია. მისი შედგენილია „ქართული პროზის მცირე ანთოლოგია“, „მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობის ანთოლოგია“, კრებული „ქართველი მწერლების კომიკური და ტრაგიკომიკური მოთხრობები“, „ქართული კრიტიკის სასკოლო ქრესტომათია“, სახელმძღვანელოები უფროსკლასელთათვის. ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი კარგად იცნობს სხვადასხვა დროს გამოცემულ მის წიგნებს — „სახეები და პრობლემები“, „ფარული შინასამყარო“, „ორგვარი ცნობიერება“, „ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში“, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კონცეფცია“. გამომცემლობა „დიოგენემ“ შარშან გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც მისი კომენტარები ახლავს. საუბარი ბატონ თამაზთან სწორედ ამ გამოცემით დავიწყეთ:***

**— წიგნში სახელწოდებით: „ვეფხისტყაოსანი. კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის“, წერთ: „წიგნი წარმოადგენს ცდას, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა მიუახლოვდეს ნაწარმოების კითხვის, უშუალო აღქმის ცოცხალ პროცესს“. ვფიქრობ, თანამედროვე მკითხველისათვის, პოემის მხატვრული და კულტურული არეალის შეცნობისა და „ენის“ დაუფლების თვალსაზრისით, ამგვარი „დახმარება“ მართლაც საჭიროა.**

— „ვეფხისტყაოსნის“ ფილოლოგიური და ლიტერატურულ-ისტორიული ანალიზი, ასევე რუსთაველის ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობის კვლევა, ცხადია, აუცილებელია, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია პოემის როგორც მხატვრული სინამდვილის აღქმა და განხილვა, მისი როგორც ცოცხალი და აქტუალური ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა. ეს კი გულისხმობს, რომ ამ წიგნში, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოები არიან პერსონაჟები, საინტერესოა მათი ბუნება, მსოფლხედვა და ურთიერთობა, მათი არსებობის წარმმართველი ფასეულობები, პრობლემები, რომლებსაც ისინი აწყდებიან, კონფლიქტები, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც რომანი სხვა, თუნდაც თანამედროვე რომანების მსგავსად, გველაპარაკება ცხოვრებაზე, ადამიანების ბედზე, ადამიანთა ფიქრებსა და განცდებზე, მათ ზნეობაზე და რუსთაველი ასე გამოხატავს იმას, რაც სამყაროს შესახებ აქვს სათქმელი. ბუნებრივია, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევისას ეს გასათვალისწინებელია.

**— როგორც კრიტიკოსი, გამოირჩევით იმით, რომ რომელიმე ერთი პერიოდისა თუ ჟანრის ლიტერატურა ვიწრო კვლევის ობიექტად არ გაგიხდიათ და წერთ როგორც შუა საუკუნეების მწერლებზე, ასევე თანამედროვე ავტორებზე. თუმცა აშკარაა „ვეფხისტყაოსნისადმი“ თქვენი განსაკუთრებული ინტერესი. როგორ შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში „ვეფხისტყაოსანი“ და რა მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოებს თქვენთვის?**

— 1966 წელს რუსთაველის რვაასი წლის იუბილე აღინიშნა, ამ თარიღს საზეიმო ღონისძიება მიეძღვნა იმ სკოლაშიც, რომელშიც მე ვსწავლობდი. ზეიმზე ნადირობის ეპიზოდი წავიკითხე, რისთვისაც მეორეკლასელი დეკლამატორი „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემით დამაჯილდოვეს. ადვილი წარმოსადგენია ამ ამბავთან დაკავშირებული ჩემი ბავშვური ემოციები... მაშინ ძალიან ემოციურად აღვიქვი სხვა ამბავიც: ღონისძიების მზადებისას უფროსკლასელებმა, რომლებიც ტარიელს და ავთანდილს განასახიერებდნენ და რაინდებივით იყვნენ შემოსილ-აღჭურვილები, სასტიკად იჩხუბეს, ერთმანეთს შუბები დაალეწეს. წლების შემდეგ ეს ამბავი გავიაზრე როგორც იმის ნიშანი, რომ ის საქართველო, რომელშიც ვცხოვრობდით, რუსთაველის რაინდულ სულს ძალიან იყო დაშორებული...

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენმა წინაპრებმა, ძველმა ქართველებმა იპოვეს თავისი თავი, გაარკვიეს, რომ მათთვის ყველაზე მთავარი და ძვირფასია ადამიანების ღრმა სულიერი გამთლიანება, მათი ღრმა თანაზიარობა ერთმანეთთან, ადამიანის მიერ ადამიანში ღვთის ხატის დანახვა და ადამიანთა ურთიერთობის ამის შესატყვისად წარმართვა. ამ ქრისტიანული წარმომავლობის მქონე ფასეულობების შერწყმა ადამიანის ამქვეყნიური ბედნიერების დამამკვიდრებელ პათოსთან, რაც „ვეფხისტყაოსანში“ შედგა, ქართული მსოფლგანცდის შუაგულად იქცა.

რუსთაველის წიგნში განხორციელდა ქართული ცნობიერების საბოლოო არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დასავლეთის სასარგებლოდ. აქ უარყოფილია აღმოსავლური დესპოტიზმი და აუცილებლობად არის დასახული სახელმწიფოს დაფუძნება ჰუმანურობაზე. აღიარებულია რაციონალიზმის უპირატესობა გონების კონტროლს დაუქვემდებარებელი ჭარბი ემოციურობის და ვნებათა მოძალების მიმართ, გააზრებული, მიზანსწრაფული აქტივიზმის უპირატესობა ფატალისტური პასიურობის მიმართ...

„ვეფხისტყაოსანში“ განხორციელებული არჩევანი რეალობაში განხორციელებას კვლავ მოითხოვს.

**— წერთ, კლასიკური კულტურის ფენომენები სულ უფრო გვშორდებიან და თითქოს გაუცხოებულად დუმდებიანო.**

— ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატია, რომელიც მხოლოდ თავმოსაწონებლად გვჭირდება. არადა, მას შეუძლია ჩვენი დღევანდელი მსოფლმხედველობის ფორმირებაში მონაწილეობდეს. რუსთაველი პიროვნების თავისუფლების დამამკვიდრებელი პოეტია, მისი წიგნიდან პიროვნული თავისუფლების მძლავრი იმპულსი გადმოგვეცემა. არსებობს ძველი შეგონება: ეზიარეთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ. რუსთაველისთვის სიყვარულია ჭეშმარიტება, რომელთან ზიარებაც ადამიანს თავისუფლებას ანიჭებს, თვითმყოფად პიროვნებად აქცევს. მას უკვე აქვს გამოკვეთილი ინდივიდუალური მსოფლხედვა და ფასეულობათა სისტემა და იგი თვითონ, ავტონომიურად განსაზღვრავს, რისთვის და როგორ უნდა იცხოვროს. თავისუფალი პიროვნების თემა კი ძალზე ახლობელია თანამედროვე საზოგადოებისთვის.

**— „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კვლევისა და კომენტირებისას, მეცნიერთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი ალბათ არასოდეს დასრულდება. ამას წინათ „ლიტერატურულ გაზეთში“ ენათმეცნიერმა ალექსანდრე ფოცხიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ტაეპის თქვენეულ კომენტარზე საკუთარი მოსაზრება შემოგვთავაზა. მისი ვერსია თქვენი კომენტარისგან ფრიად განსხვავებულია.**

— თუ „ვეფხისტყაოსანს“ არ ვკითხულობთ როგორც ცოცხალ მხატვრულ ნაწარმოებს, თუ ვერ ვწვდებით მისი პერსონაჟების ბუნებას, შინაგან სამყაროს, მათ ურთიერთობას, ენობრივი ტექსტის გაგებაც გაგვიჭირდება. ფრაზა, რომელზეც მოსაზრება გამოთქვა პუბლიკაციის ავტორმა, კონკრეტული სიტუაციის მხატვრულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ: ავთანდილმა თინათინის დავალება შეასრულა და მასთან დაბრუნდა. რას მოელის იგი თინათინისგან? მოელის პირობის შესრულებას, რომელიც თინათინმა მაშინ მისცა, როცა უცხო მოყმის მოსაძებნად გზავნიდა, ანუ მოელის თავისი სიყვარულის ხორცშესხმას, თინათინთან შეუღლებას. მაგრამ ირკვევა, რომ ეს დაპირება ახლა არ შესრულდება, ავთანდილი ისევ ხანგრძლივად უნდა დაშორდეს თინათინს და ნესტანი მოძებნოს. ავთანდილს ამ ეპიზოდში რთული განცდები ეძალება; ნესტანის მოსაძებნად წასვლა თავადვე სურს და ამ სურვილის თინათინის მიერ შეწყნარებას ესწრაფის, მაგრამ დანაპირების შესრულების მომლოდინეცაა. თინათინმა მას თბილი, ალერსიანი სიტყვები უთხრა, კეთილგანწყობა გაუმჟღავნა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ავთანდილისთვის. მას თინათინთან შეერთება წყურია — „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარული ძლიერი ხორციელი ლტოლვაც არის, რაც უკვე პროლოგშია გამხელილი: „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“. ავთანდილი ხედავს, რომ მის სიყვარულს ხორცშესხმა ჯერ არ უწერია და ამიტომ ამბობს: „ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა“— როგორც გაყინულ, ძალიან ცივ წყალს სულის ბერვით ვერ გაათბობ, ისე ვერ უშველის ავთანდილის სასიყვარულო ტანჯვას მხოლოდ თინათინის მიერ კეთილგანწყობის გამოვლენა.

„ ავთანდილმა თინათინის დავალება შეასრულა... “




ამ ტაეპის გავრცელებული გაგება — უსარგებლოა დამზრალი კაცის გასათბობად წყლისთვის სულის ბერვა — არაფერს ხსნის. გაყინული ადამიანის გასათბობად წყალს სულს ვინ და რატომ უბერავს? ამიტომ გავიზიარე ტაეპის სოლომონ იორდანიშვილისეული წაკითხვა და ჩემი მხრივ განვმარტე მასში გამოკვეთილი ალეგორიული სახე: გაყინული წყალი ავთანდილის შეჭირვების გამოხატულებაა, ხოლო წყლისთვის სულის ბერვა — თინათინის მიერ მიჯნურისადმი გამოვლენილი თბილი დამოკიდებულების, რასაც მათი შეერთება არ მოყვება.

ტაეპის გავრცელებულ, ტრადიციულ გააზრებას ოპონენტიც იწუნებს და ფრაზას პირად გამოცდილებასა და სამედიცინო ცოდნაზე დაყრდნობით იაზრებს: კაცს დამზრალი ხელ-ფეხის დასაამებლად ცხელი წყალი არ გამოადგება, პირიქით, კიდურებს საშინლად ატკენს და მის ჯანმრთელობას ავნებსო — გვეუბნება. ეს მახვილი და სასარგებლო დაკვირვება, არსებითად კი კეთილი რჩევა, ცხოვრებაში პრაქტიკულად უთუოდ გამოგვადგება, იმის მიუხედავად, რომ მას რუსთაველთან არავითარი კავშირი არა აქვს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ენობრივი მონაცემების საფუძველზე მტკიცდება, რომ რუსთაველისთვის „წყლისა ბერვა“ მაინცდამაინც გათოშილი კიდურების ცხელ წყალში დათბილვის სამედიცინო თვალსაზრისით მიზანშეუწონელ პროცედურას ნიშნავს?

ეტყობა, ამ ფრაზის ადეკვატურ გაგებას მასში გამოყენებული, რუსთაველისთვის დამახასიათებელი სტილისტური ხერხი — ერთმანეთისგან აზრობრივად განუყოფელი სიტყვების დაშორება (ტმესი, კვეთა) აძნელებს: სიტყვები „დამზრალი“ და „წყალი“ დაცალკევებულია. ამ ხერხის გამოყენებით პოემაში სხვა არაერთი ფრაზაც არის აგებული. მაგალითად: „მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა“ (ავთანდილს თინათინის ხშირი წამწამების მშვენიერება კლავდა); „ენა მის დღისა შვებასა ყოლა ვერ იტყვის კლებული“ (ნაკლულოვანი ენა იმ დღის სიხარულს სრულიადაც ვერ გამოხატავს)...

არაადეკვატურია მომდევნო ფრაზის ოპონენტისეული გააზრებაც: „ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა“. ოპონენტს ვერ გაუგია, როგორ უკავშირდება „წვერვა“ სხივებს. პოემაში სიტყვა „წვერი“ რომ სხივსაც ნიშნავს, ამას ეს ფრაზა ადასტურებს: „სახლად ჩადგეს მზისა წვერნი“ — აქ აშკარად მზის სხივებზეა ლაპარაკი. „წვერვა“ რუსთაველის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმია და კონტექსტის მიხედვით სხივების „მოხელთებას“ და ფერებას უნდა ნიშნავდეს. ხოლო ალეგორიულად ეს ფრაზაც, წინას მსგავსად, იმას გამოხატავს, რომ ავთანდილს, რომელსაც თინათინის — მზის — მშვენიერებასთან უშუალო ზიარება სურს, აღარ აკმაყოფილებს მისდამი მხოლოდ სულიერი სწრაფვა.

ამგვარი პოეტური სახეების, დეტალების განმარტება რუსთაველის მხატვრული აზროვნების ლოგიკის ამოცნობას და მიყოლას საჭიროებს.

**— წიგნში, რომელსაც „ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში“ ჰქვია, წერთ, მწერალი ასრულებს საზოგადოებრივ და ეროვნულ ფუნქციას ამის საგანგებო მცდელობის, დეკლარირებისა და სავალდებულო ნორმად ქცევის გარეშეცო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ლიტერატურას მაღალმხატვრულის გარდა მაღალზნეობრივ მოთხოვნასაც უყენებთ.**

— ადამიანის ცხოვრების სიძნელე ყველაზე მეტად ზნეობის სფეროში იჩენს თავს. ამიტომ, ბუნებრივია, ლიტერატურაშიც ზნეობრივი პრობლემები არსებითია. რეალობაში სიკეთე და ბოროტება გადახლართულია, ეს ფენომენები ერთმანეთის მიმართ შეუვალი არ არის. სიკეთე შეუმჩნევლად იქცევა ბოროტებად, ბოროტებაშიც როგორღაც სიკეთე შეიძლება ჩაისახოს. ლიტერატურა აზროვნების ის განსაკუთრებულად ფაქიზი და მოქნილი ფორმაა, რომელიც ამ რთულ დიალექტიკას მკაფიოდ დაგვანახებს — ისე მკაფიოდ, როგორც სხვა ვერაფერი. იგი მორალური ფასეულობების და ანტიფასეულობების მთელ იერარქიას უტყუარი სიზუსტით გვიჩვენებს და ამითაც არის უნიკალურად ძვირფასი.

ასეც ვლინდება, რომ სრულფასოვანი ლიტერატურა ყოველთვის „სიბრძნის დარგია“, ადამიანური სამყაროს განსაკუთრებული, ყველაზე ცოცხალი და ორგანული შემეცნებაა. ლიტერატურის მიერ მიკვლეული, ჩვეულებრივი აღქმისთვის დაფარული სიმართლე ცხოვრების შესახებ თავისი კონკრეტიზებული, მრავალწახნაგოვანი მთლიანობით მიუწვდომელია შემეცნების სხვა ფორმებისთვის.

**— თქვენს სტატიებში, ესეებსა თუ წიგნებში წარმოდგენილი გამორჩეულ მწერალთა გალერეა საკმაოდ მრავალსახოვანია, დაწყებული დავით გურამიშვილიდან, XX საუკუნის ავტორებით დამთავრებული. საინტერესოა, ახალგაზრდა ქართველ მწერლებზე, მათ შემოქმედებაზე რას ფიქრობთ?**

დასასრული მე-14 გვერდზე

**თამაზ ვასაძე:**

# „ავთანდილმა თინათინის დავალება შეასრულა...“

**დასასრული**

— ბევრი საინტერესო ავტორია, მაგრამ ლიტერატურას როგორც რეალობაში რაღაც არსებითის და ძნელად გასაგების განჭვრეტის, ამოცნობის და გააზრების საშუალებას ისინი ნაკლებად უყურებენ. ახლა პოსტმოდერნიზმის ეპოქაა და მიიჩნევა, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანი უკვე ნათქვამია. ეს ბადებს ილუზიას, რომ ახლა ლიტერატურა მხოლოდ ადრე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებებით შეიძლება საზრდოობდეს. სინამდვილეში ლიტერატურის შემქმნელი მთავარი ძალა ჩვენს დროშიც მწერლის ინდივიდუალური სულიერი გამოცდილება და აზროვნებაა. ამ ძალის წყალობით ძველი ლიტერატურული სიუჟეტების, მოდელების, სტილების გადათამაშებამაც შეიძლება გამოიღოს სერიოზული შემოქმედებითი ნაყოფი. ასე ხდება, მაგალითად, ფაულზის ან ბარნსის რომანებში.

აქ მინდა ვთქვა, რომ ორიგინალური აზროვნებით აღბეჭდილი მოთხრობები აქვს დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ და „გველის მჭამელის“ თემებზე ირაკლი ქასრაშვილს. კულტურული თვალსაწიერის სიფართოვე და სინამდვილის გამჭრიახი აღქმა ვლინდება მის მოთხრობაში „აუტოდაფე“, რომელიც თანამედროვეობაში ლიტერატურის არცთუ სახარბიელო ხვედრს დაგვანახებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია „მეომრები“ — უკომპრომისოდ მართალი, ტრაგიკული მოთხრობა თბილისის ომის შესახებ...




**— უფროსკლასელთათვის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორი ბრძანდებით. ვფიქრობ, ეს ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა. არაერთ ადამიანს ვიცნობ, სკოლაში „ნასწავლი“ კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები რომ სძულდა და მხოლოდ მოზრდილ ასაკში აღმოაჩინა ისინი ახლიდან.**

— მართლაც მთავარია, რომ ლიტერატურის სწავლის პროცესი სასიამოვნო იყოს და არა დამტანჯველი და ლიტერატურისგან გამაუცხოებელი. კითხვა ხომ სიამოვნებს ადამიანს, მაშ ლიტერატურის შესწავლა რატომ უნდა იქცეს სატანჯველად? თუ ახალგაზრდა მკითხველი დაინახავს, რომ მხატვრული ლიტერატურის გააზრება იმავდროულად თვით მისივე საკუთარი არსებობის და ბუნების, მისი სასიცოცხლო სივრცის, გარემომცველი სამყაროს გააზრებაა, მაშინ ლიტერატურა საინტერესო და მიმზიდველი გახდება მისთვის და მომავალშიც ლიტერატურას აღარასოდეს მოწყდება.

ჩვენს ლიტერატურას აქვს ძლიერი პოტენციალი, ხელი შეუწყოს იმგვარი ცნობიერების ჩამოყალიბებას, რომელიც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების და სახელმწიფოს შესაქმნელად არის აუცილებელი. ეს ლიტერატურა ჰუმანიტარული სამართლის აქტებზე ნაკლებად არ აფასებს თავისუფალი ადამიანების ჰუმანურ თანაცხოვრებას. მისი წყალობით ახალგაზრდა ქართველ ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა კაცობრიობის, მსოფლიოს სრულფასოვან და უნიკალურ ნაწილად აღიქვას თავისი თავი. ამავე დროს კი საკუთარი ლიტერატურის ღრმად შეთვისება მის პირად ბედს მისი ქვეყნის და ხალხის ბედისგან განუყოფელს ხდის.

*ესაუბრა თამარ ჟურული*

## რუჰ ულ-ლაჰ ხომეინი

*სრულდება 110 წელი მსოფლიოში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, მეცნიერისა და პოეტის რუჰ ულ-ლაჰ ხომეინის (1902-1989) დაბადებიდან. ხომეინიმ, სასულიერო პირმა, შეძლო, დაემხო ორიათას ხუთასი წლის ისტორიის მქონე ირანის მონარქია და ეს ქვეყანა ისლამურ რესპუბლიკად ექცია. იგი მისმა სამშობლომ თავის ბელადად აღიარა და იმამად გამოაცხადა.*

*ხომეინი, როგორც პოეტი, მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გახდა ცნობილი. ლექსებს ის თურმე მთელი ცხოვრება წერდა, მაგრამ არ აქვეყნებდა. ერთხელ მის ქალიშვილს მამისთვის უკითხავს: ლექსებს რატომ არ ბეჭდავო? ხომეინის ამაზე გასცინებია და უთქვამს: რომელი პოეტი მე მნახეო?! მის ცხოვრებაში პოლიტიკური მოღვაწეობა ჩრდილავდა მწერლობას (ამ მხრივ ის სტალინს და მაო ძედუნს გვაგონებს).*

*ხომეინი ფილოსოფიურ (ნეოპლატონიკურ) ლექსებს წერდა. მკითხველი ნუ დაფრთხება და ნუ იფიქრებს, რომ ეს პოეზია, რაკი იგი ფილოსოფიურია, მშრალი დოქტრინის გალექსვას წარმოადგენდეს. ხომეინი მისტიკოსია და ლექსებში მას გამოყენებული აქვს თავისი წინამორბედი პოეტების მეთოდი: ღვთაებისადმი მიძღვნილ მის ჰიმნებში ღმერთი (როგორც აბსოლუტი) წარმოდგენილია ლამაზი ქალის ან ღვინის სახით, ხოლო მისკენ ლტოლვა და მისი სიყვარული – ქალთან ალერსისა და ღვინის სმის აღწერის საშუალებით. ამის გამო ხომეინის (ისე, როგორც, ვთქვათ, ჰაფეზის) ლექსებს ორი ფოკუსი გააჩნია: ვინც მათში უფლისადმი მიმართვას ეძიებს, ამ სიმბოლოებს აღიქვამს უზენაესისადმი მიძღვნილ ჰიმნებად, ხოლო ვინც ამ ფაქიზ ხელოვნებას ვერ სწვდება, მასში ხორციელი ტკბობის ასახვას ხედავს.*

*ხომეინის, როგორც ნეოპლატონიკოსის (სუფის*), აზრით, ადამიანი, ისე ვით ყოველი არსი ამ ქვეყანაზე, უზენაესის (აბსოლუტის) ემანაციაა. ამიტომ მისი იდეალი უფალთან ახლოს დგომა კი არ უნდა იყოს (როგორც, ვთქვათ, ქრისტიანებისა), არამედ – მასში განზავება. ამის გამო მის მიერ დაბალ ფასეულობადაა მიჩნეული ყველა ორდინარული რელიგია და მათი ატრიბუტიკა (თვით მეჩეთი, ნამაზი, წმიდა ტაძარი ქააბა და ა.შ.). ამიტომ მკითხველს ნუ გაუკვირდება, თუ ესენი წინამდებარე ლექსებში ზოგჯერ უდიერადაც კი იყვნენ მოხსენიებული.*

### სიცოცხლის წიგნი

წავიდა სიყრმის ნეტარი ხანა
და მომაკითხა სიბერის მწუხრმა.
მთელი სიცოცხლე ფეხი ცოდვაში
მედგა და ამას ძალიან ვწუხვარ.
უნდა მცოდნოდა, მხარაქცეული
ვერ მივაღწევდი სანუკვარ მიზანს, –
ამდენი ხანი რაც ვერ შევძელი,
იმას სიკვდილის წინ როგორ ვიზამ?!
ვინც ჭკუას უხმო, სატრფოს მიმართა
და იშვებს ახლა მასთან ტრფიალით,
მე კი ვერ ვპოვე იგი და ისევ
მაბრუნებს სოფლის ორომტრიალი.
ამ ქვეყნად ჩემი ბრმად ხეტიალი
ქება-დიდებით როგორ იმკობა
(ჩემი უხამსი ამპარტავნობა
და სასაცილო კუდაბზიკობა?!).

### ცისკრის პატარძალი

ამაღამ, როცა პატარძალივით
მიწევხარ მკლავზე და მეხუტები,
გაფიცებ, ცოტაც გამიხანგრძლივე,
ძვირფასო, შენთან ყოფნის წუთები!
ღამევ, ამაღამ ცისკრის პატარძალს
მეტხანს ჩაეკარ გულს, ვიდრე გუშინ,
რადგან, ხომ ხედავ, ეს პატარძალი
ჩაკონებული როგორ მყავს გულში!
ამ ბადაგივით ტკბილზე ტკბილ ტუჩებს
როგორ მოვწყვიტო ჩემი ტუჩები,
რაგინდ ცისკარი დამადგეს თავზე
და ახმაურდეს რაგინდ ქუჩები?!
ნუ ამოიყვან დღეს მზეს საერთოდ! –
უფალო, ასეთ სათხოვარს გკადრებ;
ნუ გააღვიძებ მუეძინს* დილით;
ნუ დააყივლებ მამლებსაც ადრე!
რა უნდა მომცენ, რომ გათენება
ვისურვო ამაღამდელი ღამის? –
სოლომონ მეფის* ტახტზეც რომ დამსვან,
ვერ შეველევი მას ერთი წამიც.

მოვსულვარ ჰინდი* ინდოთა ქვეყნით,
რომ ვიძუძგურო შენს კარებს გარეთ.
ვერ დაგთმობ, თუნდაც მომცენ შირაზი
და დამისართონ ზედ თუსის მხარე.

### წყალი და ნირი*

ამ უზომო ტანჯვისაგან
დამიხსენით, ღმერთი ვის გწამთ!
ასო-ასო აქნილი ვარ,
გულ-ღვიძლს ვნების ცეცხლი მიწვავს.
განშორება რა ყოფილა,
ვერ გამოვთქვამ ამას ენით, –
ხმელზე მოფართხალე თევზის
მსგავსად განვლე დღენი ჩემნი.
მე რომ მერგო, ის ცხოვრება
რა ცხოვრება იყო ვითომ?!
ყბედობაში დაბერებულს
მერცხვინება თავი თვითონ.
არც მედრესემ* მომცა რამე
და არც ცოდნა შემრჩა ხელში.



წყალს ვეძებდი და წირს ვსდიე, –
მრცხვენია და ამად ვხვნეში.
რაც ვისწავლე და რაც ვწერე,
რაც ვიკითხე და რაც ვფურცლე,
არაფერი რომ არ იყო,
ვერ მივუხვდი ამას უცებ.

## სიცოცხლის ქარავანი

ისე აღმომხდა პირიდან სული,
არ მინახულა მან ერთმა მხოლოდ.
გავიდა ჩემი სიცოცხლის ყავლი,
მაგრამ ჩემს ტანჯვას არ უჩანს ბოლო.
საწუთროს თასი ისე დავცალე,
არ დამიცლია სასმისი ღვინის;
ისე დავბერდი, არ ვიცი კაცმა
შეყვარებულთან რა არის ლხინი.
სიცოცხლის ჩიტი ფრთამოტეხილი
მყავს ამ ყაფაზში გამომწყვდეული.
ვინც იგი უნდა დამიხსნას, არ ჩანს;
არც გამოჩნდება, მგონი, წლეულს ის.

## შმაგი მიჯნური

ჰეი ნიავო, თუ გაიარო
იმ მხარეს, სატრფო ჩემი რომ სახლობს,
უთხარი: თავი მინდა დავდო-თქო
მხოლოდ და მხოლოდ შენს ფეხთა ახლოს.
ესეც უთხარი: თვალთა წინ შენთა
მინდა-თქო მხოლოდ მომეღოს ბოლო;
მე თუ სულს რამე ამომხდის ქვეყნად,
შენ ამომხდი-თქო მხოლოდ და მხოლოდ.
შმაგი მიჯნურის სამაგალითოდ
საბრალო მაჯნუნს* იტყვიან ჩვენში,
მაგრამ არავინ აკვნესოს ღმერთმა,
ძვირფასო, როგორც მე შენზე ვკვნესი!

## სატრფოს ხელადა

ისე გავიდა ცხოვრება ჩემი,
ვერ მივაგენი შენს სახლს და შუკას;
მეჯლისი მორჩა და ვერ გიხილე,
განბილებული ვბრუნდები უკან.
წალკოტი ესე სურნელით შენით
სავსეა, ვიცი, და ფშვინავს შენში,
მაგრამ, ვაგლახ, მას მე ჯერ ვერ ვყნოსავ;
ჯერ ვერ გიპოვე და გეძებ გეშით.
რაც ჰგიეს* ქვეყნად, შენი და შენი
ხატების შუქით ხასხასებს იგი;
მე კი შენ გეძებ და, ვით ღამურა,
ბნელს ვეფეთები აქეთ და იქით.
სუყველა ილხენს, ვინც აქ მწდედ სატრფო
ჰპოვა და თრობა ვისაც ხელად აქვს,
მე კი მის ბადაგს ვერ დავეწაფე,
ხელში ვერ ვიგდე სატრფოს ხელადა.

## მემთვრალეთათვის

რაც ჩემ გულს უნდა, არ მეგულება
არავითარი სჯულის სიაში,
არც მუსულმანებს ჰყავთ ის მეჩეთში,
არც ქრისტიანებს – ეკლესიაში.
ფუჭად იყბედეს მასზე შეიხთაც*,
ფილოსოფოსთაც,
მოგვთაც წარმართთა.

ვერავინ შეძლო მისი ასახვა,
ვინც მე მიყმო და გული წამართვა.
ჭკუის კოლოფნო, ფუყე სიტყვებით
ნუ ავსებთ ჩვენზე სქელ-სქელ რვეულებს;
თქვენ რას გაგვიგებთ, ჭკვათამყოფელნი,
ჩვენ – მიჯნურებს და გადარეულებს?!
შეყვარებულთა გულის ამბავი
შეყვარებულმა თუ იცის მხოლოდ,
ვინც (ვით ფარვანა – სანთელს) მშვენებას
ასკდება შენსას და იწვის ბოლოს.
ვისი ზილფების და ეშხის ცეცხლი
მხოლოდ ლოთების გულში ანთია.
ტუჩებთან ხალს რომ ჭვრეტ, საკენკია,
ხოლო ტუჩები კაკანათია.

## არსოგის სანთელი

დადგება დრო და ერთ მშვენიერ დღეს
დავაგდებ იმ სახლს, სადაც ვეყუდე;
შემოვკრავ ფრთას და ამ სოფლის მიღმა
არყოფნის ტოტზე დავიდებ ბუდეს.
მოვა ის ჟამი, როცა ყელამდე
სატრფოს არსებით ვიქნები სავსე
და ვით სანთელზე იწვის ფარვანა,
დავიბუგები მეც ცეცხლის ალზე.
როცა დავაგდებ მწირის ბნელ სენაკს
და მწდეს ვთხოვ, ღვინის მოდგას დოქები;
როცა მეჩეთში მუხლმოყრის ნაცვლად
სირაჯხანის წინ დავიჩოქები.
რა თავში ვიხლი შეიხის* სიბრძნეს,
სუფის* რწმენას და ვაეზის* რჩევას,
წავალ და კერპის ჩემის ქუჩაზე
ვიგიჟებ, როგორც შეშლილთ გვაქვს ჩვევა!

## მთვრალი თვალები

ტუჩებთან ხალი რომ გიზის, იმ ხალს
თვალს რომ შევადგამ, შენი ტყვე ვხდები.
მთვრალი თვალებით რომ გადმომხედავ,
ფეხზე ძლივს ვდგავარ, მეც ისე ვთვრები.
ვიხსენი სული საკუთარ თავის
ტყვეობისაგან, ვძლიე უკუნეთს.
„უფალი მე ვარ" – იბნ მანსურივით
ვთქვი და ქოსები ავაგუგუნე*.
შენზე დარდებმა ცეცხლი შემინთო
ისეთი მწველი, ისეთი ცხელი,
„შეხეთ, რას ჰგავსო ტრფობისგან ხელი!" –
მოშვერილი აქვს ხალხს ჩემკენ ხელი.
ღვინის დუქანი სულ ღიად გქონდეთ,
საღამოვდება თუ დილა დგება!
ამომივიდა მედრესე* ყელში,
მომბეზრდა ამ თქვენს მეჩეთში გდება.
შემოვიხიე ტანთ, განდეგილის
ჯვალო რომ მეცვა ამდენის მომთმენს
და რინდის* ჩოხა ჩავიცვი, იგი
უფრო გვიხდება შმაგებს და ლოთებს.

## ღვინო – საშველი

მჭდევ, გეხვეწები, გაგვიღე ჩქარა
საღვინე დუქნის კარები ლოთებს!
დავთმე სენაკი და საღვთო სჯული, –
აღარ მსურს ვიყო ქლესა და მოთნე*.
შემოგვეგებე ფიალით ხელში
ასე ტკბილი და ასე ღამაზი!

აღარც სწავლა მსურს, აღარც – მედრესე,*
აღარც მეჩეთი, აღარც ნამაზი.*
დავითის* მსგავსად ტკბილი გალობით
მოდექ და ღვინის მოგვიდგი ჯამი;
არც დიდებაზე ვიფიქრო წუთით,
არც ცრუ სოფელი ვინაღვლო წამით!
ოღონდ მოიხსენ პირიდან რიდე,
მაჩვენე შენი ელვარე სახე,
მე არც ჰეჯაზის* ნახვას ვინატრებ
და არც ვახსენებ ქააბის* სახელს.
მოდი, ამივსე კამკამა ღვინით
პირამდე დოქი ჩემი საღვინე;
თვინიერებას აქციე ზურგი
და გული კერპთან შვებით ალხინე!

## ლექსიკონი

**დავითი** – *ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი.*

**ვაეზი** – *მუსულმანთა ქადაგი.*

**იბნ მანსური** – *ცნობილი სუფი (იხ.) ფილოსოფოსი და პოეტი, რომელიც აცხადებდა: „მე ვარ ღმერთიო" (რითაც ის უფლის ერთარსობას ამტკიცებდა). ასეთი ერესის გამო 922 წელს ის აწამეს.*

**მაჯნუნი** – *ლეგენდარული არაბი შეყვარებული (სახელად ყაისი), რომელსაც მისი წრესგადასული სიყვარულის გამო გიჟი („მაჯნუნ") უწოდეს.*

**მედრესე** – *სასულიერო სასწავლებელი ისლამურ აღმოსავლეთში.*

**მოთნე** – *„მესათნოე" (საბა).*

**მუეძინი** – *მეჩეთის მსახური, რომელიც ადის მინარეთზე და მრევლს ნამაზზე (იხ.) უხმობს.*

**ნამაზი** – *მუსულმანთა ლოცვა, რომელსაც ისინი დღეში ხუთჯერ ასრულებენ (ცისკარზე, შუადღისას, მზის ჩასვლის წინ, მზის ჩასვლის შემდეგ და ძილის წინ).*

**რინდი** – *პიროვნება, რომელიც გარეგნულად თავზე ხელაღებული და დარდიმანდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გულით კი უფალს იყო მინდობილი (შდრ.: „გარინდება"). ამ ტერმინს უკავშირდება „რაინდი".*

**სოლომონი** – *ბიბლიური მეფე.*

**სუფი** – *გარკვეული (ნეოპლატონიკური) დოგმის მიმდევარი ისლამის რელიგიაში.*

**ქააბა** – *ტაძარი მექაში, სადაც ინახება მუსულმანთა წმიდათაწმიდა რელიქვია „შავი ქვა", რომელსაც არაბები თაყვანს სცემდნენ ისლამის შემოღებამდეც.*

**შეიხი** – *გარკვეული თეოლოგიური დოგმის თავკაცი; ისლამური რელიგიური თემის მეთაური და უხუცესი.*

**წირი** – *მირაჟი.*

**ჰგიეს** – *არსებობს.*

**ჰეჯაზი** – *არაბეთის მხარე, სადაც არის მუსულმანთა ორი წმიდა ქალაქი: მექა და მედინა.*

**ჰინდი** – *„ინდოელი", ხომეინის პოეტური ფსევდონიმი. წარმოშობით იგი ადრე ირანიდან ინდოეთში გადახვეწილი, ხოლო შემდეგ ისევ ირანში ჩამობრუნებული სპარსელების ჩამომავალი იყო.*

***თარგმნა მაგალი თოდუამ***

***კურთხეულ იყოს იგი მარჯვენა „მზის დაბნელება“ რომ დაგვიწერა, და მოგვაჩვენა ვითა სარკეში ჩვენი ცოდვანი და ბედისწერა.***

ასე მთავრდება ლექსი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ზურაბ ანტონოვის ხსოვნას უძღვნა 1902 წელს. უფრო ადრე, 1893 წელს „ივერიის“ მეჩვიდმეტე ნომერში დაბეჭდა ივანე კერესელიძის მოგონება ზურაბ ანტონოვზე. კერესელიძეს იგი დაუწერია ანტონ ფურცელაძის თხოვნით.

„ძმაო ანტონ! — მიმართავდა მოგონების ავტორი მეგობარს, — აი, სამოცდა სამს წელიწადში გადავდექი... და ეს მაკვირვებს, რომ აქამდის არავის აღუძრავს კითხვა, თუ ვინ იყო ზურაბ ანტონოვი და რა სამსახური გაუწია ჩვენს ლიტერატურას იმ ნეტარხსენებულმა...“

ხოლო 1927 წელს თავის ცნობილ „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“ კვლავ პატივისცემით მოიხსენია ზურაბ ანტონოვი. ილია წერდა: „...მისგანვე [გიორგი ერისთავისგან] ფრთაასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგლიც ამავე დროს ეპოქის, დოკუმენტების ღრმა ცოდნასა და სკრუპულოზურ ანალიზს ემყარება.

ეს ორმოქმედებიანი პიესა შინაარსობრივადაც და ემოციურადაც იმდენად სავსეა, ისეა დაყურსული, რომ მკითხველს, ასე ვთქვათ, ფიქრის გაქცევის ნებას არ აძლევს, მთლიანად თავის სამყაროში ითრევს და ქმნის უკვე სცენაზე განხოციელებულის ეფექტს. იმის თქმა მინდა, რომ მკითხველი „ხედავს“ ილია ჭავჭავაძეს, ელიზბარ ერისთავს, ოლღა გურამიშვილს, მირონ ამიროვსა და სხვა პერსონაჟებს. ესმის მათი ხმა, ასერიგად განსხვავებული ერთმანეთისგან: ზურაბ ანტონოვის განწირული ყვირილი ხომ არ ამოგვდის და არა მეხსიერებიდან... ილიას ხმა ისე კარგადაა „დახატული“, რომ ნიუანსობრივ სხვაობასაც ვგრძნობთ. სხვაა იგი ოლღასთან საუბრისას, სხვანაირია ელიზბარ ერისთავთან შეხვედრისას და სულ სხვაა მირონ ამიროვთან.

ავტორს თხრობა ერთ ლოგიკურ ძაფზე აუსხამს, ისე, რომ ეპოქის სურათიც ნათლად ჩანს, მამულიშვილთა მოღვაწეობის აზრი და მიზანიც, მათი კერძო ცხოვრებაც, ხელისუფლების განწყობაც, მასთან დაახლოებული პირების ხასიათი და განზრახვაც და ეს ისეა მოწოდებული, რომ არსადაა ოდნავი გადაჭარბებაც კი. ვთქვათ, ილიასა და ელიზბარ ერისთავის საუბარში სულ რომ არ იყოს საქართველოს ბედზე წუხილი, ნამდვილობის შთაბეჭდილებას აღარ დატოვებს, მაგრამ ოდნავ მეტ ხანსაც რომ გრძელდებოდეს ეს თემა, უკვე გადახვევა იქნება მთავარი ხაზიდან (მკვლელობის გამოძიება) და მკითხველს თუ არ მოაწყენს, მის ინტერესს მაინც საგრძნობლად შეანელებს. ასეა, ამ პრინციპით აგებული ყოველი მოქმედება. ყველა პერსონაჟი — ისტორიულიც და გამოგონილიც, მათი ყველა ფრაზა და ავტორის ყველა რემარკა, ასე ვთქვათ, „თავის ადგილას ზის“. „გაყრისა“ და „მზის დაბნელების“ სცენები ენაცვლება ტრაგიკული გარდაცვალების გამოძიებას და კონტრასტული ფონი თავის სათქმელს ხშირად საგანგებო ახსნა-განმარტების გარეშეც ამბობს.

სრულყოფილება პიესისა გასაკვირი სულაც არ არის, იმიტომ, რომ ბატონი როსტომი მხატვრულ-დოკუმენტური რომანების (მთელი ციკლის) აღიარებული ავტორია და მისგან, ბუნებრივია, მკითხველი მოელის კიდეც მხატვრულობისა და დოკუმენტურობის ისეთ ჰარმონიულ შეთანხმებას, როგორიც ამ პიესაშია. ხოლო რაც შეეხება როსტომ ჩხეიძის, როგორც დრამატურგის, ინტერესს, ესეც გამოიკვეთა უკვე გამოქვეყნებული ორი დრამით. ერთი დაუწერელი პიესის გამო სევდას გვაზიარებს, მეორე დაკარგული პიესის ტრაგედიაზე მოგვითხრობს. თითქოს ერთმანეთის გაგრძელებად ჩაეთქვას მწერალს, რადგან ორივე კაცის, ადამიანის, პიროვნების, შემოქმედის ბედზე დაფიქრებაა ყველანაირ (ტირანულ თუ დემოკრატიულ...) სახელმწიფოში.

ახლა მინდა ვიკითხო, აუცილებელია თუ არა პიესისთვის სასიყვარულო ინტრიგა? რიტორიკული შეკითხვაა. მაგრამ დეტექტივსაც თუ დაამშვენებს ასეთი სცენები? არანაკლებ რიტორიკული კითხვა გამომივიდა. დაამშვენებს კი არა, მკითხველის გონება ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ელის, ეძებს ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში სასიყვარულო ურთიერთობებს. და აი, ამ დეტექტიურ პიესაშიც გამოჩნდება ქალი, ილიას მეუღლე, ოლღა გურამიშვილი. რით და როგორ არის ოლღა დაკავშირებული გამოძიებასთან? არც არაფრით. ოლღა, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ეჭვიანობს მუდამ მოუცლელ, რაღაც ფიქრებში ჩაფლულ, მისთვის უცნაური და საიდუმლო საქმით დაკავებულ ქმარზე. არადა, დუშეთიდან ახალჩამოსული ახალგაზრდა კაცი, საცა სამართალია, კი უნდა იცლიდეს იმისთვის, რომ მეუღლეს ყურადღება მიაქციოს... ოლღას პერსონაჟად შემოყვანამ ლამის განსაზღვრა პიესის მხატვრულობა, მისი სანახაობრიობა. ეს სახე და მასთან დაკავშირებული სცენები იმდენად დამაჯერებელია, ცოცხალია, რომ კაცს ეჭვი შეეპარება, ბატონ როსტომს მართლა ხომ არ უცხოვრია მე-19 საუკუნეში და მსგავსი ეპიზოდები ილიას ცხოვრებიდან თვითონ ხომ არ უნახავს?

***

გამოძიება დასრულებულია. ილია ჭავჭავაძემ და როსტომ ჩხეიძემ დაადგინეს, რომ ახალგაზრდა, წარმატებული დრამატურგი ხელისუფლებამ მოიშორა თავიდან მისი პირადი მტრის, მირონ ამიროვის საშუალებით. კი, მაგრამ, რატომ, რა მიზეზი ჰქონდა ხელისუფლებას ზურაბ ანტონოვის მოსაკლავად?

პატარაობიდანვე ნიჭიერებით გამორჩეული ბავშვი მამამ ორი კლასის შემდეგ სკოლიდან გამოიყვანა და განათლების გარეშე დატოვა. გიორგი ერისთავმა და ქართულმა თეატრმა აპოვნინეს ზურაბ ანტონოვს თავისი მოწოდება. მან მალე მიაღწია წარმატებასა და აღიარებას, როგორც დრამატურგმა. მწერალმა ახალი თემებით გაამდიდრა ქართული დრამატურგია, მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობა მოიპოვა. გიორგი ერისთავის თბილისიდან წასვლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ქართულ თეატრალურ დასს და კიდეც შეძლებდა მის მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრებას, რომ არა... რუსეთის ხელისუფლება, რომელიც ებრძოდა ყოველივე ქართულს, გასაგებია, მოწონებით არ შეხვდებოდა ქართული თეატრის — ცხოვრების ამ ნამდვილი სარკის — მუდმივად შენარჩუნებასა და განმტკიცებას. გიორგი ერისთავის მერეც თეატრალური ცხოვრების იმავე სიღრმითა და ინტენსივობით გაგრძელება თავზარდამცემი იქნებოდა რუსი მოხელეებისათვის. ზურაბ ანტონოვის სახელის ზრდას საკუთარ ნაწარმოებთა წიგნებად გამოცემაც უწყობდა ხელს. მისი „მზის დაბნელება საქართველოში“ ახლაც იდგმება სცენაზე და მნიშვნელობას არ კარგავს, თორემ თავის დროზე ხომ ერთი ყველაზე საინტერესო სანახაობა იყო. და თუკი თავისი პიესებით ხალხის გამოფხიზლებას, ქართული კულტურის განვითარებას, ლიტერატურის წინსვლას, სიმართლის თქმასა და საბოლოოდ, მომავალი სახელმწიფოს მშენებლობას უწყობდა ხელს, ხელისუფლებას აბა რა უნდა ექნა, არ ჩამოეშორებინა გზიდან? საკმარისი მიზეზი არ იყო მის მოსაკლავად?

აქ უნებურად მახსენდება როსტომ ჩხეიძის შესანიშნავი ესეი უილიამ ბატლერ იეიტსის შესახებ. თითქოს თვალნათლივ ვხედავ კოლაუ ნადირაძის დაბნეულ სახეს და ჩამესმის მისი რამდენჯერმე გამეორებული გულუბრყვილო შეკითხვა, დიდ ირლანდიელ პოეტს რომ ეხება: — მოკლეს? — მოკლეს ხომ? ...მართლაც, გასაკვირი არაა, როგორ არ მოკლეს? ცოტა მიზეზი ჰქონდათ თუ?

აქ კი, ჩვენში კარგად შენიშნეს თავისუფალი სული, განსხვავებული აზროვნება, მტკიცე ხასიათი და სხვა „საშიში“ თვისებები და, აბა, რა ექნათ, არ მოეკლათ?

მაგრამ ამ პიესამ („ჩემი გზა ჩემი აკლდამა“) კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არაფერია მზის ქვეშ დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს.

## ნინო ვახანია

# არაფერია მზის ქვეშ დაფარული...

**(ზურაბ ანტონოვის მკვლელობის გახსნა)**




რეთ წოდებული მდაბიო ხალხის ყოფაცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის“.

ბედისწერამ ასე განსაზღვრა, რომ მოღვაწეობის დაწყებიდან სულ რაღაც ოთხ წელიწადში უნდა გამოსცლოდა ახალგაზრდა, იმედის მომცემი ზურაბ ანტონოვი ლიტერატურულ და თეატრალურ ასპარეზს და საერთოდ, ცხოვრებასაც.

1876 წელს გამოიცა ზურაბ ანტონოვის თხზულებათა კრებული, რომელსაც მწერლის ძმის, გრიგოლ ანტონოვის წინასიტყვაობა ახლავს. წიგნიდან არ ჩანს, ვინ არიან გამომცემელნი, მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან არ შევცდებით, თუ ერთ-ერთ გამომცემლად (თუ თაოსნად არა) ავტორის ნიჭის თაყვანისმცემელ ილია ჭავჭავაძეს ვიგულვებთ.

ნუთუ ილიას შეუმჩნეველი დარჩებოდა, რომ ახალგაზრდა დრამატურგი მეტად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა? რა სათქმელია! ნუთუ ილია არ ეცდებოდა გამოკვლევას — მართლა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა თუ მოკლეს და ქვეყანას თვალი აუბეს? რა საფიქრებელია! მეტისმეტად თეთრი ძაფით იყო ნაკერი მოსალოდნელი გაცოფების ვერსია. მაშ ვის უნდა დაედგინა სიმართლე, ეჭვშეუვალი მტკიცებულებებით ვის უნდა დაესაბუთებინა უსულგულო ხელისუფლების დანაშაული? ვის, ვის და, რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეს — იურისტს, ჟურნალისტს, მწერალს, ერის მამას. ეს ისეთი აქსიომაა...

ცხადია, ილია გამოიკვლევდა, ქვას გახეთქავდა, ყველას მონახავდა, ვისაც კი ოდნავი ნაცნობობა მაინც ჰქონდა ზურაბ ანტონოვთან, ცოცხლებს ყველაფერს გამოჰკითხავდა, გარდაცვლილთა გულისთქმას თვითონ მიხვდებოდა, თავის უცდომელ ინტუიციასაც დაეყრდნობოდა და აუცილებლად მოიხელთებდა და გამოააშკარავებდა საგულდაგულოდ დაფარულ-დაგმანულ ბოროტებას. აკი არაფერია მზის ქვეშ დაფარული, რომ არ გაცხადდეს. სწორედ ასე იქნებოდა და არაფრისდიდებით სხვაგვარად. მაგრამ ილიას ნაწერებში რომ არსად არაფერი გვხვდება გამოძიებაზე მიმანიშნებელიც კი? ნუთუ გამორჩა? იქნებ ვერ მოიცალა? იქნებ...

თუმცა, არა.

როსტომ ჩხეიძემ თავისი პიესით — „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“ — უცილობელ სინამდვილედ წარმოაჩინა: ილია ჭავჭავაძე ზურაბ ანტონოვის მკვლელობის გამომძიებლად. მწერლის ეს წარმოსახვა არაერთგზის შეფასდა, როგორც ბედნიერი მიგნება. უკეთესად ვერც განსაზღვრავ — ბედნიერი მიგნება, ღვთიური მადლით განათებული შთაგონება, რომელიც ამავე დროს ეპოქის, დოკუმენტების ღრმა ცოდნასა და სკრუპულოზურ ანალიზს ემყარება.

## რუსა ამირეჯიბი

# ტკივილი

**დასასრული**

ვთქვი... და მერე უკვე დასაწყისშივე ვიცოდი დასასრული. სიმამაცე მოვიკრიბე, გადავწყვიტე, მიმეღო და გამეღო. მეგონა, ამით ცოტათი მაინც შევცვლიდი დასასრულს. დასასრულსაც ხომ გააჩნია?

ისევ ვწიკწიკებდი, მაგრამ ტემპი აშკარად უკვე სხვა იყო, მძიმე და ჩქარი. ის ბრაკონიერად იჯდა ჩემი სულის ნაპირზე, განცდები აქაფებული, დაბინძურებული სიყვარულის ზედაპირზე მკვდარ თევზებად ტივტივებდნენ. საათი გაჩერდა. მომავალი, დასაწყისში რომ გაჩნდა, სიზმარივით გაქრა! დარჩა ტიტველი აწმყო. გაოგნების ზვირთებმა თავზე გადამიხუვლეს. მე დავინახე, როგორ გაცურა ნაპირზე ჩემმა სიამაყემ, გაირინდა და ჩასაფრდა.

ჩემმა ჯიუტმა იმედმა ბოლო, შემონახული, ტოტი მოჭრა. ტოტი, რომელზეც ვიჯექი. ის კი სხვის ლოგინზე იჯდა და ტრუსს იხდიდა, ხოლო მანამდე:

„შეურაცხყოფას მაყენებ? მაგ მახინჯი მორფინისტკას მიმართ გრძნობები როგორ უნდა მქონდეს?”

ბნელოდა. ბარდნიდა. ყოველ წამში თითქოს ასაკს ვიძენდი. შორს ვიღაცის სარკმელი ისე ჩანდა, როგორც იმედისგან ანთებული თვალი. მეც ავინთე. ჩემი ფიქრი ისე დარბოდა ღამეზე, როგორც ციყვი ხეზე.

„არ აქვს მნიშვნელობა, ადამიანი ანდროგინონის შთამომავალია თუ ადამ და ევასი, საკუთარ სქესს ეტრფის თუ საპირისპიროს, ერთმანეთისკენ ლტოლვა გვახასიათებს და გრძნობებიც ყველას გვიჩნდება. ჩვენში დღეს ორი მცნება არსებობს: „ნამდვილი სიყვარული“ და „გატაცება“.

ხანმოკლე ურთიერთობებისას ადამიანები უბრალოდ ერთმანეთს ამოწურავენ ხოლმე და თავიანთ გზებზე მშვიდად მიდიან. ბევრჯერ გამიგია, დაშორების მერე მივხვდი, რომ არ მიყვარდა, ანდაც, გატაცება იყოო. სისულელეა. ის ადამიანი ცხოვრების თანამგზავრად მისაღები არ აღმოჩნდა და ამიტომ არ დატოვა წასვლის მერე სიცარიელე. ჩვენ ხომ გაუაზრებლად, ავტომატურად ვეძებთ მეორე ნახევრს...

მე კი მგონია, რომ „გატაცება“ სიყვარულის კნინობით-ალერსობითი სახელია. გატაცებული ადამიანი მხოლოდ გრძნობებით თუ შეიძლება იყოს გატაცებული და ამიტომ, ყოველთვის გულწრფელია. გულწრფელი გრძნობა კი, სხვა რა შეიძლება იყოს, თუ არა სიყვარული?

სულ საათივით წიკწიკებს იმედი... და თუ ვინმემ ის გაგიცრუათ, ნუ იტყვით, არ მყვარებიაო. პირიქით, თქვენ ისე ძლიერ გიყვარდათ, რომ თავიც კი მოიტყუეთ. სიმართლე ხომ ყოველთვის და ყველაში ციცინათელასავით ციმციმებს”.

სახლთან მივედით. დავემშვიდობე ბიძებს და სადარბაზოსკენ გავტრიალდი, რომ ადგილზე გავიყინე. ის გალურჯებული იდგა, დამნაშავე თვალებით მიყურებდა და ძაგძაგებდა.

დოლივით დაუკრა გულზე ვნებებმა.

გონებაში წამიერად გაირბინა მასთან გატარებულმა სამმა მწარე წელიწადმა.

მისმა გალურჯებულმა ტუჩებმა ჩემს სულში თვალებივით ჩაიხედა და იქაურობა აათრთოლა.

**1.** მუცელში პეპლებს რომ გაუშვებს საფარფატოდ, ქვეყნიერებას უცხო ფერებით რომ შეღებავს, ლეკვს ლოყაზე რომ მიიხუტებს, ბავშვის ტკივილზე დარდს სხეულში ისე რომ დააგუბებს, როგორც აუზში წყალს — ეს გულია.

**2.** მაკრატელი ნამიან ვარდებს სინანულის გარეშე რომ ჭრის, ისევე როგორც წამოზრდილ ფრჩხილებს, მოხარშულ დედალს, ცარცით მოხაზულ ნაჭერს, ხოლო ფანტაზიას ძრავასავით აათუხთუხებს — ეს გონებაა...

**3.** თვალი ტოტიდან ადრე მომწყდარ მწვანე ფოთოლს და მისი მიწაზე დაშვების სევდიანად განელილ წამს რომ შეხედავს, ხოლო შვლის თვალებში დანახული უღონო სევდა სიკვდილს ანატრებინებს, სხვისი უმწეო სიბერე რომ შეაწუხებს — ეს სულია, რომელიც იმ წამს თრთოლვას იწყებს.

მეორემ გაიმარჯვა.

მაგრამ მე?..

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

**ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com**